სსიპ-ივანე ჯავახიშვილის
სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

წლიური ანგარიში 2020

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

შინაარსი

1. შესავალი 4
2. საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების ხელშეწყობა 7
2.1 ხარისხის შიდა უზრუნველყოფა 8
2.1.1 საგანმანათლებლო პროგრმების კოლეგიური შეფასება 8
2.1.2 აკადემიური მოსწრების ანალიზი 10
2.1.3 სტუდენტების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვა· შესაბამისი უკუკავშირის სისტემის შექმნა 12
2.1.4 საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების კომიტეტების მუშაობის განახლებული ფორმატის შესახებ 17
2.1.5 სტუდენტთა მონაწილეობა პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებში 18
2.1.6 კრიზისის მართვა - პროცესი და შედეგი 21
2.1.7 ნორმატიული დოკუმენტების ადაპტირება 23
2.2 ხარისხის გარე უზრუნველყოფა 23
2.2.1 გარე განმავითარებელ შეფასებათა ციკლი უნივერსიტეტში 24
2.2.2 უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების (რე)აკრედიტაციის პროცესი 25
2.2.3 საგანმანათლელო პროგრამების ბაზა 31
3. ინსტიტუციური განვითარების შესახებ 31
3.1 განაცხადი სტუდენტთა კონტიგენტის ზღვრული რაოდენობის ზრდის შესახებ 33
3.2 უნივერსიტეტის 2020 წლის სტრატეგიული განვითარების გეგმის შეფასების შესახებ 34
3.3 უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მართული პროექტების შესახებ 34
3.3.1 ინსტიტუციური ეფექტიანობის შეფასების შესახებ 35
3.3.2 Sparqs: სტუდენტების ჩართულობა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებში 37
3.3.3 თანამშრომლობა თაიმსის მსოფლიო უნივერსიტეტების რანჟირებასთან: TIMES HIGHER EDUCATION (THE) 38
3.3.4 ადგილობრივ სტუდენტურ და საერთაშორისო საგრანტო კონკურსებში უნივერსიტეტის მონაწილეობის მხარდაჭერისათვის 39
3.3.5 INTEGRITY: აკადემიური კეთილსინდისიერება საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ხარისხიანი სწავლებისა და სწავლისთვის - პროექტის ფარგლებში განხორციელებული აქტივობები 40
3.3.6 square: უნივერსიტეტის როლის გაძლიერება საზოგადოების განვითარებაში 44
3.3.7 უნივერსიტეტის თანამშრომლობის შესახებ ევროპული უნივერსიტეტების ასოციაციის (EUA) თემატურ ჯგუფებთან 45

3.3.8 თანამშრომლობა უცხოურ ფონდებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან 46
3.4 პერსონალის განვითარება.....49
3.5 სიახლეები პროფესიული განათლების ცენტრში.....51
3.6 თანამშრომლობა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებთან 55
3.7 უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ვებგვერდის განახლების შესახებ 57
4. კომუნიკაცია ხარისხის უზრუნველყოფის გარე აქტორებთან და ინსტიტუციებთან 60
4.1 სამუშაო შეხვედრები ხარისხის თემატური ჯგუფის ფარგლებში 60
4.2 კომუნიკაცია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან და სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან.....64
4.3 კომუნიკაცია ევროპის უნივერსიტეტების ასოციაციასთან (EUA).....66
5. სამსახურის სხვა საქმიანობა 67
5.1 გარე და შიდა კორესპონდენციის მიმოქცევის შესწავლა და მომზადება.....67
5.2 სამსახურებრივი დოკუმენტური მასალების არქივირების პროცესი.....68
5.3 საუნივერსიტეტო მარეგულირებელი დოკუმენტების ინიცირება და მომზადება.....68
6. სამსახურის თვითშეფასება და შემდგომი განვითარების პერსპექტივები 69
6.1 უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნვლყოფის სამსახურის თვითშეფასება 69
6.2 უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის განვითარების პერსპექტივები..71
7. დანართები 73

1. შესავალი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში უნივერ-სიტეტი) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური (შემდგომში სამსახური) წარმოადგენს უნივერ-სიტეტის მართვის ერთ-ერთ ორგანოს. მისი საქმიანობის მიზანი უნივერსიტეტის სერვისების ხარისხის მუდმივი განვითარებაა. სამსახური მოქმედებს "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 25-ე და 31-ე მუხლების, უნივერსიტეტის წესდებისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულების შესაბამისად. თავის საქმიანობაში სამსახური ხელმძღვანელობს ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ქსელის მიერ შემუშავებული დოკუმენტის "ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეში" და ეროვნული ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტების მიხედვით.

სამსახურის საქმიანობის ძირითადი სფეროებია:

ა) უნივერსიტეტში სწავლა-სწავლებისა და კვლევის ხარისხის ამაღლების ხელშეწყობა;

ბ) უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო–კვლევითი საქმიანობის შეფასება;

გ) რეკომენდაციების შემუშავება უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო–კვლევითი საქმიანობის სრულყოფის მიზნით;

დ) ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესებისთვის თვითშეფასების პროცესის ორგანიზება;

ე) სწავლის, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების დანერგვის ხელშეწყობა;

ვ) საერთაშორისო თანამშრომლობისა და საერთოევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში უნივერსიტეტის ინტეგრაციის ხელშეწყობა.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური საქმიანობას ახორციელებს ფაკულტეტებზე არსებული ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებთან თანამშრომლობით, რომლებიც წარმოადგენენ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის ერთიანი სისტემის ნაწილს. უნივერსიტეტის მრავალპროფილური საექსპერტო გამოცდილების საფუძველზე სამსახური აქტიურ თანამშრომლობას ეწევა უნივერსიტეტის სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულთან უნივერსიტეტის შემდგომი განვითარების მიზნით.

წინამდებარე ანგარიშში წარმოდგენილია **სწავლა-სწავლებისა და კვლევის, საუნივერსიტეტო სერვისების ხარისხის განვითარების** არსებული მდგომარეობა სანგარიშო პერიოდისათვის 2019 წლის დეკემბრიდან ვიდრე 2020 წლის დეკემბრის ჩათვლით და მომავლი წლის განვითარების გეგმა და პერსპექტივები. ქვეყანაში არსებული საგანგებო სიტუაციიდან გამომდინარე, უნივერსიტეტი აღმოჩნდა ახალი გამოწვევების წინაშე, რის გამო ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მთელი რიგი არსებული საკითხების მოდიფიკაციისა და ახალი თემების განხორციელების კონკრეტული გეგმა დაისახა. ტრანსფორმაციის პროცესი შეეხო როგორც სასწავლო და კვლევით პროცესებს, ისე საუნივერსიტეტო სერვისებსა და კომუნიკაციას ხარისხის როგორც შიდა, ისე გარე აქტორებთან. არსებული ვითარებიდან გამომდინარე ერთიანობაში შესაძლებელია სწავლისა და სწავლების პროცესი შეფასდეს დამაკმაყოფილებლად, მიუხედავად იმისა, რომ არსებულმა ვითარებამ განაპირობა მთელი რიგი სიახლეების დამკვიდრება სასწავლო და კვლევის პროცესებში, მათ შორის როგორიცაა დისტანციური სწავლების მეთოდი. საანგარიშო პერიოდში ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა,

რომ სასწავლო და კვლევით პროცესში სასურველია მეტი ძალისხმევის გაღება მიმდინარე მოცემულობის შეცვლისა და შედეგების გაუმჯობესების მიზნით, სანამ წინამდებარე საუნივერსიტეტო სასწავლო და კვლევითი პროცესები დაუბრუნდება დამკვიდრებულ და საყოვლთაოდ მისაღებ აკადემიური კომუნიკაციის ჩარჩოს.

უნივერსიტეტში მიმდინარე აქტიური ცვლილებები დაედო საფუძვლად ჯერ კიდევ 2019 წლის ბოლოს მიღებულ გადაწყვეტილებას გაზრდილიყო **სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა**, რაც საბოლოოდ დასრულდა განაცხადის წარდგინებით სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში. წინამდებარე განაცხადზე მუშაობის პროცესი დაიგეგმა უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნვლყოფის სამსახურში და გეგმაზომიერად, ეტაპობრივად განხორციელდა სრულიად საუნივერსიტეტო საზოგადოებისა და ადმინისტრაციული ერთეულების ქმედითი თანამშრომლობით: დეტალურად გაანგარიშდა და დასაბუთდა ცვლილების აუცილებლობა, რაც ცვლილებას შეიტანდა 2020 წლის საუნივერსიტეტო სამოქმედო გეგმის ცალკეულ დეტალებში. შესაბამისად, უნივერსიტეტის ადმინისტრაცია და აკადემიური სივრცე 2020 წლის დასაწყისიდან შეუდგა რიგი პროცესების ადაპტირებას ახალი მონაცემების შესაბამისად, ვინაიდან 2020 წლის 14 თებერვლის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები ავტორიზაციის საბჭოს N1 გადაწყვეტლების საფუძველზე უნივერსიტეტს სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვრა 26 633-ით.

ყველაზე რთული და მოულოდნელი გამოწვევა განპირობებული იყო ქვეყანაში არსებული ვითარებიდან გამომდინარე, გლობალურმა პანდემიამ უნივერსიტეტი მოულოდნელად დააყენა **საგანგებო ვითარების** წინაშე, რაც გულისხმობდა, თავის მხრივ, მთელი რიგი პროცესების ადაპტაციას და თან უმოკლეს დროში - სრულიად 2 კვირის განმავლობაში. ცვლილება შეეხებოდა: *როგორც სწავლა-სწავლების, ისე კვლევის პროცესებს, სერვისებსა და ყველა მიმართულების მართვის პროცესს.* კორონა ვირუსის გავრცელების თავიდან აცილების მიზნით, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილებით, პრემიერ-მინისტრის ხელძღვანელობით შექმნილი მოქმედი უწყებათაშორისი საბჭოს და ჯანდაცვის სამინისტროს რეკომენდაციების გათვალისწინებით სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციმ დაგეგმა და ორგანიზაცია გაუწია ღონისძიებებს რამდენიმე მიმართულებით, სახელდობრ:

- საინფორმაციო ტექნოლოგიების;
- საინფორმაციო-კომუნიკაციური;
- სასწავლო პროცესების მართვის;
- ხარისხის უზრუნველყოფის;
- ინტერნაციონალიზაციის;
- სტუდენტთა მხარდაჭერის.

გამომდინარე არსებული ვითარებიდან, დღის წესრიგში დადგა ასევე უნივერსიტეტში მიმდინარე ჩანაცვლებული პროცესების შეფასება სხვადასხვა რაკურსში, რათა უნივერსიტეტში მოქმედ პროცესებს ხელოვნურად შექმნილი ადაპტირებული სიტუაციებიდან გამომდინარე შეუქცევადი უარყოფითი შედეგები არ გამოეწვია, ან არ მომხდარიყო ცალკეული მათგანის ხანგრძლივი პერიოდით შეფერხება. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანი აღმოჩნდა სტუდენტთა, აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვა ელექტრონული სწავლების კმაყოფილების შეფასების კუთხით, ისევე როგორც ადმინისტრაციულ და დამხამრე პერსონალთან ჩატარებული კვლევა დისტანციური საქმისწარმოების კმაყოფილების შესახებ.

სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2020 წლის დეკემბრისთვის ფუნქციონირებს 238 **საგანმანათლებლო პროგრამა**, მათ შორის: 63 საბაკალავრო, 99 სამაგისტრო 47 დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა, 1 ქართული ენის შემსწავლელი, 22 პროფესიული, 3 ერთსაფეხურიანი, 2 მასწავლებელთა მომზადების ინტეგრირებული და 1 მასწავლებელთა მომზადების პროგრამა, ასევე მნიშვნელოვანია 26 უცხოენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა (11 საბაკალავრო, 11 სამაგისტრო, 3 სადოქტორო, 1 ერთსაფეხურიანი). აკრედიტაციის პროცესი მუდმივად განახლებადი პროცესია უნივერსიტეტში, რომელიც ასევე აქტიური იყო 2020 საანგარიშო პერიოდში, დეტალები წარმოდგენილი იქნება წინამდებარე ანგარიშში.

გასული საანგარიშო პერიოდისგან განსხვავებით, უნივერსიტეტის წინაშე დასმული ამოცანები ძირითადად არ შეცვლილა, თუმცა მოდიფიკაცია განიცადა საკითხებისადმი მიდგომებმა; გარკვეული **პროცესების ტრანსფორმაციებმა** განაპირობა ახლებური მეთოდოლოგიებისა და ინსტრუმენტების, ტექნოლოგიური ცვლილებების დანერგვა სწავლა-სწავლებისა და კვლევის პროცესში. წინამდებარე სიახლეების მიმართ საუნივერსიტეტო საზოგადოების მოქმედება იყო უფრო ეფექტიანი, რაც ეფუძნებოდა ცალკეული საუნივერსიტეტო სტრუქტურული ერთეულებისა და ფაკულტეტების, ასევე ინსტიტუტების კოლეგიალურ თანამშრომლობას.

საუნივერსიტეტო ხარისხის განვითარება თავის მხრივ გულისხმობს პირველ რიგში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების **ინსტიტუციურ განვითარებას**, რაც ეტაპობრივად იგეგმება უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ყოველი ახალი საანგარიშო წლის დაწყებისთანავე და უშუალოდ უკავშირდება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წინაშე წაყენებულ ახალ გამოწვევებს. ხარისხის უზუნველყოფის სამსახური კვლევების საფუძველზე ადგენს ცალკეული საკითხის გადაჭრის მიზნით ადამიანური და ინფრასტურქტურული რესურსების მზაობას, განსაზღვრავს კვლევის ინსტრუმენტებსა და მეთოდოლოგიას, შეიმუშავებს კონკრეტულ პროექტებს და ცდილობს მოიპოვოს კონკრეტული მხარდაჭერა, ხარისხის როგორც შიდა, ისე გარე აქტორებისგან. გარდა ამისა, ხშირად ხორციელდება მხარდაჭერა ცალკეული საერთაშორისო ფონდებისა და ორგანიზაციების მხრიდან. 2020 წლის საანგარიშო პერიოდში უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ჩართული იყო და მართავდა ინსტიტუციური განვითარების 6 პროექტს, მათ შორის, 1 შიდა და 5 საერთაშორისო საგრანტო განაცხადის ფარგლებში. წინამდებარე პროექტებიდან 2021 წლისთვის მუშაობას განაგრძობს 5 პროექტი.

უმაღლესი განათლების ხარისხის განვითარების საფუძველს წარმოადგენს არა მხოლოდ ზუსტად შემუშავებული სტრატეგია და გეგმა, ზუსტი და ეფექტურ შედეგზე გათვლილი მიზნები, არამედ წინამდებარე აქტივობის შემსრულებელი მაღალკვალიფიციური ადამიანური რესურსი. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ეტაპობრივად, საერთაშორისო სტანდარტებისა და მოთხოვნების, აქტიური ფაზების შესაბამისად, კვლევის საფუძველზე დაყრდნობით საუნივერსიტეტოს აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის, სტუდენტთა მოთხოვნის გათვალისწინებით შეიმუშავებს საუნივერსიტეტო საზოგადოების **პროფესიული განვითარების ხელშემწყობ ღონისძიებებს**, რომელთა შორის ერთ-ერთ ეფექტურ აქტივობად მიჩნეულია სემინარები, სამუშაო შეხვედრები, ტრეინინგები. მიმდინარე საანგარიშო პერიოდში ქართველი და უცხოელი საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობით განხორციელდა: 46 შეხვედრა პროფესიული განვითარების მიზნით (მათ შორის 33 აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისთვის (715 მონაწილე) და 13 ტრენინგი (573) სტუდენტთათვის).

საანგარიშო პერიოდში, გარდა დაგეგმილი საქმიანობისა, როგორიცაა *უნივერსიტეტში სწავლა-სწავლებისა და კვლევის ხარისხის ამაღლების ხელშეწყობა, გარე შეფასების, მათ შორის, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესების ორგანიზება, საერთაშორისო თანამშრომლობა და საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში უნივერსიტეტის ინტეგრაციის ხელშეწყობა და უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის შემდგომი განვითარება*, ინსტიტუციას ცალკეული ვითარებებიდან და სავალდებულო მდგომარეობიდან გამომდინარე, მოუხდა არაერთი აქტივობის განხორციელება, კერძოდ, მნიშვნელოვანი იყო თანამშრომლობა ხარისხის შიდა და გარე აქტორებთან აკადემიური პერსონალის პროფესიული მხარდაჭერის მიზნით, საერთაშორისო პროექტებსა და პროგრამებში ჩართულობის თვალსაზრისით, რაც დეტალურად იქნება მიმოხილული წინამდებარე ანგარიშში.

2. საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების ხელშეწყობა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებულ 7 ფაკულტეტზე 2020 წელს სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის შემდგომ ირიცხება 22580 სტუდენტი. სტუდენტთა რაოდენობით (5163) ყველაზე დიდი ფაკულტეტია ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, რომელსაც მოსდევს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა (4377), ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა (3610) და იურიდიული (3474) ფაკულტეტები (სხვა ფაკულტეტები: სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა 2594, მედიცინა 1795, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა 1567). გასულ წელს სტუდენტთა მზარდი რაოდენობა დაფიქსირდა ფსიქოლოგიისა და განათლების განათლების, ასევე ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტებზე. ყველაზე მეტი კურსდამთავრებული ფიქსირდება იურიდიულ (1048) და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა (944), ასევე ეკონომიკისა და ბიზნესის (783) ფაკულტეტებზე (ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა - 489, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა - 469, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა - 345, მედიცინის - 216 ფაკულტეტები, სულ: 4296 კურსდამთავრებული).

უნივერსიტეტში სამ ფაკულტეტზე: *ზუსტ და საბუნებისმეტყველო, ფსიქოლოგიისა და განათლების და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტებზე* ფუნქციონირებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული საგანმანათლებლო პროგრამები (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, მათემატიკა (400)/ფილოლოგია, ისტორია, არქეოლოგია, ფილოსოფია, ეთნოგრაფია (450)/განათლების მეცნიერება (75)/ეკონომიკა (400)), მათ შორის დაფინანასებული სასწავლო ადგილების მაღალი ათვისების მაჩვენებელი აქვს ეკონომიკის ფაკულტეტს, ხოლო მაღალი დაფინანსების სტუდენტების ყველაზე დიდი რაოდენობა კი დასტურდება ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეციერებათა ფაკულტეტზე.

საუნივერსიტეტო 7 ფაკულტეტზე 2020 წლის დასასრულს მუშაობდა 238 ქართულენოვანი საგნმანათლებლო პროგრამა უმაღლესი განათლების სამივე საფეხურზე, ხოლო 26 უცხოენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა. ფაკულტეტების შესაბამისად სრული სტატისტიკა

წარმოდგენილია უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შესაბამის ვებგვერდზე.[1]

საგანმანათლებლო პროგრამების მხარდაჭერა უნივერსიტეტში ორი ძირითადი მიმართულებით ხორციელდება:

- ხარისხის შიდა უზრუნველყოფა;
- ხარისხის გარე უზრუნველყოფა;

2.1 ხარისხის შიდა უზრუნველყოფა

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მიზნით ანხორციელებს აქტივობას კომპლექსურად, რამოდენიმე მიმართულებით, კერძოდ,

- საგანმანათლებლო პროგრამების კოლეგიური შეფასება;
- აკადემიური მოსწრების ანალიზი;
- სტუდენტების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვა·შესაბამისი უკუკავშირის სისტემის შექმნა;
- საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების კომიტეტების მუშაობის განახლებული ფორმატის შესახებ;
- სტუდენტთა მონაწილეობა პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებში;
- კრიზისის მართვა: პროცესი და შედეგი
- ნორმატიული დოკუმენტების ადაპტირება;

2.1.1 საგანმანათლებლო პროგრმების კოლეგიური შეფასება

2019 წლიდან უნივერსიტეტისა და საფაკულტეტო ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების ინტენსიური თანამშრომლობით ყოველსემესტრულად ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამების კოლეგიური შეფასება, რაც აძლიერებს ხარისხის კულტურას ინსტიტუციის ფარგლებში, ვინაიდან წინამდებარე პროცესში მონაწილეობას იღებს როგორც აკადემიური ისე ადმინისტრაციული პერსონალი. წინამდებარე პროცესები 2020 წლიდან შეუფერხებლად ხორციელდება პროგრამულ კომიტეტებთან და უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულებში დასაქმებულ დარგობრივ ექსპერტთა, ასევე სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და რიგ შემთხვევაში დამსაქმებელთა ჩართულობით.

უნივერსიტეტში დაიხვეწა 2019 წლიდან დანერგილია ***შიდა შეფასების სისტემა***, რაც, უწინარეს ყოვლისა, ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროგრამების შიდა შეფასების სისტემაში ცალკეულ ფაკულტეტებზე არსებული საუკეთესო პრაქტიკების გაცნობასა და გაზიარებას. შიდა შეფასების სისტემაში განახლებული ტექნიკებისა და მეთოდოლოგიის დანერგვამ ხელი შეუწყო:

- საუნივერსიტეტო სივრცეში ხარისხის კულტურის ამაღლებას;
- სტუდენტთა აქტიურ ჩართულობას პროგრამის შეფასებისა და განვითარების პროცესში;

[1] სტატისტიკური მონაცემები ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://www.tsu.ge/ka/quality-assurance/page/სტატისტიკური-მონაცემები

- რიგ შემთხვევებში დამსაქმებელთა და პრაქტიკის ობიექტების ხელმძღვანელთა აქტიურ მონაწილეობას საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების პროცესში;
- ერთეულ შემთხვევებში კურსდამთავრებულთა გააქტიურებას პროგრამის გაუმჯობესების მიზნით დაგეგმილ პროცესებში;
- პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტის სამუშაო პროცესის გამრავალფეროვნებასა და ფუნქციური დატვირთულობის გაზრდას.

შიდა შეფასების მოდიფიცირებული სისტემის დანერგვამ მოითხოვა გარკვეული პროცედურების დაზუსტება და დეტალური აღწერა. წინამდებარე პროცედურა გასული საანგარიშო პერიოდიდან საჯაროდ, სქემატური სახით განთავსდა უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის ვებ-გვერდზე[2], რათა ის ხელმისაწვდომი იყოს წინამდებარე თემატიკით დაინტერესებული ყველა პირისთვის.

საგანმანათლებლო პროგრამების განმავითარებელი შეფასება (რე)აკრედიტაციის პროცესის ერთგვარი სიმულაციაა, რაც დღიდან მისი ამოქმედებისა გარე შეფასების ექსპერტების მიერ შეფასებულია, როგორც უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დანერგილი საუკეთესო პრაქტიკა (იხ. აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამების ექსპერტთა დასკვნები).
საანგარიშო პერიოდში ქვეყანაში არსებული ეპიდსიტუაციიდან გამომდინარე, შეზღუდული კომუნიკაციის პირობების მიუხედავად, შიდა შეფასება დაიგეგმა იმ საგანმანათლებლო პროგრამებისთვის, რომლებიც

- იმყოფებოდა (რე)აკრედიტაციის პროცესში;
- საჭიროებდა მოდიფიცირებას ახალ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან მიმართებაში.

შესაბამისად შიდა შეფასება განხორციელდა:

- 2020 წლის იანვარი-თებერვალი: 8 საგანმანათლებლო პროგრამა (მათ შორის: 4 - ერთსაფეხურიანი; 2 - სამაგისტრო, 2 - დოქტორანტურის);
- 2020 წლის მაისი-ივნისი: 3 საგანმანათლებლო პროგრამა (მათ შორის: 1 - საბაკალავრო, 2 - დოქტორანტურის);
- 2020 წლის ივლისი-აგვისტო: 4 საგანმანათლებლო პროგრამა (მათ შორის: 1 - საბაკალავრო, 1 - სამაგისტრო, 2 - დოქტორანტურის);
- 2020 წლის სექტემბერ-ოქტომბერი: 8 საგანმანათლებლო პროგრამა (მათ შორის: 1 - საბაკალავრო, 5 - სამაგისტრო, 2 - დოქტორანტურის);
- 2020 წლის ნოემბერ-დეკემბერი: 25 საგანმანათლებლო პროგრამა (მათ შორის: 7 - საბაკალავრო, 12 - სამაგისტრო, 6 - დოქტორანტურის);

2020 წელს შიდა შეფასებას დაექვემდებარა 48 საგანმანათლებლო პროგრამა. შეფასების პროცესში მონაწილეობა მიიღო 448 პირმა. განხილვები გაიმართა ელექტრონული პლატფორმის zoom მეშვეობით. მასში მონაწილეობა მიიღო ფაკულტეტის ადმინისტრაციის სხვადასხვა რგოლის წარმომადგნელებმა, პროგრამის ხელმძღვანელებმა, აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა, სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა, დამსაქმებლებმა და სტაჟირება/პრაქტიკის განმახორციელებლებმა. წინამდებარე შეხვედრებში მონაიწლეობა მიიღო

[2] საგანმანათლებლო პროგრამების კოლეგიალური შეფასებები ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://tsu.ge/ka/quality-assurance/page/საგანმანათლებლო-პროგრამების-კოლეგიალური-შეფასებები

8 სტუდენტმა, რომლებიც ყოველწლიურად სტაჟირებას გადიან ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში.
შეფასების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტრუმენტად უკვე მეორე წელია აქტიურად გამოიყენება ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ფრანკოფონიის საუნივერსიტეტო სააგენტოს (AUF) გრანტის ფარგლებში (დეტალური ინფორმაციისთვის, იხ. თავი 2.2.1) მხარდაჭერილი საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება უცხოელ კოლეგა-ექსპერტების მიერ. 2020 წელს წინამდებარე პროცესში განხილულ იქნა სამი საგანმანათლებლო პროგრამა, მათ შორის: ***ფსიქოლოგიის, ეკონომიკისა და ეკოლოგიის*** (ექსპერტები: დოქტ. ლ.ბეგი, დოქტ. ბ.დეფანსი, დოქტ. ვ.ფლორენსი,) საგანმანათლებლო პროგრამები. ექსპერტთა მოსაზრებებისა და რეკომენდაციის საფუძველზე, 2021 წლისათვის, ზემოხსენებული საგანმანათლებლო პროგრამები განვითარების ფაზის დასრულების შემდგომ მომზადდება რეაკრედიტაციის პროცესში ჩართვის მიზნით.

2.1.2 აკადემიური მოსწრების ანალიზი

უკანასკნელ წლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აქტიურად ცდილობს გამოკითხვებისა და ანალიზის საფუძველზე კვლევების წარმართვას, შესაბამისად, მიმართავს გამოკითხვის სხვადასხვა ინსტრუმენტებს, რომლის მეშვეობით რეგულარულად შესაძლებელია შეფასებულ იქნას სწავლისა და სწავლების არსებითი ასპექტები. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი, რომლის შეფასებას გარკვეული მონაცემების საფუძველზე ძირითადად ანგარიშების სახით წარმოადგენდა უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრი ყოველსემესტრულად 2019 წლის შემოდგომის სემესტრამდე[3].

გლობალური პანდემიისა და ქვეყანაში განვითარებული მოვლენების ფონზე უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა დღის წესრიგში დააყენა სტუდენტთა აკდემიური მოსწრების ყოველსემესტრული შეფასება, რომლის მისაღწევად სასწავლო პროცესის მარეგულირებელ სისტემაში (lms.tsu.ge), მას შემდეგ რაც წინამდებარე სისტემაში განხორციელდა უნივერსიტეტის სამივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრმებზე დარეგისტრირებული სტუდენტთა პირადი სასწავლო ბარათების პორტირება, დაემატა გაუსის ტიპის განაწილების მრუდის გენერირების შესაძლებლობა, რომლის მიხედვით შესაძლებელი გახდა გაანალიზდეს სტუდენტთა აკადემიური მოსწრება ცალკეული სასწავლო კურსების მიხედვით.

მოცემული ანალიზი 2020 წელს სრულყოფილად განახორციელა სამართლის ფაკულტეტმა, ნაწილობრივ ზუსტმა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტმა და გარკვეული მონაცემების შეფასება მოხდა ასევე ფსიქოლოგიისა და განათლების და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტებზე. საფაკულტეტო სპეციფიკიდან გამომდინარე სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზის ჩატარების მიზნით გამოყენებულ იქნა განსხვავებული მეთოდოლოგია და შემუშავდა კონკრეტული რეკომენდაციები. სახელდობრ, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნირებათა ფაკულტეტებმა კვლევის მექანიზმად LMS პორტალში ინტეგრირებული გაუსის ტიპის განაწილება გამოიყენეს. ზუსტ და

[3] საგამოცდო ცენტრის ანალიზები ხელმისაწვდოლია ვებგვერდზე: https://old.tsu.ge/ge/government/administration/departments/examcenter/about/r2ewgq1iswdybjnvs/

საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სამიზნე შერჩევას კი წარმოადგენდა საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების შესავალი სასწავლო კურსების კურსდამთავრებულთა აკადემიური მოსწრება, ხოლო იურიდიული ფაკულტეტის მიერ შესწავლილ იქნა სამართლისა და საერთაშორისო სამართლის საბაკალავრო პროგრამების სასწავლო კურსები, რა დროსაც გათვალისწინებულ იქნა დეტალური პირველადი მონაცემები, შესაბამისი სტატისტიკური მეთოდები და ჯგუფში შესაფასებელ სტუდენტთა ოპტიმალური რაოდენობა. ნიმუშად ქვემოთ მოგვყავს ყველაზე სრულყოფილი ანალიზების შედეგები.

- ✓ ***იურიდიული ფაკულტეტის*** *მიერ გაანალიზებული იქნა 2019-2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში შეთავაზებული 117 საგნის მონაცემი (ჯამში 16 100-ზე მეტი შეფასების კომპონენტი). 79 საგანში დაფიქსირდა შეფასება A - (<20%), ხოლო 35 საგანში კი - A - (<50%). რეგისტრირებულ სტუდენტთა 1/3-ზე მეტის ჩაჭრა კი დაფიქსირდა მხოლოდ 6 საგანში. გაზაფხულის სემესტრში შეთავაზებული საგნების მხოლოდ 71% მოექცა კვლევისათვის აღებული ნიშნულების ფარგლებში. აღსანიშნავია, რომ ერთწლიანი პერიოდისა და დისტანციური სწავლის ფორმატზე გადასვლის გათვალისწინებით, A შეფასების მიმღებ სტუდენტთა რაოდენობა 60-დან გაზრდილია 79 საგნამდე, ხოლო იმ საგნების რაოდენობა, სადაც A - (<50%) იქნა დაფიქსირებული 16-დან 35 საგნამდეა გაზრდილი. ამასთან ერთად, მნიშვნელოვანია, რომ 1/3-ზე მეტი სტუდენტის ჩაჭრა დაფიქსირდა მხოლოდ 6 საგანში, რაც წინა ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 45%-ით ნაკლებია.*
- ✓ ***ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის*** *2019-2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის პერიოდში გამოცხადებული სასწავლო კურსების საბოლოო შეფასებების განაწილების გრაფიკის შედარებამ გაუსის ტიპის განაწილებასთან თვალნათლივ გვაჩვენა, რომ უმრავლეს შემთხვევაში განაწილება არ არის კონცენტრირებული ერთი მნიშვნელობის ირგვლივ და არ წარმოადგენს გაუსის ტიპის (ნორმალურ) განაწილებას. ფსიქოლოგიის მიმართულების სასწავლო კურსებში დადებითი გადახრის ტენდენცია გვხვდება - 79.2%-ში, ნორმალურ განაწილებასთან მიახლოებული - 5.7%, უარყოფითი გადახრა გვხვდება კურსების 7.5%-ში, ხოლო დარჩენილი 7.5% გაურკვევლად არის განაწილებული. განათლების მეცნიერებების მიმართულების სასწავლო კურსებიდან 82.3%-ში გვხვდება დადებითი გადახრა, 11.3% უახლოვდება ნორმალურ განაწილებას, 3.2% უარყოფითად არის გადახრილი, 3.2% - გაურკვეველი. ოკუპაციური თერაპიის პროგრამის სასწავლო კურსების 84.2% დადებითად არის გადახრილი, 15.8% კი ნორმალურ განაწილებას უახლოვდება.*
  ჯამურად-ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე გამოცხადებული სასწავლო კურსებიდან: დადებითი განაწილება- 81.3%, ნორმალური განაწილება-9.7%, უარყოფითი განაწილება-4.5%, გაურკვეველი-4.5%. ამ მონაცემებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ სასწავლო კურსების დიდი უმრავლესობის (80 პროცენტზე მეტი) შემთხვევაში სტუდენტების შეფასებები იყო მაღალი, A ან B.
- ✓ ***ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის*** *საბაკალავრო პროგრამების სასწავლო კურსებზე სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგმა, მსგავსად ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტისა, აჩვენა, რომ ელექტრონული სწავლების ფორმატში გაუსის ტიპის განაწილება წინა წლის მონაცემებთან შედარებით არათანაბარია. კერძოდ, 2020 წლის გაზაფხულის სემესტრში გამოცხადებული სასწავლო კურსების ანალიზის მიხედვით, სტუდენტთა შეფასებები*

მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, რაც სავარაუდოდ განპირობებულია ელექტრონული სწავლების სპეციფიკით.

- ✓ ***ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის*** *მიერ მიმდინარე წელს შეფასდა საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების შესავალი სასწავლო კურსების კურსდამთავრებულთა აკადემიური მოსწრება. შეფასების შედეგებმა ცხადყო, რომ ელექტრონული სწავლების ფორმატში მნიშვნელოვანი განსხვავებები 2019 წლის შედეგებთან შედარებით არ გვაქვს. სტუდენტთა აკადემიური მოსწრება უცვლელი დარჩა ან უმნიშვნელოდ შეიცვალა, რაც საგრძნობ განსხვავებას არ გვაძლევს.*

სტუდენტთა აკადემიური მოსწრების სისტემური და სისტემატური მონიტორინგი მნიშვნელოვან გამოწვევად გვესახება, საკითხის სირთულიდან გამომდინარე. ვფიქრობთ, საჭიროა აკადემიური მოსწრების მონიტორინგისას გამოყენებული იქნას მრავალფეროვანი მექანიზმები, რომლებიც საშულებას მოგვცემს შევაგროვოთ ამომწურავი ინფორმაცია სხვადასხვა სამიზნე ჯგუფების საჭიროებების გათვალისწინებით. ამ მიზნით, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზის პროცესში, ვფიქრობთ, სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის მიერ სასწავლო კურსის შეფასების გარდა, წარმატებით შეიძლება გამოყენებულ იქნას სტუდენტთა მიერ კურსის ფარგლებში განხორციელებული თვითშეფასებაც, რაც საშუალებას მოგვცემს დავინახოთ სტუდენტთა ობიექტური თვითაღქმა ამა თუ იმ სასწავლო კურსის ფარგლებში მათ მიერ გაწეული სამუშაოების შესახებ.

აქვე უნდა აღინიშნოს ის საერთაშორისო ტენდენცია, რომელმაც ცალსახად იჩინა თავი სტუდენტთა აკადემიური ანალიზის ჩატარების შემდგომ, კერძოდ, კოვიდ პანდემიის პერიოდში არაერთ უცხოურ უნივერსიტეტში დაფიქსირდა საშუალო მოსწრების სტუდენტთა აკადემიური მოსწრების აწევა შეფასების სკალაზე. წინამდებარე ინფორმაცია გაჟღერდა დუბლინისა და ბერლინის ჰუმბოლდტის უნივერსიტეტების წარმომადგენელთა მხრიდან ევროპის უნივერსიტეტთა ასოციაციის ფოკუს-ჯგუფის სამუშაო ფორმატში 2020 წელს გამართულ უკანასკნელ შეხვედრაზეც.

2.1.3 სტუდენტების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვა· შესაბამისი უკუკავშირის სისტემის შექმნა

2019 წლიდან უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აქტიურად თანამშრომლობს ფსიქოლოგიისა და განათლების, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტების აკადემიურ პერსონალთან და დოქტორანტებთან და რეგულარულად ახორციელებს კვლევებს სხვადასხვა მიმართულებით. წინამდებარე პროცესის მომზადებაში ჩართულია ფსიქოლოგიის დეპარტამენტის აკადემიური პერსონალი, დოქტორანტები და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის სტაჟიორი სტუდენტები. კითხვარის აპარატის შემუშავება და შეფასება ყოველწლიურად მიმდინარეობს: ძირითად და არსებით თემებს ემატება ყველა ის საკითხი, რომელიც მომდინარეობს უნივერსიტეტის წინაშე წამოჭრილი სიახლეებისა და გამოწვევების შესწავლის შემდგომ. კვლევის შედეგების მასალების მოგროვება და სისტემატიზაცია ხდება სტაჟიორი სტუდენტების მიერ, ხოლო მასალას გადაამუშავებს

დარგობრივი სპეციალისტების ჯგუფი. საბოლოო ანალიზები ქვეყნდება სამსახურის ვებგვერდზე[4], ამას გარდა ის გაზიარებულია სამიზნე ჯგუფებში.

2020 წელს ჩატარებული კვლევებიდან მნიშვნელოვნად სახელდება და მონაცემების მიხედვით არსებითად უნდა ჩაითვალოს შემდეგი კვლევები:

- ✓ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა დისტანციური სწავლების შესახებ - 2020 წლის დეკემბერი;
- ✓ აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვა ელექტრონულ სწავლებასთან დაკავშირებით - 2020, დეკემბერი;
- ✓ სტუდენტთა კმაყოფილების გამოკითხვა გაზაფხულის სემესტრში დისტანციურად ჩატარებული სასწავლო კურსების შესახებ - 2020, ივლისი;
- ✓ სტუდენტთა გამოკითხვა დისტანციური სწავლების შესახებ - 2020, აპრილი;
- ✓ აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვა დისტანციურ სწავლებასთან დაკავშირებით - 2020, აპრილი;
- ✓ ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის გამოკითხვა დისტანციური საქმისწარმოების შესახებ - 2020, აპრილი.

ფაქტობრივად, გამოკითხვების სამი ფაზა გამოიკვეთა. პირველ რიგში, გამოკითხვები და, შესაბამისად, კვლევები დაიწყო გლობალური პანდემიის გამო, დისტანციურ რეჟიმში სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების ადაპტაციისთანავე. შემდგომ ეტაპზე შეფასდა სასწავლო პროცესი, კერძოდ, დისტანციურად ჩატარებული სასწავლო კურსები. 2020 წლის შემოდგომი სემესტრის დასასრულს, დისტანციური სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების დასრულებისთანავე, მნიშვნელოვანი გახდა ახალი მონაცემების დამუშავება შედარების მიზნით.

გამოკითხვების ანალიზის საფუძველზე კვლევებმა აჩვენა სტუდენტთა საშუალო ჩართულობა (2104 პირი) წინამდებარე პროცესებში, მათ შორის ყველაზე მაღალი იყო ბაკალავრიატის სტუდენტთა მონაწილეობა კვლევებში. გამომდინარე ბაკალავრიატის სტუდენტთა მაღალი აქტიურობიდან, საჭიროდ იქნა მიჩნეული გამოპასუხების დონის მაჩვენებლების დათვალა წინამდებარე საგანმანათლებლო საფეხურისთვის, რამაც აჩვენა, რომ რიგ შემთხვევებში საერთო მაჩვენებლებთან შედარებით, ბაკალავრიატის შემთხვევაში გამოპასუხების დონის მაჩვენებლები გაუმჯობესდა. მოცემული კვლევების შედეგად: *გამოკითხულ სტუდენტთა უმრავლესობა (38%) ელექტრონული სწავლების პროცესს მიმდინარე სემესტრში ნეიტრალურად აფასებს. თუმცა მაღალია უკმაყოფილების პროცენტი (51%) იმ სტუდენტებისა, რომლებიც აფასებენ სასწავლო პროცესში ჩართულობის ტექნიკურ მხარეს. რაც შეეხება ელექტრონული სწავლების პროცესს დადებითად შეფასებების მაღალი მაჩვენებელი აქვს ეკონომიკისა და ბიზნესის (48.4%), ხოლო ყველაზე მაღალი ნეგატიური მონაცემები - ფსიქოლოგიის და განათლების მეცნიერებათა (43.2%) ფაკულტეტებს.*

აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვის ანალიზმა, რომლის გამოპასუხების კოეფიციენტი იყო 11%, აჩვენა, რომ ელექტრონული დისტანციური სწავლება სალექციო (63%) და სასემინარო (59,7%) ფორმატში ZOOM-ის ელექტრონულ პლატფორმაზე შეუფერხებლად მიმდინარეობს, რაც ადასტურებს ასევე უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მაორგანიზებელი

[4] დეტალური ინფორმაცია 2020 წლის კვლევიების შესახებ·ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://tsu.ge/ka/quality-assurance/page/კვლევები-და-გამოკითხვები

ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას (2020 წელს უნივერსიტეტის მიერ შესყიდულ იქნა ZOOM-ის ელექტრონული პლატფორმის 500 ანგარიში). თუმცა, აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვამ აჩვენა სტუდენტთა ჩართულობის დაქვეითება სასწავლო პროცესში (24,5%); მათი მხრიდან ასევე აღინიშნა ელექტრონული სწავლების ტექნოლოგიების გაუმჯობესება (45.8%);
ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის გამოკითხვა იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რამდენადაც მოცემულ პირობებში ძირფესვიანად იცვლებოდა სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის სერვისული მომსახურება. წინამდებარე რგოლის სინქრონული მუშაობა დიდწილად განაპირობებდა სასწავლა, კვლევითი და სერვისული მომსახურების გამართულობას. *ცხრილში 1* წარმოდგენილი კვლევის ინსტრუმენტები, მექანიზმები, მეთოდოლოგია და შედეგები:

წინამდებარე გამოკითხვამ აჩვენა, რომ ადმინისტრაცული პერსონალი მეტწილად მომზადებული შეხვდა დისტანციური კომუნიკაციისა და საქმისწარმოების პროცესს, ვინაიდან უნივერსიტეტში რამოდენიმე წელია ფუნქციონირებს ელექტრონული საქმის წარმოება; და თუ მაინც არსებობს კონკრეტული გასაუმჯობესებელი სფეროები, ეს ძირითადად უკავშირდება წინამდებარე პროცესების ტექნიკურ და ტექნოლოგიურ გამართულობას.

აქტუალური და მნიშვნელოვანი იყო აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვა, ვინაიდან წინამდებარე ფოკუს-ჯგუფს ადმინისტრაციული პერსონალისგან განსხვავებით დისტანციური კომუნიკაციის მეშვეობით სამუშაო პროცესების წარმართვის უფრო დაბალი ხარისხი ჰქონდა. მოცემული გამოკითხვების ანალიზის შედეგები ასევე წარმოდგენილია სქემატურად (იხ. *ცხრილი 2*).

გამოკითხვებმა აჩვენა, რომ დისტანციური სწავლების პროცესში ყველაზე აქტუალურ ელექტრონულ პლატფორმად დასახელდა ZOOM-ი, თუმცა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა და მედიცინის ფაკულტეტზე მეორე ადგილს იკავებდა E-learning (Moodle), ხოლო იურიდიულ, ეკონომიკისა და ბიზნესის, ჰუმანიტარულ და სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტებზე - ელექტრონული მართვის სისტემა (LMS).

როგორც ცნობილია, დისტანციური სწავლების სინქრონულ ფორმას რიგი ფაკულტეტები მოგვიანებით შეუერთდა (მაგ., ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა), შესაბამისად, ლექტორთა 79%-მა აღნიშნა, რომ მათი ლექციების/სემინარების/სამუშაო ჯგუფების/ პრაქტიკუმების 70%-ზე მეტი სინქრონულად მიმდინარეობდა. მათ შორის, 52%-ის შემთხვევაში, ლექციათა 100%-ია სინქრონული. რაც შეეხება ფაკულტეტის მიხედვით მონაცემებს, ლექციების/სემინარების/სამუშაო ჯგუფების/პრაქტიკუმების 100%-ით სინქრონულობის ყველაზე მაღალი მაჩვენებლები (70-69%) ზუსტ და საბუნებიმეტყველო მეცნიერებათა და ეკონომოკისა და ბიზნესის ფაკულტეტებზე გამოვლინდა.

ფაკულტეტების უმრავლესობის შემთხვევაში პროფესორთა 50%-ზე მეტი სტუდენტთა სწორედ 75%-ზე მეტ დასწრებას აღნიშნავს. დისტაციური სწავლების მიმართ ადაპტაცია უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის მაქსიმალურად დიდმა რაოდენობამ მოახერხა, თუმცა დაფიქსირდა ასევე გასაუმჯობესებელი თემები, რაც ძირითადად საუნივერსიტეტოს ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას უკავშირდებოდა. ასევე წამოყენებული იყო მოთხოვნა, რომ აკადემიურ პერსონალი მეტად ყოფილიყო მხარდაჭერილი თანამედროვე ტექნოლოგიების დაუფლების პროცესში.

დღეს უნივერსიტეტის ყველაზე მნიშვნელოვანი ამოსავალი მოქმედი პირი *სტუდენტია*, რომლის მიმართ ფოკუსირდება ყველა საუნივერსიტეტო პროცესი და პროცედურა, მით უფრო სწავლისა და კვლევის პროცესები. არსებულ ვითარებაში, როცა გლობალური პანდემია სტუდნტთა ფინანსურ და მატერიალურ კეთილდღეობას დაუპირისპირდა, უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის შეწყვეტაზე გადაწყვეტილება მიიღო მოქმედ სტუდენტთა მხოლოდ დაახლოებით 10%-მა. თუმცა, სასწავლო პროცესში მიმდინარე ცვლილებებამდე, საფაკულტეტო ადმინისტრაციებმა იმთავითვე მიიღეს ზომები, გამოვლინდა პრობლემური საკითხები და მიღებულ იქნა გადამჭრელი ზომები. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა საკითხის სიღრმისეული შესწავლის მიზნით, დამატებით ჩაატარა წამოჭრილ საკითხებზე დეტალური გამოკითხვა. გამოკითხვის აღწერილობა მოცემულია *ცხრილ 3*-ში.

ფაკულტეტების მიხედვით ანალიზმა აჩვენა, რომ საერთო მაჩვენებლების მსგავსად ZOOM და LMS პირველ და მეორე ადგილს იკავებს ეკონომიკისა და ბიზნესის, იურიდიულ, სოციალურ-პოლიტიკურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტებზე, ხოლო მედიცინის, ზუსტ და საბუნებისმეტყველო, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტებზე მეორე ადგილზე ინაცვლებს E-learning (Moodle). სტუდენტებმა 5 ბალიან სკალაზე შეაფასეს ელექტრონული სწავლების ფორმატის ეფექტურობა. 24% თვლის, რომ ელექტრონული სწავლებას რულია და არაეფექტურია, 10% თვლის, რომ ექტრონული სწავლება ძალიან ეფექტურია, ხოლო უმრავლესობა (26%) მას საშუალოდ აფასებს. სკალაზე უარყოფითი შეფასების მაჩვენებლები მცირედით აღემატება დადებითი შეფასებების მაჩვენებლებს, რომელიც წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ გრაფიკზე:



გრაფიკი 1: ელექტრონული სწავლების ეფექტურობის შესახებ

სტუდენტები (19%) ასევე გამოთქვამენ უკმაყოფილებას ელექტრონული სწავლების ხარისხზე. წინამდებარე მონაცემების ინტერპრეტაციის მიზნით დამუშავდა რამდენიმე ცვლადი, მათ შორის *ლექციაზე დასწრების*, რომლის თანახმად დაბალია ლექციაზე დასწრების პროცენტი, რაც უწინარესად განპირობებულია ტექნიკური პრობლემით, ანუ ელექტრონულ პლატფორმაზე ხარვეზული წვდომით. დადებითად ფასდება სტუდენტების მიერ პროფესურის მიერ წარმართული სალექციო პროცესი და მათი პროფესიონალიზმი. სტუდენტებმა ღიად

დააფიქსირეს კონკრეტული პრობლემები და ასევე მათ მიერ შემოთავაზებულია ამ პრობლემების გადაწყვეტის გზები.

ფაქტობრივად იგივე მეთოდოლოგიით 2020 წლის ივლისში *შეფასდა სასწავლო კურსები* სტუდენტების მიერ, სადაც გაანალიზდა შემდეგი თემები[5]:

- ✓ შეფასების სისტემის რელევატურობის შესახებ;
- ✓ სასწავლო მასალის ხელმისაწვდომობის შესახებ;
- ✓ სასწავლო პროცესში სტუდენტზე ფოკუსირებული განმავითარებელი გარემოს შექმნის შესახებ;
- ✓ სააუდიტორიო სწავლებასთან მიმართებაში დისტანცურ რეჟიმში სწავლების ხარისხის ეფექტურობის შესახებ;
- ✓ სასწავლო კურსების რელევანტურობის (როდენობა, სიახლე) შესახებ;
- ✓ სასწავლო კურსის წამყვანი პედაგოგის მიერ სასწავლო პროცესის ეფექტური მართვის შეხებ;
- ✓ სასწავლო კურსის დისტანციურად ჩატარების კმაყოფილების შესახებ;

წინამდებარე გამოკითხვამ პრაქტიკულად აჩვენა (დანართში წარმოდგენილია რამდენიმე მნიშვნელოვანი დიაგრამა), რომ საუნივერსიტეტო აკადემიური გუნდი მაქსიმალურად ცდილობს დისტანციური სწავლების პროცესში მაქსიმალურად ეფექტურად მართოს სასწავლო პროცესი, რაც თავის მხრივ გულისხმობს, შეფასების ეფექტურ სქემას, რელევანტურ სასწავლო მასალასა და დროულ კომუნიკაციას სტუდენტთან სასწავლო პროცესის ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით. გაცილებით მაღალია სტუდენტთა ჩართულობა და ქმედითობა სასწავლო პროცესში, თუმცა დისტანციური სწავლების ფორმატით უკმაყოფილონი არიან ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტები, ვინაიდან მათი რიგი სასწავლო კურსების ფორმატი გულისხმობს ლაბორატორიულ და პრაქტკულ სამუშაოებს, რისთვისაც ნაკლებად ეფექტურია დისტანციური სწავლება. ის ფაქტი, რომ ელექტრონული პლატფორმების გამოყენება მანამდეც ეფექტურად ხორციელდებოდა ზუსტ და საბუნებისმეტყველო და ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტებზე, ცალკეული პუნქტებიდანაც კარგად ჩანს, როგორიცაა მასალის დროული მიწოდება, განახლებული და აქტუალიზებული სასწავლო მასალების გაცნობა.

2020 წლის შემოდგომის სემესტრში ასევე განმეორდა კვლევები, რათა დინამიკაში გამოჩენილიყო სასწავლო პროცესის მიმდინარეობა. მით უფრო, რომ საუნივერსიტეტო ადმინისტრაციულმა რგოლებმა არაერთი მნიშვნელოვანი სამუშაო ჩაატარეს (რაზეც ქვემოთ კიდევ დეტალურად წარმოვადგენთ ინფორმაციას) დისტანციური სასწავლო პროცესის გამართულობის მიზნით და ყველა იმ გასაუმჯობესებელი საკითხების გასამართავად, რაც აჩვენა გაზაფხული სემესტრის გამოკითხვების შედეგების ანალიზმა. 2020 წლის დეკემბერში ჩატარდა ორი ფართომასშტაბიანი გამოკითხვა, რომელთაგან პირველის ფოკუს-ჯგუფი იყო *აკადემიური და მოწვეული პერსონალი* (იხ. *ცხრილი 4*), ხოლო მეორე შემთხვევაში - *სტუდენტები* (იხ. *ცხრილი 5*).

თუ შევადარებთ მონაცემებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვების პროცესში გამოპასუხების დონე დაწეულია 4%, თუმცა ფაკულტეტების მიხედვით მონაცემთა შედარებამ

[5] დანართში გრაფიკების სახით წარმოდგენილია გამოკითხის უმნიშვნელოვანესი საკითხები.

აჩვენა, რომ გამოკითხვაში მონაწილეობა გაზრდილია სოციალურ და პოლიტიკურ (5%), ფსიქოლოგიისა და განათლების (7%) მეცნიერებათა და იურიდიულ (6%) ფაკულტეტებზე.

მეტ-ნაკლებად დაძლეულ იქნა სასწავლო პროცესის მართვის პრობლემები, ტექნიკური გამართულობა და უწყვეტობა (რაც განპირობებული იყო ელექტრონული პლატფორმის ZOOM ანგარიშების შეძენით); სწავლების მეთოდოლოგია დაიხვეწა; სასწავლო პროცესში ჩართულია აკადემიური და მოწვეული პერსონალის მაღალი პროცენტი. თუმცა, გარკვეულწილად პრობლემურად რჩება სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემასა და ელექტრონული სასწავლო პლატფორმაზე დიდი მოცულობის სასწავლო მასალების ატვირთვის შესაძლებლობა და საბიბლიოთეკო წიგნადი ფონდის სრულყოფილად გაციფრულება.

ასევე მნიშვნელოვანი იყო სტუდენტთა გამოკითხვა 2020 წლის შემოდგომის სემესტრში, რომლის შედეგები წარმოდგენილია აგრეთვე დანართში.

მართალია, გამოპასუხების დონე სტუდენტების შემთხვევაში კვლავ 14% დარჩა, მაგრამ ყველაზე არსებითი ცვლილება კარგად გამოჩნდა ამ მიმართულებით ცალკეული ფაკულტეტების მონაცემების დათვალიერებისას. გამოპასუხების დონე მკვეთრად დაეცა მეტწილ ფაკულტეტებზე, იქაც კი სადაც წინა სემესტრში მაღალი იყო, 6 ფაკულტეტზე დაწეულია საშუალოდ 4%-ით, ხოლო ერთადერთი ფაკულტეტი, სადაც გამოპასუხების დონე 8% აიწია, არის მედიცინის ფაკულტეტი.

სტუდენტთა მოთხოვნები წინა გამოკითხვასთან შედარებით გაუმჯობესებულია, თუმცა სტუდენტები თვლიან, რომ სწავლებისა და შეფასების მეთოდები ჯერ კიდევ მოუქნელია არსებულ სასწავლო პროცესთან და საჭიროებს მისადაგებას. ასევე არსებითად გასაუმჯობესებელ თემად არის მიჩნეული კომუნიკაცია ადმინისტრაციის სხვადასხვა რგოლთან. სასურველია ასევე სტუდენტური მხარდაჭერის სერვისების ადაპტაცია არსებულ მოცემულობასთან[6].

2.1.4 საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების კომიტეტების მუშაობის განახლებული ფორმატის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამა არ არის სტატიკური საუნივერსიტეტო სეგმენტი, ის მუდმივად იცვლება, განვითარების საფუძველზე იხვეწება და ვითარდება. იმისათის რათა საგანმანათლებლო პროგრამის განვითარება იყოს შედეგიანი და თანამედროვე მოთხოვნებზე ორიენტირებული, მასში მიმდინარე პროცესები ყველა იმ დაინტერესებული პირისთვისაა ხელმისაწვდომი, ვინც საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი და მონაწილეა. შესაბამისად, უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებას მუდმივად თვალყურს ადევნებს საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვისა და შემუშავების მხარდამჭერი კომიტეტები, რომლებიც 2018 წლიდან ფუნქციონირებს და ჩართულია საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების პროცესში. აღნიშნული კომიტეტების ფუნქციონირება იმდენად მნიშვნელოვანია საგანმანათლებლო პროგრამების ქმედითუნარიანობისთვის, რომ მისი ფუნქციონალური აღწერლობა დანართის (3) სახით შესულია *საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვისა და შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურაში* (დადგენილება

[6] გამოკითხვები და კვლევები ხელმისწვდომია ვებგვერდზე: https://tsu.ge/ka/quality-assurance/page/ანალიზი

N: 100/2019, განახლებულია 2020 წლის 24 თებერვალს, იხ. აკადემიური საბჭოს დადგენილება N16)[7].

კომიტეტის ქმედითუნარიაობის დასტურად უნდა მივიჩნიოთ კომიტეტის აქტიური ჩართულობა საგანმანათლებლო პროგრამის არამხოლოდ რეაკრედიტაციის პროცესებში. კომიტეტმა 2020 წელს გააქტიურა მოქმედების არეალი. ამჟამად ხშირია მისი ჩართულობა შიდა შეფასების პროცესებში, სადაც კომიტეტის წევრების მიერ შემოთავაზებული სიახლეები და მიგნებები ხშირად ასახვას ჰპოვებს პროგრამის განახლებულ ვერსიში.

საგანმანათლებლო პროგრამების შიდა შეფასების პროცესში 2020 წელს ჩართული იყო 17 პროგრამული კომიტეტი (მათ შორის: ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი - 1, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი - 3, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკუტეტი - 2, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი - 11 კომიტეტი.). კომიტეტის საქმიანობა ხელს უწყობს და საფუძველს ქმნის პროგრამის განახლებისთვის. კომიტეტის მიერ შემუშავებული საკითხები მნიშვნელოვანი სახელმძღვანელო დოკუმენტია საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ჯგუფისთვის გარე შეფასებისთვის მზადების პროცესში.

პროგრამის განვითარების მხარდამჭერი კომიტეტის მუშაობის პრაქტიკას გაეცნო 2020 წლის ევროპის უნივერსიტეტების ასოციაციის ფარგლებში მომუშავე თემატური ჯგუფი, სადაც ქართულმა მხარემ დეტალურად გააცნო სამუშაო ჯგუფს კომიტეტის მოქმედების პრინციპები და მათი ქმედების პოზიტიური შედეგები, რის შემდგომ თემატური ჯგუფის მიერ კურიკულუმის დაგეგმვის თანამშრომლობითი მიდგომა ჩათვლილ იქნა საუკეთესო და გასაზიარებელ პრაქტიკად აკადემიურ პროცესებში ხარისხის კულტურის ამაღლების მიზნით.

ზემოხსენებული ვითარებიდან გამომდინარე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მიზანშეწონილად მიიჩნევს ***გაიწეროს პროგრამის განვითარების კომიტეტების მუშაობის განახლებული ფორმატის შესაბამისი მოქმედების პროტოკოლი.***

2.1.5 სტუდენტთა მონაწილეობა პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებში

სტუდენტთა მონაწილეობა საუნივერსიტეტოს პოლიტიკის შექმნაში დღეს მნიშვნელოვანი თეზისია უმაღლესი განათლების სისტემის განვითარებისთვის. წინამდებარე პროცესი საშუალებას იძლევა საუნივერსიტეტო პროცესები წარიმართოს გამჭვირვალედ, აკადემიური სტანდარტების მოთხოვნით და სწავლა-სწავლების, კვლევის, სერვისებისა და უმაღლესი სასწავლებლის მართვის პროცესები ორიენტირებული იყოს განვითარებასა და წარმატებაზე. აღნიშნულ პროცესებში უმაღლესი სასწავლებლების პოლიტიკის ცენტრირების ობიექტი არის სტუდენტი, მოქალაქე, რომელიც პასუხისმგებელია მომავალში ქვეყნის განვითარებაზე.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტთა თვითმმართველობა აქტიურად მონაწილეობს საუნივერსიტეტო პოლიტიკის ცალკეული საკითხების შემუშავებაში, მაგრამ ეს არის ფაკულტეტებიდან დელეგირებულ სტუდენტთა მხოლოდ ნაწილი. 2018 წლიდან უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აქტიურად თანამშრომლობს სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლებთან, თუმცა სტუდენტური თემების გაფართოების მიზნით სამსახურში ამავე წლის მაისიდან ფუნქციონირებს საგანგებო

[7] ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://tsu.ge/ka/legalakad/15843

შეხვედრების საათი (ყოველკვირეული შეხვერები პარასკევს), სადაც სამსახური დამატებით ეცნობა სტუდენტურ პრობლემებს. არსებული გლობალური პანდემიის პირობებში წინამდებარე აქტივობა გარკვეულწილად შეზღუდულია, თუმცა სასწავლო პროცესის მართვის სისტემის (lms.tsu.ge) მეშვეობით კონტაქტი მუდმივია სტუდენტებთან. მსგავსი შეხვედრების შემდგომ გამოიკვეთა ცალკეული თემები, რომელიც უშუალოდ უკავშირდება სასწავლო და კვლევით პროცესებს და სტუდენტთა ჩართულობას ამ პროცესებში. შესაბამისად, გაფართოვდა სტუდენტთა მონაწილეობის არეალი უშუალოდ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებში, კერძოდ, სტუდენტები:

- მონაწილეობენ საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვისა და შემუშავების მხარდამჭერი კომიტეტების მუშაობაში (უნივერსიტეტში არსებულ 238 საგანმანათლებლო პროგრამის მუშაობაში ჩართულია 51 პროგრამული კომიტეტი.), მათ შორის სამივე საფეხურის 150 სტუდენტი;
- დაინტერესებულნი არიან საგანმანათლებლო პროგრამების შიდა შეფასების პროცესებითაც. სახელდობრ, მხოლოდ 2020 წელს შიდა შეფასების პროცესში მონაწილეობა მიიღო 71 სტუდენტმა, როგორც პროგრამის მხარდამჭერი კომიტეტის წევრმა, ხოლო 11 სტუდენტმა, როგორც შეფასებაში მონაწილემ. გამოდინარე იქიდან, რომ დიდია სტუდენტთა დაინტერესება ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებში მონაწილეობაში, 2020 წლიდან უნივერსიტეტში ფუნქციონირებს პროექტი ***სტუდენტთა შესაძლებლობების გაზრდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფაში მათი ჩართულობისთვის***, რომლის ინიცირება მოხდა უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მხრიდან, სტუდენტური თვითმმართველობის ორგანიზებით, ხოლო დაფინანსება იტვირთა საერთაშორისო განათლების ცენტრის კურსდამთავრებულთა ასოციაციამ. პროექტი ხორციელდება შოტლანდიური ორგანიზაციის „Sparqs" (Student partnerships in quality Scotland)" მხარდაჭერით, რომელიც ეხმარება უნივერსიტეტებს ხარისხის უზრუნველყოფის პროცესები განხორციელდეს სტუდენტებთან თანამშრომლობით. პროექტი მიზნად ისახავს სტუდენტების აქტიურ ჩართულობას საგანმანათლებლო პროგრამებისა და სწავლა-სწავლების ხარისხის განვითარების პროცესებში, რომლის შედეგად სტუდენტთა მოსაზრებებს წარედგინება პროგრამის განმახორციელებელ, ასევე ადმინისტრაციულ პერსონალს, რაც გულისხმობს მუდმივ ზრუნვას სტუდენტების სწავლის გამოცდილების გაუმჯობესებაზე. პროექტის ძირითადი ამოცანაა უნივერსიტეტში, ერთი მხრივ, ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში სტუდენტების გაზრდილი თანამონაწილეობის მხარდაჭერა; მეორე მხრივ, სტუდენტთა თვითმმართველობის, როგორც დამოუკიდებელი ინსტიტუციის გაძლიერება და დემოკრატიულ პრინციპებზე დაფუძნებული მმართველობის პრაქტიკის დანერგვის ხელშეწყობა.

  შოტლანდიური ორგანიზაცია უზრუნველყოფდა ტრენინგებს პროექტში მონაწილე სტუდენტებისა (35) და თანამშრომლებისთვის (7) უნივერსიტეტში „პროგრამის წარმომადგენლის" პრაქტიკის დანერგვის მიზნით. სტუდენტები და აკადემიური პერსონალი შეირჩა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტიდან, მათთვის ჩატარდა 5 მოსამზადებელი (სადაც განხილული იყო პროექტში მონაწილე სტუდენტთა შერჩევის მეთოდოლოგია და შესაბამისად, კრიტერიუმები) შეხვედრა და 4

ტრენინგი სტუდენტთათვის 2020 წლის დეკემბერში. ტრენინგი ითვალისწინებდა შემდეგი მნიშვნელოვანი თემების განხილვას აკადემიური პერსონალისთვის:

- ✓ პანდემიის ეპოქის სასწავლო პროცესის ძირითადი გამოცდილება და გამოწვევები;
- ✓ აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა თანამშრომლობის შესახებ.

სტუდენტების ტრენინგების ფარგლებში, სტუდენტებს შოტლანდიური ორგანიზაციის ტრენერებმა გააცნეს სტუდენტი-წარმომადგენლის ფუნქციები და როლი. სტუდენტები ასევე გაეცნენ სტრატეგიებს, რაც დაეხმარება მათ:

- ✓ გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირებაში;
- ✓ სტუდენტებისგან უკუკავშირის მოპოვების ეფექტიანი გზების და სტრატეგიების შემუშავებაში;
- ✓ უკუკავშირის შეგროვებასა და ანალიზში;
- ✓ სტუდენტთა უკუკავშირის აკადემიურ ან/და ადმინისტრაციულ პერსონალთან კომუნიკაციაში;
- ✓ საგანმანათლებლო პროგრამების გაუმჯობესების პროცესში აქტიურ და ეფექტიან ჩართულობაში;
- ✓ სტუდენტებისთვის მათი მუშაობის შედეგების კომენტირებაში.

წინამდებარე პროექტის განვითარებისა და მის მიერ სრულიად საუნივერსიტეტიო სივრცის დაფარვის მიზნით, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუველყოფის სამსახური, ისევე, როგორც უკვე პირველ ეტაპზე მომზადებული აკადემიური პერსონალი და სტუდენტები, გეგმავს ახალი ფაზის საპროექტო განაცხადის შემუშავებას.

- სტუდენტები 2019 წლიდან პრაქტიკას გადიან, როგორც უნივერსიტეტის, ისე საფაკულტეტო ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებში. 2020 წელს პრაქტიკაზე მყოფ სტუდენტთა რაოდენობამ მიაღწია 44-ს, მათ შორის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში პრაქტიკას გადის 4 სტუდენტი. წინამდებარე პრაქტიკის მნიშვნელობა მდგომარეობის იმაში, რომ წინამდებარე აქტივობა უშუალოდ უკავშირდება საგანმანათლებლო პროგრამის ცალკეულ სასწავლო კურსში ჩაშენებული პრაქტიკის კომპონენტის რეალიზაციას. პრაქტიკის მონაწილე სტუდენტები გადიან შესაბამის სასწავლო დისციპლინას და სასწავლო კურსის მიმდინარეობის მეორე კვირიდანვე სასწავლო კურსის პრაქტიკულ ნაწილს აკვირდებიან უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის როგორც ცენტრალურ, ისე იერარქიულად დაბალ რგოლებში. გარდა ამისა 2020 წლის ზამთრის სემეტრში პრაქტიკის მონაწილე სტუდენტები აქტიურად არიან ჩართულები საგანმანათლებლო პროგრამების (რე)აკრედიტაციის პროცესში და უშუალოდ ახორციელებენ სააკრედიტაციო პაკეტის ცალკეული კომპონენტის შეფასებას. შიდა შეფასების და განხილვის პროცესში მონაწილეობა აქვს მიღებული პრაქტიკის მონაწილე 26 სტუდენტს.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი აქტივობის შეჯერების საფუძველზე უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური 2021 წლის განმავლობაში გეგმავს: ***სტუდენტთა მონაწილეობის გაფართოებას ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებში, აღნიშნული აქტივობისთვის შესაბამისი ინსტრუმენტების შემუშავებასა და ტრენინგების მეშვეობით თითოეული ფაკულტეტის სტუდენტთა ჯგუფებში დანერგვას.***

2.1.6 კრიზისის მართვა - პროცესი და შედეგი

საანგარიშო წელს გლობალური პანდემიით გამოწვეული ვითარებიდან გამომდინარე უნივერსიტეტის კრიზისის მართვის რეჟიმში აღმოჩნდა, რაც განსაკუთრებულ ძალისხმევას მოითხოვდა საკუთრივ ინსტიტუციისაგან. ზოგადად ცნობილია კრიზისის მართვის ძირითადი ამოსავალი დებულებები: *მართებული რესურები, ზუსტი დრო და ზუსტი ადგილი*, რაც კარგად და ქმედითად გამოიყენა როგორც ინსტიტუციამ, ისე სამსახურმა. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა პრაქტიკულად პირველივე დღეებში, იმ დროს როდესაც უნივერსიტეტმა 2 კვირიანი ტაიმაუტი გამოაცხადა პოზიციათა შეჯერებისა და ვითარებაში ადაპტაციისათვის, აქტიურად წარმართა არაერთი მნიშვნელოვანი და საკვანძო პროცესი აკადემიური წლის ნორმალიზაციისთვის. უწინარესად სამსახური საუნივერსიტეტო-ადმინისტრაციულ დეპარტა-მენტებთან თანამშრომლობით შეუდგა უნივერსიტეტში არსებული რესურსების მოძიებას, რომელიც შემდგომში ეტაპობრივად უნდა გადანაწილებულიყო და გაზიარებულიყო კონკრეტულ სამსახურებს შორის. რთული პროცესია კრიზისის მართვის სისტემის აწყობა, რაც ასევე გულისხმობს: კრიზისის მართვის ჯგუფს, მართვის პროცესსა და დამხმარე საშუალებებს.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილებით, პრემიერ მინისტრის ხელმძღვანელობით შექმნილი მოქმედი უწყებათაშორისი საბჭოს და ჯანდაცვის სამინისტროს რეკომენდაციების გათვალისწინებით სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულებსა და ცენტრალური ადმინისტრაციის ფარგლებში შექმნა კრიზისი მართვის ჯგუფები, დაგეგმა და ორგანიზება გაუწია ღონისძიებებს რამდენიმე მიმართულებით, სახელდობრ:

- ✓ საინფორმაციო ტექნოლოგიების;
- ✓ საინფორმაციო-კომუნიკაციური;
- ✓ სასწავლო პროცესების მართვის;
- ✓ ხარისხის უზრუნველყოფის;
- ✓ ინტერნაციონალიზაციის;
- ✓ სტუდენტთა მხარდაჭერის.

სასწავლო და კვლევითი პროცესის შეუფერხებელი ფუნქციონერებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ცალკეული ნორმატიული დოკუმენტების შემუშავება, მათ შორის პირველ რიგში შემუშავდა ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების წესი (დამტკიცებული რექტორის 25.03.2020 წლის N67/01-01 ბრძანებით: ***სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების წესის დამტკიცების შესახებ*** [8]), რომლის თანახმადაც მოდიფიცირდა სასწავლო პროცესის ცალკეული ეტაპი. ახალი წესის მიხედვით სტუდენტისა და აკადემიური პერსონალის უფლება-მოვალეობები შეივსო ცალკეული სავალდებულო პუნქტებით; დამატებით განმარტებულ იქნა სასწავლო პროცესის მონიტორინგის სისტემა. რექტორის ზემოხსენებული ბრძანების თანახმად, მიმდინარე სასწავლო პროცესის მონიტორინგი უნდა განხორციელებულიყო სინქრონულ რეჟიმში, რომლის დროსაც **დაცული იქნებოდა კონფიდენციალობა და პერსონალური მონაცემები**. უნივერსიტეტის შვიდივე ფაკულტეტმა აღნიშნულ წესზე დაყრდნობით შეიმუშავა ელექტრონული სწავლების კონცეფცია, რომელიც უფრო დეტალურია და ითვალისწინებს თითოეული ფაკულტეტის სპეციფიკას (აკადემიური საბჭოს 2020 წლის 6 აპრილის N31/2020 დადგენილება: ***სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის***

[8] ხელმისაწვდომია ბმულზე: https://old.tsu.ge/ge/juridical/orders/pCSzRNgsDZU18ED/?p=2;

საგანმანათლებლო პროგრამებზე დისტანციურ რეჟიმში ელექტრონული ფორმით სწავლების განხორციელების კონცეფციისა და ადმინისტრირების წესის დამტკიცების შესახებ)[9].

უშუალოდ ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით მომზადდა რეკომენდაციები და განხორციელდა აქტივობები:

- ✓ სწავლა-სწავლების და საგანმანათლებლო პროგრამებში ჩამოყალიბებული მიზნების და შესატყვისი სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით, საერთაშორისო გამოცდილებებსა და სახელმძღვანელო დოკუმენტებზე, მათ შორის ევროპის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების ასოციაციის (ENQA) მიერ 2018 წელს შემუშავებული ელექტრონული სწავლების შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო პრინციპებზე დაყრდნობით, შემუშავდა რეკომენდაციები, რომლებიც აქტუალურია სასწავლო პროცესის ელექტრონული სისტემებით წარმართვისათვის;
- ✓ მომზადდა ელექტრონული სწავლების სახელმძღვანელო მნიშვნელოვანი ტერმინების, ცნებებისა და მეთოდოლოგის გათვალისწინებით;
- ✓ შემუშავდა ტუტორიალები (როგორც სტუდენების, ისე აკადემიური პერსონალისთვის) შერჩეული სასწავლო პლატფორმებისათვის;
- ✓ დაიგეგმა და განხორციელდა ტრეინინგები (30-მდე ტრენინგი 650-მდე აკადემიური პერსონალისთვის, სტუდენტებისთვის ჩატარდა 22 ტრენინგი 15 სხვადასხვა თემაზე და 573 სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა) და ინდივიდუალური კონსულტაციები როგორც საუნივერსიტეტო, ისე საფაკულტეტო დონეზე აკადემიური პერსონალისათვის. ტრენინგებზე როგორც ქართველი, ისე საერთაშორისო ტრენერები შეეხნენ საკითხებს:
  - *საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების გაწერა;*
  - *ელექტრონული სწავლების შესახებ*;
  - *ტესტების შექმნა Moodle*-ის პლატფორმაზე;
  - *ტესტის შექმნის მეთოდოლოგია.*
- ✓ ფაკულტეტებზე შეიქმნა მოდიფიცირებული სასწავლო პროცესების მხარდამჭერი ჯგუფები სტუდენტებისა და დოქტორანტების ჩართულობით;
- ✓ შეფასდა ატვირთული სასწავლო მასალების ხარისხი ფაკულტეტის სპეციფიკის გათვალისწინებით;
- ✓ შემუშავდა და მომზადდა კრიზისის დასაძლევად სარეკომენდაციო და სახელმძღვანელო დამხმარე მასალები:
  - ა) *რუბრიკები*;
  - ბ) *შეფასების მეთოდები*;
  - გ) ZOOM-ის შეხვედრებზე კითხვარის გამოყენების (Poll) ფუნქციის შესახებ;
  - დ) სამუშაო ჯგუფის შესახებ ZOOM-ის ელექტრონულ პლატფორმაზე;
  - ე) Moodle-ის პლატფორმაზე ტესტების შექმნა (სახელმძღვანელო მასწავლებელთათვის);
  - ვ) Moodle-ის პლატფორმაზე დავალებების შექმნა (სახელმძღვანელო მასწავლებელთათვის);
  - ზ) ელექტრონული სწავლება - გზამკვლევი;
  - თ) ელექტრონული ხმის მიცემის ინსტრუქცია.

წინამდებარე მასალების გაცნობა შესაძლებელია სამსახურის ოფიციალურ ვებგვერდზე[10].

[9] ხელმისაწვდომია ბმულზე: https://old.tsu.ge/ge/juridical/axad_council_resolutions/-rclvnw2leoho4whd/312020//

2.1.7 ნორმატიული დოკუმენტების ადაპტირება

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მუდმივად თვალს ადევნებს და კვალში მიჰყვება ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემაში მიმდინარე ცვლილებებსა და ნოვაციებს, ჩართულია დაანონსებული სიახლეების განხილვასა და საპილოტე პროექტების ინპლემენტაციის პროცესში, აზიარებს და საუნივერსიტეტოს სივრცესა და კულტურაში ნერგავს ახალ მიმართულებებს, კვლევებსა და ინოვაციურ მეთოდებს ევროპული სივრციდან, რასაც ხელს უწყობს ხარისხის უზრუნველყოფის აქტიური თანამშრომლობა სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან.

2020 წელს ხარისხის სამსახურს არ შეუჩერებია მუშაობა როგორც ადგილობრივ განახლებულ ნორმატიულ დოკუმენტებზე, ასევე ხარისხის გარე აქტორების მიერ შემუშავებულ და საერთაშორისო ინსტიტუციების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებზე. წინამდებარე მასალები შესწავლილ იქნა სამსახურის ფარგლებში და საანგარიშო პერიოდში მომზადდა:

- ✓ სახელმძღვანელოები:
  - *საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბება და შეფასება;*
  - *როგორ დავწეროთ* საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასება.
- ✓ მომზადდა საერთაშორისო ანგარიშების ანალიზები:
  - *ხარისხის შიდა შეფასება* (IQA);
  - *ხარისხის* გარე შეფასება (EQA).
- ✓ გადამუშავდა განახლებული დოკუმენტაცია:
  - *თვითშეფასების ანგარიშის მომზადება*;
  - *შეფასების რუკების შექმნა.*

ცალკეული დოკუმენტებისა და სარეკომენდაციო გზამკვლევების, ასევე ნორმატიული დოკუმენტაციის შესწავლა და განხილვა მოხდა ხარისხის უზრუნველყოფის გარე აქტორების წარმომადგენლობის ჩართულობით, საჯაროდ. განხილვა მეტწილად ხორციელდება ხარისხის თემატური ჯგუფის ფარგლებში, რომელსაც პანდემიის პირობებშიც არ შუეწყვეტია საქმიანობა.

2.2 ხარისხის გარე უზრუნველყოფა

ხარისხის გარე უზრუნველყოფა, რომელიც თავის მხრივ, უნივერსიტეტში მიმდინარე სწავლა-სწავლების, კვლევის, უნივერსიტეტის მესამე მისიის და ინსტიტუციური ეფექტიანობის პერიოდულ შეფასებას და მისი გაუმჯობესების ხელშეწყობას გულისხმობს, რთული და, პრაქტიკულად, დასკვნითი აქტივობაა. მის სრულყოფილად მართვას მეტწილად განაპირობებს ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სრულყოფილი და ეფექტური მექანიზმის შექმნა უმაღლეს საგანმანათელბლო დაწესებულებაში. მოცემულ პროცესებში უნივერსიტეტის საქმიანობა დიდწილად დამოკიდებულია გამჭვირვალეობასა და ანგარიშვალდებულებაზე შიდა და გარე დაინტერესებული მხარეების მიმართ. ხარისხის გარე უზრუნველყოფის პროცესი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ორი მიმართულებით ვითარდება:

[10] დამხმარე მასალები ონლაინ სწავლებისთვის·ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://tsu.ge/ka/quality-assurance/page/გზამკვლევები-და-სახელმძღვანელოები

- გარე განმავითარებელ შეფასებათა ციკლი უნივერსიტეტში;
- მზადება საგანმანათლებლო პროგრამების (რე)აკრედიტაციის პროცესისათვის.

2.2.1 გარე განმავითარებელ შეფასებათა ციკლი უნივერსიტეტში

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს 2020 წლის საანგარიშო პერიოდშიც დაგეგმილი ჰქონდა გარე განმავითარებელ შეფასებათა ციკლი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებდნენ განათლებისა და დარგის უცხოელი ექსპერტები. მათ მიერ უნდა განხორციელებულიყო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერული შეფასება. სამსახურის მანდატის ფარგლებში ასევე შერჩეული იყო საგანმანათლებლო პროგრამები, რომელთა სააკრედიტაციოდ წარდგენა დაგეგმილია 2020 წელს.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური საანგარიშო პერიოდში აკრედიტაციის მიზნით გეგმავდა პროგრამების გარკვეული რაოდენობის გადამუშავებას, რომელთაგან რიგი წარდგენილი იქნებოდა:

- ინდივიდუალური აკრედიტაციის ფორმატში (ახალი ან მოდიფიცირებული საგანმანათლებლო პროგრამების ინდივიდუალურად წარდგენის შემთხვევაში);
- კლასტერული აკრედიტაციის ფორმატში (სამივე საფეხურის, ან მინიმუმ ორი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, რომელთა განხილვა მოხდება კვლიფიკაციის ჩარჩოს ერთსა და იმავე კოდის ფარგლებში);
- შესაფასებლად Peer-Review-ს ფორმატში.

გამომდინარე იქიდან, რომ ხარისხის თემატური ჯგუფის შეხვედრების ფარგლებში ინცირებულმა წინადადებამ კლასტერული აკრედიტაციის თაობაზე სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის მხრიდან მხარდაჭერა ჰპოვა, უნივერსიტეტმა გარე შეფასების პროცესში პრიორიტეტი მიანიჭა საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერულ ფორმატში წარდგენას.

გლობალური პანდემიის პირობებში სამსახური წინამდებარე აქტივობის გაუქმების საფრთხის წინაშე დადგა, თუმცა უცხოელი პარტნიორების, უნივერსიტეტის ადმინისტრაციისა და ფინანსური მხარდაჭერის საერთაშორისო ფონდებთან რეგულარული კომუნიკაციის საფუძველზე შესაძლებელი გახდა გარე შეფასების ცალკეული პროცესების შენარჩუნება და განხორციელება.

(რე)აკრედიტაციის პროცესამდე სამსახურის ფარგლებში დაგეგმილ ტრადიციულ განმავითარებელ შეფასებას მხარი დაუჭირა ცენტრალური და ფრანკოფონიის აღმოსავლეთ ევროპის საუნივერსიტეტო სააგენტომ (AUF) (დირექტორი მოჰამედ კეტატა, კოორდინატორი კლაუდია ვიზანი). ერთობლივი პროექტის ***„ხარისხის კულტურის გაძლიერება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში“*** ფარგლებში განხორციელდა 2021 წელს სააკრედიტაციოდ წარსადგენი 3 საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება:

- ფსიქოლოგია (BA, ექსპერტი ლორენ ბეგი);
- ეკოლოგია (BSc, ექსპერტი ვინსენტ ფლორენსი);
- ეკონომიკა (BA, MA, PhD, ექსპერტი ბრუნო დეფანსი).

აღნიშნული პროექტის ფარგლებში წინამდებარე საგანმანათლებლო პროგრამები შეფასების მიზნით 2020 წლის გაზაფხულის სემესტრში გადაეგზავნა საერთაშორისო ექსპერტებს,

რომელთაც საექსპერტო დასკვნები წერილობით მიაწოდეს შესაბამისი ფაკულტეტების ადმინისტრაციებს. დასკვნებს გაეცნენ საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი კომიტეტები და ასევე თვითშეფასების ჯგუფები, რომელთაც დასკვნებში მოცემული შეფასებები განიხილეს დეტალურად გაფართოებულ შეკრებაზე, დაიგეგმა საგანმანათლებლო პროგრამების გაუმჯობესების შემდგომი ეტაპი.

რეკომენდაციები ასევე გაზიარებულ იქნა პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მიერ, რაც შემდგომში უკვე დეტალურად აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სააკრედიტაციოდ წარმოდგენილ პაკეტში.

2.2.2 უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების (რე)აკრედიტაციის პროცესი

საგანმანათლებლო პროგრამის ევალუაცია თავის თავში აერთიანებს შიდა და გარე შეფასებას, რაც საფუძვლად ედება საგანმანათლებლო პროგრამების გარე ხარისხის უზრუნველყოფას. უნივერსიტეტში წინამდებარე პროცესი არ არის ერთჯერადი პროცედურა, კერძოდ,

- საგანმანათლებლო პროგრამა, გამოწვევებიდან და თანამედროვე ბაზრის მოთხოვნებიდან გამომდინარე, განიცდის ცვლილებას, რომლის განვითარებაში მუდმივად ჩართულია დაინტერესებული მხარეები პროგრამული კომიტეტის სახით;
- საგანმანათლებლო პროგრამა, უკანასკნელ წლებში დამკვიდრებული ხარისხის შიდა შეფასების პროცედურის მეთოდოლოგიის საფუძველზე, შესაძლოა შეფასდეს კოლეგიურად;
- საგანმანათლებლო პროგრამა (რე)აკრედიტაციის პროცესამდე მოსამზადებელ პერიოდში ეტაპობრივად გადის შიდა შეფასების პრაქტიკულად ყველა ფაზას, რომლშიც პროგრამულ კომიტეტთან ერთად ჩართულია თვითშეფასების ჯგუფი.

პროცესების მართვაში მონაწილეობს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის აკრედიტაციის, შეფასებისა და ანალიზის განყოფილება, საფაკულტეტო ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები, უნივერსიტეტის სხვადასხვა სტრუტურულ ერთეულებში დასაქმებული პროგრამული აკრედიტაციის ექსპერტები, საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პირები, სტუდენტები და სხვა დაინტერესებული პირები.

აკრედიტაციის ახალი სტანდარტების ამოქმედებას ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში თან ახლდა განახლებული და სახეცვლილი დოკუმენტაციის ფორმები, რომელმაც თავის მხრივ მოითხოვა აღნიშნული დოკუმენტაციის შესწავლა. მათ შორის უნდა დასახელდეს:

- საგანმანათლებლო პროგრამების თვითშეფასების განახლებული ფორმები;
- „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის შესახებ თვითშეფასების ანგარიშის ფორმები;
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის ფორმები;
- უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის თობაზე დასკვნის ფორმები;
- აკრედიტაციის განახლებული პორტფოლიო.

განახლებული მასალების შესწავლის შემდგომ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალისა და სხვა დაინტერესებული პირებისათვის 2020 წლის მაის-დეკემბრში რამდენიმე სესიად ჩაატარა სამი

ტრეინინგი, რომელთაც პირველ რიგში ესწრებოდა აკრედიტაციის რეჟიმში მყოფი საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი. ასევე მომზადდა 2 სახელმძღვანელო, კერძოდ, ***საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბება და შეფასება*** და ***როგორ დავწეროთ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასება***.

გლობალური პანდემიის პირობებში გარკვეულ წილად მოდიფიცირდა (რე)აკრედიტაციის პროცესი, სახელდობრ,

- სამსახური გადავიდა სრულად ელექტრონულ საქმისწარმოებაზე (საკომუნიკაციო არხები: ელექტრონული ფოსტა და eDocument);
- საკომუნიკაციო დაფარვის სივრცეები: ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, პროგრამული კომიტეტი, შიდა შეფასების ჯგუფი, უნივერსიტეტის საფინანსო დეპარტამენტი, რექტორის აპარატი, აკადემიური საბჭო, უნივერსიტეტის კანცელარია, სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის შესაბამისი სამსახურები, საგამანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო;
- შეხვედრების ფორმატი - დისტანციური, სინქრონული;
- შეხვედრების საკომუნიკაციო პლატფორმა: ZOOM;
- აკრედიტაციის ექსპერტთა პროცესის დისტანციურ კომუნიკაციაზე მისადაგებული პროცედურები:
  - მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ვირტუალური დათვალიერება სფეროზე პასუხისმგებელი მოდერატორის მონაწილეობით (მაგ., სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის, საბიბლიოთეკო ბაზების, ლაბორატორიული და ნაწილობრივ კლინიკური ბაზების);
  - საკვალიფიკაციო ნაშრომებისა და კვლევითი პროდუქციის გაცნობა შეთხვევითი შერჩევის პრინციპით (შესაბამისი მასალების მიწოდება ელექტრონულ ფორმატში).

მიუხედავად განახლებული სტანდარტებით მოთხოვნილი არაერთი მოდიფიცირებული დოკუმენტისა და არაერთი ახალი საკომუნიკაციო პროცედურისა, გასულ საანგარიშო პერიოდში უნივერსიტეტმა მოამზადა და ეტაპობრივად შესაბამისი პროცედურების გასავლელად წარადგინა 50 საგანმანათლებლო პროგრამა:

- აკრედიტაციის მიზნით - 1 ახალი ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა (სტომატოლოგია (ინგლისურენოვანი)); 1 ერთობლივი დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა (განათლების მეცნიერებები);
- რეაკრედიტაციის მიზნით - 3 ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა (მედიცინა, სტომატოლოგია (ქართულენოვანი), მედიცინა (ინგლისურენოვანი); 11 საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (ოკუპაციური თერაპია, სამართალი, საერთაშორისო სამართალი, ეკონომიკა (ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა - ISET), მათემატიკა, გეოლოგია, ქიმია, ბიოლოგია, გამოყენებითი ბიოლოგია და ბიოტექნოლოგია, ფიზიკა, გეოგრაფია); 21 სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (საზოგადოებრივი ჯანდაცვა, მასწავლებელთა განათლება, სამართალი, საერთაშორისო სამართალი, ეკონომიკა (ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა - ISET), საჯარო მმართველობა, კომპიუტერული მეცნიერება, ბიოლოგია, ინფორმაციული სისტემები, ინფორმაციული ტექნოლოგიები, ელექტრული და ელექტრონული ინჟინერია, მათემატიკა, გამოყენებითი მათემატიკა, გეოლოგია, ქიმია, ქიმიური ექსპერტიზა, გამოყენებითი ბიოლოგია და ბიოტექნოლოგია, ფუნდამენტური ფიზიკა, გამოყენებითი ფიზიკა,

ფიზიკური გეოგრაფია და გარემოს მდგრადი განვითარება, გეომორფოლოგია, კარტოგრაფია და ლანდშაფტური დაგეგმარება); დოქტორანტურის 14 საგანმანათლებლო პროგრამა (საზოგადოებრივი ჯანდაცვა და ეპიდემიოლოგია, კლინიკური და ტრანსლაციური მედიცინა, გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგია, კულტურისა და მედიის სოციოლოგია სოციოლოგია, სამართალი, კომპიუტერული მეცნიერება, ელექტრული და ელექტრონული ინჟინერია, მათემატიკა, გეოლოგია, ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია, გეოგრაფია);

- მონიტორინგის გავლის მიზნით - 2 საგანმანათლებლო პროგრამა (საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ბიზნესის ადმინისტრირება);
- აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციებზე ანგარიშის წარდგენის მიზნით - 3 საგანმანათლებლო პროგრამა (2 სამაგისტო: მულტილინგვური განათლება-დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, განათლების მეცნიერებები და 1 დოქტორანტურის: ბიზნესის ადმინისტრირება);

2020 წელს დაგეგმილი (რე)აკრედიტაციის პროცესში წარსადგენი ზუსტ და საბუნებისმეტველო მეცნიერებათა ფაკულტეტის 36, მედიცინის - 7, იურიდიული - 5, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა - 3, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა - 4 საგანმანათლებლო პროგრამიდან საანგარიშო პერიოდში:

- აკრედიტებულია: 2 ახალი საგანმანათლებლო პროგრამა - 1 ახალი ინგლისურენოვანი ერთსაფეხურია საგანმანათლებლო პროგრამა (სტომატოლოგია) და 1 ერთობლივი დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა (განათლების მეცნიერებები);
- რეაკრედიტებულია: 1 ერთსაფეხურია საგანმანათლებლო პროგრამა (სტომატოლოგია); 2 საბაკალავრო სგანმანათლებლო პროგრამა (ოკუპაციური თერაპია, სამართალი); 5 სამაგისტრო სგანმანათლებლო პროგრამა (საზოგადოებრივი ჯანდაცვა, მასწავლებელთა განათლება, ინფორმაციული სისტემები, ინფორმაციული ტექნოლოგიები, სამართალი); 5 დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა (საზოგადოებრივი ჯანდაცვა და ეპიდემიოლოგია, კლინიკური და ტრანსლაციური მედიცინა, განათლების მეცნიერებები, კულტურისა და მედიის სოციოლოგია სოციოლოგია, სამართალი);
- აკრედიტაციის ვიზიტის ექსპერტთა მოლოდინშია: 2 ერთსაფეხურია (ქართული და ინგლისურენოვანი) საგანმანათლებლო პროგრამა (მედიცინა); 2 სამაგისტრო საგანმანათ-ლებლო პროგრამა (კომპიუტერული მეცნიერება და ელექტრული და ელექტრონული ინჟინერია); დოქტორანტურის 3 საგანმანათლებლო პროგრამა (გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგია, კომპიუტერული მეცნიერება, ელექტრული და ელექტრონული ინჟინერია);
- აკრედიტაციის მაძიებლად ცნობის მოლოდინში: 9 საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (საერთაშორისო სამართალი, ეკონომიკა (ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა - ISET), მათემატიკა, გეოლოგია, ქიმია, ბიოლოგია, გამოყენებითი ბიოლოგია და ბიოტექნოლოგია, ფიზიკა, გეოგრაფია); 14 სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (საერთაშორისო სამართალი, ეკონომიკა (ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა - ISET), საჯარო მმართველობა, ბიოლოგია, მათემატიკა, გამოყენებითი მათემატიკა, გეოლოგია, ქიმია, ქიმიური ექსპერტიზა, გამოყენებითი ბიოლოგია და ბიოტექნოლოგია, ფუნდამენტური ფიზიკა, გამოყენებითი ფიზიკა, ფიზიკური გეოგრაფია და გარემოს მდგრადი განვითარება, გეომორფოლოგია, კარტოგრაფია და ლანდშაფტური

დაგეგმარება); დოქტორანტურის 6 საგანმანათლებლო პროგრამა (მათემატიკა, გეოლოგია, ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია, გეოგრაფია);

- საერთაშორისო აკრედიტაციასა (FIBAA) და სერთიფიცირებაზე (ACS) წარდგენილია 4 საგანმანათლებლო პროგრამა: 2 საბაკალავრო (ეკონომიკა (ISET) და ქიმია) და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები (ეკონომიკა (ISET) და საჯარო მმართველობა);
- სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში საერთაშორისო აკრედიტაციის (ABET) აღიარების მიზნით წარდგენილ იქნა 2 საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა: კომპიუტერული მეცნიერება და ელექტრული და ელექტრონული ინჟინერია, რომელთაც საერთაშორისო აკრედიტაცია მიიღეს 2020 წლის სექტემბერში;
- შემუშავდა 3 ახალი საგანმანათლებლო (უცხოენოვანი) პროგრამა:
  - მედიცინის ფაკულტეტი (ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა: სტომატოლოგია);
  - ეკონომიკის ფაკულტეტი (ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა: ეკონომიკა);
- აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით წარდგენილი იყო ანგარიში 3 საგანმანათლებლო პროგრამისათვის:
  - დოქტორნატურის საგანმანათლებლო პროგრამა ბიზნესის ადმინისტრირება;
  - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა განათლების მეცნიერებები;
  - ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მულტილინგვური განათლება-დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადება;

  პროგრამების განმახორციელებელმა აკადემიურმა პერსონალმა განიხილა აკრედიტაციის ექსპერტთა რეკომენდაციები და წარადგინა არგუმენტირებული ანგარიში, რომლის საფუძველზეც აკრედიტაციის საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ზემოხსენებული სამივე პროგრამა სრულიად შეესატყვისება შესაბამისი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებისადმი წაყენებულ სტანდარტებს;

- მონიტორინგის პროცესს დაექვემდება 2 საგანმანათლებლო პროგრამა, კერძოდ, ბიზნესის ადმინისტრირება (საბაკალავრო და სამაგისტო საგანმანათლებლო პროგრამები). მონიტორინგის შემდგომი ექსპერტთა მიერ წარდგენილი დაკსვნების თანახმად, საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასა და წარდგენაში ზედმიწევნით ზუსტადაა დაცული ყველა საკანონმდებლო და შიდასაუნივერსიტეტო რეგულაციები.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შესრულებული სამუშაოები წარმოდგენილია დამოუკიდებელი მატრიცის სახით (იხ. *ცხრილი 6*).

ახალი საანგარიშო პერიოდისათვის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ეტაპობრივად იგეგმება:

- 4 <u>*ახალი საგანმანათლებლო პროგრამის*</u> მომზადება:
  - 1 სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ***გავლენებისა და კომუნიკაციების ფსიქოლოგია*** (ფსიქოლოგიისა და განათლების მეციერებათა ფაკულტეტი);
  - დოქტორანტურის 3 საგანმანათლებლო პროგრამა: ***სტომატოლოგია*** (მედიცინის ფაკულტეტი), ***იურიდიული ფსიქოლოგია*** (ფსიქოლოგიისა და განათლების

მეცნიერებათა ფაკულტეტი), ***ურბანისტიკა*** (ინგლისურენოვანი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი);

- ახალ საკვალიფიკაციო *ჩარჩოსთან შესაბამისობა*:
  - 4 საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა: ***ხელოვნებათმცოდნეობა, სახვით ხელოვნება, ტელე-კინო ხელოვნება*** (ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი), ***სოციალური მუშაობა*** (ინგლისურენოვანი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი);
  - 5 სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა: ***საზოგადოებრივი ჯანდაცვა*** (ინგლისურენოვანი, მედიცინის ფაკულტეტი), ***კულტურული მემკვიდრეობა და თანამედროვეობა, მედიევისტიკა, სახვით ხელოვნება*** (ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი), ***სოციალური მუშაობა*** (ინგლისურენოვანი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი);
  - დოქტორანტურის 2 საგანმანათლებლო პროგრამა: ***სოციალური მუშაობა*** (ინგლისურენოვანი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი), ***ხელოვნებათმცოდნეობა*** (ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი);
- საგანმანათლებლო პროგრამის მომზადება *რეაკრედიტაციის პროცესისათვის*:
  - 9 საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა: ***ეკონომიკა,*** საერთაშორისო ეკონომიკური სკოლა (ISET) ***ეკონომიკა*** (ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი), ***კომპიუტერული მეცნიერება*** (ფრანგულ-ქართული,ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი), ***ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია, პოლიტიკური მეცნიერება, სოციოლოგია, საზოგადოებრივი გეოგრაფია, საერთაშორისო ურთიერთობები*** (სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი), ***ფსიქოლოგია*** (ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი);
  - 23 სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა: ***ეკონომიკა*** (საერთაშორისო ეკონომიკური სკოლა - ISET), ***ეკონომიკა*** (ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი), ***გამოყენებითი ბიომეცნიერება და ბიოტექნოლოგიები, ბიოფიზიკა*** (ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი), ***ევროპისმცოდნეობა*** (იუდირიული ფაკულტეტი), ***გენდერის კვლევა, კონფლიქტების ანალიზი და მართვა, მედია და ახალი ტექნოლოგიები, სოციოლოგია, საზოგაოდებრივი გეოგრაფია, პოლიტიკური მეცნიერება, ნაციონალიზმისა და ეთნიკურობის კვლევები, ევრაზიისა და კავკასიის კვლევები (ინგლისურენოვანი), მასობრივი კომუნიკაცია და მედია კვლევები, დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკა, საერთაშორისო ურთიერთობები*** (სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი), ***ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოლოგიური შეფასება და კონსულტირება, განათლების ფსიქოლოგია და კვლევა, განწყობის ფსიქოლოგია, კვლევა და კონსულტირება, სოციალური, პოლიტიკური და კულტურული ფსიქოლოგია, შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია, კლინიკური ნეიროფსიქოლოგია, გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგია, ფსიქოლოგიური შეფასება/დიაგნოსტირება და კონსულტირება*** (ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი);
  - დოქტორანტურის 10 საგანმანათლებლო პროგრამა: ***ეკონომიკა*** (ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი), ***სოციოლოგია, საზოგადოებრივი გეოგრაფია, პოლიტიკური მეცნიერება, კონფლიქტების ანალიზი და მართვა, მასობრივი კომუნიკაცია***

(სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი), ***ორგანიზაციის განვითარება და კონსულტირება, კლინიკური ნეიროფსიქოლოგია, შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია, სოციალური, პოლიტიკური და კულტურული ფსიქოლოგია*** (ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი).



გრაფიკი 2: რეაკრედიტაციის პროცესები

- საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინსტიტუტთაშორისი პარტნიორობის ფარგლებში გაფართოვდება თანამშრომლობა უცხოენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების მომზადების მიზნით:
  - 3 საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (ეკონომიკა l'Université de Rennes 1-თან - ინგლისურენოვანი, ბიზნესის ადმინისტრირება l'Université de Rennes 1-თან - ინგლისურენოვანი, კომპიუტერული მეცნიერება - ქართულ-ფრანგული Paris Saclay-თან თანამშრომლობით);
  - 3 სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (საერთაშორისო მენეჯმენტი, საწარმოების მენეჯმენტი და მეწარმეობა l'Université de Rennes 1-თან, პროფესიული განათლება და ადამიანური რესურსების მართვა გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის *გერმანული საზოგადოების* (GIZ) მხარდაჭერით მაგდებურგის ოტო ვონ გუერკეს უნივერსიტეტთან);
- საერთაშორისო აკრედიტაციისა და სერტიფიცირების ექსპერტთა ვიზიტები 2 საბაკალავრო (***ქიმია,*** საერთაშორისო ეკომიკის სკოლა (ISET) - ***ეკონომიკა***), 2 სამაგისტრო (საერთაშორისო ეკონომიკის სკოლა (ISET) - ***ეკონომიკა, საჯარო მმართველობა***) საგანმანათლებლო პროგრამაზე;
- აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციებთან დაკავშირებით ანგარიშის წარდგენა დოქტორანტურის ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამისათვის ***განათლების მეცნიერებები***;
- კლასტერული აკრედიტაციის საპილოტე პროექტში ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის 3 საგანმანათლებლო პროგრამის წარდგენა:
  - 1 საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (***ფილოსოფია***);

- 1 სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (***ფილოსოფია***);
- დოქტორანტურის 1 საგანმანათლებლო პროგრამა (***ფილოსოფია***).

2.2.3 საგანმანათლელო პროგრამების ბაზა

საგანამანათლებლო პროგრამების განვითარება და მათი ეტაპობრივი აკრედიტაცია პერიოდულად მოითხოვს საგანმანათლებლო ბაზების კორექტირებას, რაც თავის მხრივ სინქრონიზებული უნდა იყოს სსიპ-განათლების მართვის საინფორმაციო სისტემისა და სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ბაზებთან. წინამდებარე ბაზა ასახავს საგანმანათლებლო პროგრამების ყველა მნიშვნელოვან რეკვიზიტს, რომლის საფუძველზე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ეტაპობრივად:

- გეგმავს და აფიქსირებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამებში;
- წარადგენს საგანმანათლებლო პროგრამებს (რე)აკრედიტაციის პროცესში;
- გეგმავს და წარადგენს ანგარიშს საგამანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს დადგენილების შესაბამისად;
- გეგმავს შუალედურ ანგარიშს საგანმანათლებლო პროგრამებისთვის სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარსადგენად.

2018 წლიდან სამსახური ხელმძღვანელობს მის მიერ შემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამების შიდა მოხმარების ბაზით, რომლის საფუძველზე სამსახურის ვებგვერდზე მუდმივად ახლდება საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი[11]. წინამდებარე ბაზის საფუძველზე პერმანენტულად ხორციელდება აკრედიტაციის ვადების გადამოწმება და საგანმანათლებლო პროგრამების სააკრედიტაციოდ მომზადებისთვის გონივრული ვადების განსაზღვრა. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა გასულ საანგარიშო პერიოდში აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელებისა და განმახორციელებელი პერსონალისთვის სრულიად ხელმისაწვდომი გახადა გასული აკრედიტაციის პროცესის დოკუმენტაცია, სახელდობრ, აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნები, აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებები და ოქმები, რომლის საფუძველზე თვითშეფასების ჯგუფი წინასაკრედიტაციო მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარებისას ახორციელებს შესაბამის ანალიზებს.

2020 წლის საანგარიშო პერიოდში წინამდებარე ბაზაზე დაყრდნობდით დაიგეგმა რეაკრედიტაციის პროცესი საგანმანათლებლო პროგრამებზე. გარდა ამისა, არსებული მონაცემების საფუძველზე სისტემატიზაციას დაექვემდებარა აკრედიტებული პროგრამების დარგის ექსპერტთა დასკვნები, უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტლებები და სხდომის ოქმები, შეივსო უნივერსიტეტის ხარისხის უაზუნველყოფის სამსახურის ელექტრონული არქივი.

3. ინსტიტუციური განვითარების შესახებ

უნივერსიტეტები როგორც სწავლა-სწავლების, კვლევის, საზოგადოების განვითარების ცენტრები მნიშვნელოვან როლს თამაშობს ქვეყნის განვითარებაში და აქტიურად იღებენ

[11]საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი· ბოლო განახლება: აგვისტო, 2020· ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://tsu.ge/assets/media/files/65/Quality_Assurance/TSU_programebis_catalogi_2019-2020.pdf

მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამ მიმართებით უნივერსიტეტი წამყვანი ინსტიტუციაა, რომელიც განიხილება ქვეყნის როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო პროფილის ჩამოყალიბებაში. უნივერსიტეტის ინსტიტუციური პროფილი მკაფიოდ აისახება მისი სტრატეგიული განვითარების გეგმაში, თუმცა თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემასა და გლობალურ სამყაროში მიმდინარე მოვლენები არცთუ იშვიათად მოითხოვს ინსტიტუციური განვითარების ამოსავალი დებულებების გადახედვასა და ეტაპობრივ ცვლილებას. იმისათვის რომ უნივერსიტეტმა შეიძინოს მკვეთრი ინსტიტუციური პროფილი, შეიქმნას შიდა ინსტიტუტთაშორისო კლასტერული ხედვა და ქსელური ბმა როგორც სწავლა-სწავლების, ისე კვლევის, სერვისებისა და მართვის აქტივობათა ურთიერთმიმართებით, დაამკვიდროს ხარისხის მაღალი კულტურა ინსტიტუციურად, გაფართოვოს ინტერნაციონალიზაციისა და მობილობის ქსელი გამოცდილების მიღებისა და გაზიარების მიზნით, დააახლოვოს სწავლა-სწავლებისა და კვლევის პროცესები თანამედროვე მაღალტექნოლოგიურ აკადემიურ პროცესებთან. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური არსებული ევროპულ მეთოდებსა და სისტემურ გამოცდილებაზე დაყრდნობით, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, კოორდინაციას უწევს უნივერსიტეტში მიმდინარე ცალკეულ პროცესებს, ყურადღებას ამახვილებს მნიშვნელოვან თემებზე, აგროვებს სხვადასხვა სახის ინფორმაციას, აანალიზებს მათ. ამ პროცესში მნიშვნელოვან როლს თამაშობს რეგულარული ინსტიტუციონალური შეფასება, რაც შესაძლოა მიზნობრივად შეივსოს კონკრეტული აქტუალური თემებისა და პრობლემატიკის ზოგადი კვლევების შედეგებით.

საანგარიშო პერიოდში სამსახურის მიერ ინსტიტუციური განვითარების ფარგლებში განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა ისეთ საკითხებს, როგორიცაა:

- განაცხადი სტუდენტთა კონტიგენტის ზღვრული რაოდენობის ზრდის შესახებ;
- უნივერსიტეტის 2020 წლის სტრატეგიული განვითარების გეგმის შეფასების შესახებ;
- უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მართული პროექტების შესახებ:
    - ინსტიტუციური ეფექტიანობის შეფასება;
    - SPARQS: სტუდენტების ჩართულობა ხარისხის უზურნველყოფის მექანიზმებში;
    - თანამშრომლობა თაიმსის მსოფლიო უნივერსიტეტების რანჟირების ჯგუფთან: TIMES HIGHER EDUCATION (THE);
    - ადგილობრივ სტუდენტურ და საერთაშორისო საგრანტო კონკურსებში უნივერსიტეტის მონაწილეობის მხარდაჭერა;
    - INTEGRITY: აკადემიური კეთილსინდისიერება საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ხარისხიანი სწავლებისა და სწავლისთვის;
    - SQUARE: უნივერსიტეტის როლის გაძლიერება საზოგადოების განვითარებაში;
    - უნივერსიტეტის თანამშრომლობის შესახებ ევროპული უნივერსიტეტების ასოციაციის (EUA) თემატურ ჯგუფებთან;
    - თანამშრომლობა უცხოურ ფონდებთან და ორგანიზაციებთან;
- პერსონალის განვითარების მხარდაჭერა;
- სიახლეები პროფესიული განათლების ცენტრში;
- თანამშრომლობა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებთან;
- უნივერსიტეტის ვებგვერდის განახლება.

3.1 განაცხადი სტუდენტთა კონტიგენტის ზღვრული რაოდენობის ზრდის შესახებ

უკანასკნელ წლებში დადასტურდა უნივერსიტეტში სწავლისა და კვლევის მიმართ მზარდი ინტერესი, რაც გახდა საფუძველი 2020 სასწავლო წლისათვის სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდისა. არსებული მონაცემების მიხედვით სტუდენტთა რაოდენობის პროგნოზის გათვლებმა აჩვენეს, რომ 2023 წლისთვის ის გაიზრდება 25 480, შესაბამისად, 2019 წელთან შედარებით 980-ით, რის საფუძვლად დასახელებული იყო შემდეგი ფაქტორები:

- ერთიანი ეროვნული და სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობის ზრდა;
- მობილობით გადმოსული სტუდენტების რაოდენობის მატება;
- უცხოელ სტუდენტთა მზარდი რაოდენობა;
- სახელმწიფოს მიერ ინიცირებული, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ახალგაზრდების ხელშეწყობის პროგრამები;
- ერაზმუს+ პროექტით დაფინანსებული პროგრამის ფარგლებში მაღალი საუნივერსიტეტო მაჩვენებელი (248 საგრანტო პროექტი საქართველოს უსდ-ებს შორის) და, შესაბამისად, ამავე პროგრამით მიღებული უცხოელ სტუდენტთა ჩართულობა სამივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებში;
- მაღალი თანამშრომლობის მაჩვენებელი კვლევებში უცხოურ უნივერსიტეტებთან, კვლევით ინსტიტუტებთან და აქტიური ჩართულობა საერთაშორისო სამეცნიერო ექსპერიმენტებში;
- უნივერსიტეტის პოზიცია საერთაშორისო რანჟირებათა სისტემებში (Times Higher Education World University Rankings; U.S. News and World Report Best Global Universities Rankings; U-Multiranks; Scimago).

აღნიშნული მოცემულობის საფუძველზე, პერსპექტივების გათვალისწინებითა და დაფინანსების არსებული მოდელის შენარჩუნების შემთხვევაში, უნივერსიტეტმა დაგეგმა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის სტუდენტების ზღვრული რაოდენობის 4920 ერთეულით გაზრდა: მათ შორის ოთხი წლის განმავლობაში 2850 სტუდენტის დამატებით მიღება (ჩარიცხვა-კურსდამთავრებას შორის ბალანსის მისაღებად), 500-მდე ვაკანტური ადგილი ოკუპირებული ტერიტორიებიდან აპლიკანტებისათვის, დაახლოებით 400 დამატებითი ვაკანტური ადგილი უცხო ქვეყნის მოქალაქეთათვის, 164 ვაკანტური ადგილი მობილობით გადმოსულთათვის და 1000 ვაკანტური ადგილი აღდგენის მსურველი სტუდენტებისთვის. პარალელურად ინსტიტუციის მხრიდან დაიგეგმა არსებული სერვისების გაუმჯობესება.

2020 წლის 14 თებერვლის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს N1 გადაწყვეტილების საფუძველზე ***სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს (საიდენტიფიკაციო კოდი 204864548) სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვრა 26 633-ით.***

ახალი მოცემულობის შესაბამისად, უნივერსიტეტის ადმინისტრაციულმა ერთეულებმა 2020 წლის საანგარიშო პერიოდში ცალკეულ მიმართულებებში დააკორექტირა საანგარიშო პერიოდისთვის განსაზღვული გეგმები.

3.2 უნივერსიტეტის 2020 წლის სტრატეგიული განვითარების გეგმის შეფასების შესახებ

საგანმანათლებლო სივრცეში განვითარებულმა ცვლილებებმა განაპირობა უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიის განახლების აუცილებლობა. პროცესი დააჩქარა მსოფლიოში პანდემიით გამოწვეულმა გლობალურმა და მათი ზეგავლენით დაჩქარებულმა მოვლენებმა.

უნივერსიტეტის რექტორის 2019 წლის 22 ივლისის ბრძანებით №184/01-01 დამტკიცებულ სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრატეგიაზე (2018-2024) მომუშავე ჯგუფის შემადგენლობაში ჩაერთნენ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლები. ჯგუფი მიზანად ისახავს უნივერსიტეტის 2018-2024 წწ. სტრატეგიული განვითარების გეგმის ცვლილება-გაუმჯობესებას, სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგს და შესაბამისი რეკომენდაციების წარდგენას აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოების წინაშე.

საანგარიშო პერიოდში უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის სრულყოფისათვის რეკომენდაციების მომზადების მიზნით უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განხორციელდა უნივერსიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების მიერ ჩატარებული მუშაობის მონიტორინგი წარმოდგენილი ანგარიშების საფუძველზე. 17 ადმინისტრაციული სტრუქტურული ერთეულის მიერ წარმოდგენილი 2020 წელს გაწეული მუშაობის ანგარიშის საფუძველზე მომზადდა სტრატეგიული ამოცანების დაფარვის ცხრილი. გამოკვეთილი ტენდენციების საფუძველზე მომზადდა რეკომენდაციები მონიტორინგის ჯგუფისთვის.

3.3 უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მართული პროექტების შესახებ

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სამოქმედო არეალი თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცეში არ გულისხმობს მხოლოდ საუნივერსიტეტო სივრცეში არსებული აქტივობის მხარდაჭერას, შეფასებას, მონიტორინგსა და რეკომენდაციების შემუშავებას. სამსახურის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და არსებითი სამოქმედო არეალი უნდა გახდეს კვლევები, მონაცემთა ანალიზი, ანალიზის შედეგების ინტერპრეტაცია და კვლევების შედეგების შეჯერების საფუძველზე შემუშავებული განახლებული ინსტრუქციები და რეკომენდაციები. წინამდებარე კვლევის შედეგები აკადემიურ სფეროში ხარისხის გაუმჯობესებისა და საუნივერსიტეტო სივრცეში ხარისხის კულტურის ამაღლების საშუალებას იძლევა, რაც უპირობოდ ზრდის კურსდამთავრებულისა და საუნივერსიტეტო კვლევების კონკურენტუნარიანობას შრომისა და დასაქმების ბაზარზე, შესაბამისად, უნივერსიტეტს ხდის ხილვადს საერთაშორისო რანჟირებებში.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მართულ პროექტებს შორის უნდა დასახელდეს:

- ✓ ინსტიტუციური ეფექტიანობის შეფასება;
- ✓ Sparqs: სტუდენტების ჩართულობა ხარისხის უზურნველყოფის მექანიზმებში;

- ✓ თანამშრომლობა თაიმსის მსოფლიო უნივერსიტეტების რანჟირებასთან: TIMES HIGHER EDUCATION (THE);
- ✓ ადგილობრივ სტუდენტური და საერთაშორისო საგრანტო კონკურსებში უნივერსიტეტის მონაწილეობის მხარდაჭერა;
- ✓ INTEGRITY: აკადემიური კეთილსინდისიერება საქართველოს უმაღლეს საგანმანათ-ლებლო დაწესებულებებში ხარისხიანი სწავლებისა და სწავლისთვის;
- ✓ SQUARE: უნივერსიტეტის როლის გაძლიერება საზოგადოების განვითარებაში;
- ✓ უნივერსიტეტის თანამშრომლობის შესახებ ევროპული უნივერსიტეტების ასოციაციის (EUA) თემატურ ჯგუფებთან;
- ✓ თანამშრომლობა უცხოურ ფონდებთან - პროექტები ***ხარისხის უზრუნველყოფა და საუნივერსიტეტო მმართველობა*** (ტრეინინგები, სემინარები, ვორკშოპები);

3.3.1 ინსტიტუციური ეფექტიანობის შეფასების შესახებ

2020 წელს სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის მიზნით გაკეთებული განაცხადის განხილვისას ავტორიზაციის საბჭოზე ექსპერტთა ჯგუფმა როგორც ვიზიტის მიმდინარეობისას, ისე დასასრულს წარმოდგენილ დასკვნაში, მიუთითითა ავტორიზაციის შემდგომ უნივერსიტეტში მიმდინარე მნიშვნელოვან პროცესებზე, რაც ზოგადად გაზიარებული შეიძლება იყოს როგორც ერთ-ერთი საუკეთესო პრაქტიკა ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში, კერძოდ, ***ინსტიტუციური ეფექტიანობის ინდიკატორების შემუშავება***.

წინამდებარე ინსტიტუციური ეფექტიანობის შეფასების პროექტის ფარგლებში მუშაობა გაგრძელდა საანგარიშო პერიოდშიც, რაც ითვალისწინებდა:

- მონაცემებზე დაფუძნებით, ინსტიტუციის საქმიანობის ყველა მიმართულების შეფასებისთვის საჭირო ინდიკატორების და მათი გამოთვლის წესის/მეთოდოლოგიის შემუშავებას;
- მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის ელექტრონულ სისტემაზე მუშაობას;
- პროგრამის ანალიტიკური მოდულის დამუშავებას, მონაცემთა შეგროვებასა და მათ ანალიზს;
- უნივერსიტეტის საქმიანობის შეფასების განსაზღვრას სამ დონეზე: საგანმანათლებლო პროგრამა, ფაკულტეტი, უნივერსიტეტი (იფარება უნივერსიტეტის საქმიანობის ყველა სფერო);
- ინსტიტუციური ეფექტიანობის შეფასების 8 მსხვილი ინდიკატორის დადგენას, რომელიც მოიცავს უნივერსიტეტის განვითარების შეფასებისთვის აუცილებელ ყველა მიმართულებას: სწავლა-სწავლება, პროგრამის მიმზიდველობა, კვლევა, ინტერნაციონალიზაცია, ინფრასტრუქტურა, საუნივერსიტეტო სერვისები, ფინანსები და მესამე მისია;
- თითოეული ინდიკატორის ხვედრითი წილის დადგენას მთლიან შეფასებაში, ქვე-ინდიკატორების გამოყოფას და მათი გამოთვლის წესს (კერძოდ, თითოეული ინდიკატორი ფასდება მისი ქვეინდიკატორების შეფასების დაჯამების შედეგად; თავის მხრივ კი, ქვეინდიკატორები წარმოდგენილია მონაცემთა სიაზე დაფუძნებით და თითოეულ მათგანს აქვს საკუთარი გამოთვლის წესი: *მაგ. სხვადასხვა მონაცემის თანაფარდობა, წლიური სხვაობის ინდექსი თუ სხვ. ქვეინდიკატორების ჩამონათვალი, რაოდენობრივ მონაცემებთან ერთად, მოიცავს დაინტერესებულ*

მხარეთა კმაყოფილების ინდექსს სხვადასხვა მიმართულებით, რაც, მრავალმხრივ ანალიზსა და შედეგების შეფასებაში დაეხმარება უნივერსიტეტს. ამასთან, სანიმუშოდ შეიძლება დასახელდეს *ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ინდიკატორის, სწავლა-სწავლების შეფასებისთვის განისაზღვრა 20 ქვეინდიკატორი, მათ შორის: აკადემიური პერონალის რაოდენობის თანაფარდობა სტუდენტების რაოდენობასთან; პროგრამის განსაზღვრულ დროში დასრულების ინდექსი; პროგრამიდან მობილობით გადასული სტუდენტების მაჩვენებელი; აკადემიური პერსონალის დენადობის მაჩვენებელი; სტუდენტების კმაყოფილების ინდექსი პროგრამის მიმართ; სტუდენტთა კმაყოფილების ინდექსი; პერსონალის კმაყოფილების ინდექსი.* რაც შეეხება კვლევის შეფასებას, ის განისაზღვრა 26 ქვეინდიკატორით, მათ შორის: ციტირების მაჩვენებელი; პუბლიკაციების საერთო რაოდენობა აკადემიური პერსონალის საერთო რაოდენობასთან მიმართებით; მაღალრეიტინგულ (იმპაქტფაქტორის მქონე) სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომების რაოდენობის თანაფარდობა აკადემიური პერსონალის რაოდენობასთან; მოხსენებები ადგილობრივ კონფერენციებში (მაჩვენებლის ცვლილება); მოხსენებები საერთაშორისო კონფერენციებში (მაჩვენებლის ცვლილება); ხელმძღვანელებისა და დოქტორანტების რაოდენობის თანაფარდობა; სამეცნიერო პერსონალის თანაფარდობა სტუდენტების რაოდენობასთან; სადოქტორო ნაშრომების დაცვის მაჩვენებელი. თუ გადავხედავთ სერვისების შეფასებას, მთლიან შეფასებაში, მას კვლევასა და სწავლა-სწავლებაზე ნაკლები ხვედრითი წილი აქვს, თუმცა აფასებს სტუდენტებისა და პერსონალის მხარდამჭერ ღონისძიებებს, ღონისძიებებში სტუდენტებისა და პერსონალის ჩართულობას, ტრენინგებისა და დამატებითი კურსების შესაძლებლობებს. რაოდენობრივ მონაცემებთან ერთად, კვლავ მნიშვნელოვან ადგილი უჭირავს სტუდენტებისა და პერსონალის კმაყოფილების მაჩვენებელს დამატებითი სერვისებით).

- პროექტის დასასრულს უნივერსიტეტში მონაცემთა შეგროვების ელექტრონული სისტემის დანერგვა, რომელშიც ყოველწლიურად 200-ზე მეტი დასახელების რაოდენობრივი მონაცემი შეგროვდება საგანმანათლებლო პროგრამის, ფაკულტეტის მიხედვით და უნივერსიტეტის შესახებ (ჯამში, 40 000-ზე მეტი მონაცემი, თუ გავითვალისწინებთ საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობასა და მონაცემთა სხვა მახასიათებლებს).

წინამდებარე პროექტის მონაცემთა ანალიზის მოდული შესაძლებლობას მოგვცემს:

- ✓ შევაფასოთ უნივერსიტეტის საქმიანობა სხვადასხვა მიმართულებით;
- ✓ ჩამოვაყალიბოთ მკაფიო სურათი მიმდინარე პროცესების, ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების თუ სამომავლო საჭიროებების შესახებ.

შეფასების მსგავსი პრაქტიკა დანერგილია ევროპისა და აშშ-ს სხვადასხვა უნივერსიტეტებში, ის პირველი იქნება საქართველოში, სრულად არის მორგებული უნივერსიტეტის საჭიროებებზე, შესაბამისად, ითვალისწინებს უნივერსიტეტის პროფილის არსებით მიმართულებებს.

პროექტის დასასრულ ეტაპზე: ***იგეგმება შემუშავებული მეთოდოლოგიის დარეგისტრირება ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრში.***

3.3.2 SPARQS: სტუდენტების ჩართულობა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებში

საუნივერსიტეტო სივრცეში ხარისხის კულტურის ამაღლების შესახებ მსჯელობისას მნიშვნელოვანი ხვედრითი წილი მოდის სტუდენტებზე, ვინაიდან მათი აქტივობა და მხარდაჭერა თანამედროვე უნივერსიტეტის განვითარებაში არსებითი ფაქტორია. მათი მეშვეობით საუნივერსიტეტო იდეები ზიარდება საზოგადოებაში, მათ ძალუძთ საჯარო გახადონ და რეალობად აქციონ უნივერსიტეტის „მესამე მისია“, მისი ადგილი და როლი საზოგადოების განვითარებასა და ფორმირებაში.

2019 წლიდან უნივერსიტეტის სტუდენტთა მჭიდრო კონტაქტმა და თანამშრომლობამ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, სტუდენტური საათის დამკვიდრებამ და გაზიარებულმა საუნივერსიტეტო სტუდენტურმა პრობლემებმა, აჩვენა, რომ უნივერსიტეტის სტუდენტთა არც თუ მცირე ნაწილი მზადაა აქტიურად ჩაერთოს ხარისხის უზუნველყოფის მექანიზმების დახვეწასა და მოდიფიცირებაში. მაღალია სტუდენტთა დაინტერესება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში სტაჟირებით. ამას გარდა სტუდენტები აქტიურად მონაწილეობენ საგანმანათლებლო პროგრამის მხარდამჭერი კომიტეტებისა თუ თვითშეფასების ჯგუფების მუშაობაში, ასევე სიმულაციურ რეაკრეიდტაციისა თუ კოლეგიური შეფასების პროცესებში.

თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, სტუდენტური თვითმმართველობის ორგანიზებითა და საერთაშორისო განათლების ცენტრის კურსდამთავრებულებთა ასოციაციის დაფინანსებით უნივერსიტეტში 2020 წელს შემუშავდა პროექტი ***სტუდენტთა შესაძლებლობების გაზრდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფაში მათი ჩართულობისთვის***, რომლის პირველი სამუშაო შეხვედრა შედგა 31 ივლისს. პროექტის მხარდამჭერია შოტლანდიური ორგანიზაცია „Sparqs (Student partnerships in quality Scotland)”, რომელიც ეხმარება უნივერსიტეტებს სტუდენტთა თანამშრომლობით ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების წარმართვაში. პროექტის ფარგლებში შოტლანდიური მხარე უზრუნველყოფს ტრენინგებს პროექტში მონაწილე სტუდენტებისა და თანამშრომლებისთვის. უნივერსიტეტში დაინერგება „პროგრამის წარმომადგენლის“ პრაქტიკა.

პროექტის ძირითადი ამოცანებია:

- ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში სტუდენტების გაზრდილი თანამონაწილეობის მხარდაჭერა;
- სტუდენტთა თვითმმართველობის, როგორც დამოუკიდებელი ინსტიტუციის გაძლიერება და დემოკრატიულ პრინციპებზე დაფუძნებული მმართველობის პრაქტიკის დანერგვის ხელშეწყობა.

პროექტის მეორე ფაზაში დაგეგმილ შეხვედრაზე (05.11.2020) პროექტის მონაწილეებმა ისაუბრეს „პროგრამის წარმომადგენლების“ შერჩევის, სტუდენტებისა და პერსონალის გადამზადების შესახებ (რომელსაც უზრუნველყოფენ „Sparqs”-ის წარმომადგენლები). პროექტის ფარგლებში ტრეინინგები დაიგეგმა დეკემბერში.

პროექტის ფარგლებში პირველი ტრეინინგი შედგა 30.11.2020, რომელშიც მონაწილეობდა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის 35 სტუდენტი სამივე საფეხურიდან და 7 პირი აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალიდან. დეკემბრის თვეში სტუდენტებისთვის გაიმართა 4 ტრენინგი, სადაც სტუდენტები მუშაობდნენ შემდეგ თემებზე:

საგანმანათლებლო პროგრამის გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირება; სტუდენტებისგან უკუკავშირის მოპოვების ეფექტიანი გზები და სტრატეგიების შემუშავება; უკუკავშირის მასალების შეგროვება და ანალიზის მეთოდოლოგია; კომუნიკაცია და უკუკავშირი აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან; საგანმანათლებლო პროგრამის გაუმჯობესების პროცესში ეფექტიანი ჩართულობ~~ის შესახებ~~.

2021 წლისთვის დაგეგმილია სტუდენტებისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლების სამუშაო შეხვედრა აქტივობების გაწერის მიზნით. მეორე ფაზაში პროექტის ფარგლებში გადამზადებული სტუდენტები მონაწილეობას მიიღებენ წინამდებარე პროექტის თემებისა და აქტივობების სრულიად საუნივერსიტეტო სტუდენტურ ჯგუფებში დანერგვის პროცესში. ბოლო ეტაპზე განხორციელდება ~~წინამდებარე~~ პროექტის მიგნებებისა და სამოქმედო პუნქტების საუნივერსიტეტო სივრცეში გადატანა.

3.3.3 თანამშრომლობა თაიმსის მსოფლიო უნივერსიტეტების რანჟირებასთან: TIMES HIGHER EDUCATION (THE)

მსოფლიო ხუთ ყველაზე აღიარებულ რანჟირებ~~ებს~~ შორის თაიმსი ერთ-ერთი წამყვანი და მნიშვენლოვანი ინსტიტუციაა, რომლის რანჟირებაში მონაწილეობა მაღალ პასუხისმგებლობას მოითხოვს უმაღლესი სასწავლებლისგან. საერთაშორისო აკადემიურ კომუნიკაციაში რანჟირება მიღებული პრაქტიკაა და, ერთგვარად, მინიშნებაა ინსტიტუციის პოზიციაზე საერთაშორისო აკადემიურ ქსელში, რაც წლების მანძილზე უმაღლესი სასწავლებლის სურათს აყალიბებს. რაც შეეხება სტუდენტებს, რანჟირების ფორმატი იდეალურ შემთხვევაში ერთგვარ საორიენტაციო მარკერად შეიძლება იქცეს აკადემიური სივრცის შერჩევის პროცესში, ამასთან კარგი პოზიციონირება მეტწილად „ხარისხის ნიშნადაც“ კი შეიძლება ჩაითვალოს. რანჟირებაში მაღალი პოზიცია ერთგვარი სავიზიტო ბარათია უნივერსიტეტისთვის საერთაშორისო ასპარეზზე სხვა უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის თვალსაზრისით, ის უნივერსიტეტს წამყვან პოზიციას ანიჭებს თანასწორთა შორის. რანჟირებით მოპოვებული რეპუტაცია ამყარებს უნივერსიტეტის პოზიციას დასაქმების ბაზარზეც.

უმაღლესი სასწავლებლების რანჟირების თემამ უკანაკნელი 10 წლის მანძილზე კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა შეიძინა. აღნიშნული საკითხი სიახლეს წარმოადგენს განსაკუთრებით პოსტსაბჭოთა ქვეყნებისათვის, რომელთა საგანმანათლებლო სისტემა ქვეყნის დამოუკიდებლობის შემდგომ პირისპირ დარჩა მრავალწახნაგოვანი და პოლითემატური საგანმანათლებლო რეფორმების წინაშე. ბუნებრივია, უნივერსიტეტების წინაშე თავიდან შესასწავლი და დასაწყები, ან სრულიად პირველად მოსასინჯი ბევრი საკითხი დაგროვდა. მათ შორისაა რანჟირების სისტემისა და მისი მრავალგანზომილებიანი აქტივობის სივრცე.

2019 წლიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი თანამშრომლობს თაიმსის რანჟირების ჯგუფთან. 2020 წელს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა უზრუნველყო უნივერსიტეტის მონაწილეობა: თაიმსის მსოფლიო უნივერსიტეტების რანჟირება; მალთირენქი (U-multirank) - ინსტიტუციური და დარგობრივი რანჟირებები; QS World University Rankings; QS Regional Rankings; Clarivate Analytics (რომელიც თანამშრომლობს RUR Rankings და U.S. News and Worl Report Global University Rankings-თან). ამასთან, თაიმსის მსოფლიო უნივერსიტეტების რანჟირებასთან თანამშრომლობის ფარგლებში, საანგარიშო პერიოდში:

- თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლებისთვის ჩატარდა ოთხი ონლაინ ტრენინგი;
- თაიმსის მონაცემთა ბაზაზე დაყრდნობით მომზადდა ორი ანგარიში, რომელიც გამოყენებული იქნება მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების დროს;
- განახლდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფილი თაიმსის ოფიციალურ ვებ-გვერდზე[12];
- რანჟირების 2021 წლის გამოცემის საინფორმაციო ბუკლეტში წარმოდგენილი იქნა ჩანართი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შესახებ[13].

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რანჟირებათა მონაცემების ინტერპრეტაცია ყოველწლიურად საფუძვლად ედება რანჟირების ინსტრუმენტების მიხედვით არსებული საუნივერსიტეტო მონაცემების კრიტიკულ შეფასებას, რომლის გაანალიზება ხორციელდება ანალიზის სპეციფიკის მცოდნე სპეციალისტების მიერ, შედეგები და მათგან მომდინარე რეკომენდაციები კი გაზიარებულია დაინტერესებულ მხარეებთან.

3.3.4 ადგილობრივ სტუდენტურ და საერთაშორისო საგრანტო კონკურსებში უნივერსიტეტის მონაწილეობის მხარდაჭერისათვის

უნივერსიტეტის ფარგლებში დიდია სტუდენტური ინიციატივების გამოვლენა და მხარდაჭერა. აღნიშნულ აქტივობაში 2020 წლიდან მონაწილეობს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ვინაიდან სამსახურს მნიშვნელოვნად მიაჩნია სტუდენტთა მიერ ინიცირებული თემების შესწავლა. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ზემოხსენებული პოზიცია ჩამოაყალიბა რეგულარულმა კომუნიკაციამ სტუდენტთა სხვადასხვა ჯგუფების წარმომადგენლებთან, საქმიანმა შეხვედრებმა სტუდენტებთან და მათთან დიალოგში ჩამოყალიბებულმა საინტერესო მოსაზრებებმა.

2020 წლიდან ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი უშუალოდ ჩართულია უნივერსიტეტის სტუდენტური პროექტების დაფინანსების განმსაზღვრელ საბჭოს მუშაობაში, რომელიც დამტკიცებულია თსუ რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ერთობლივი №:18/04 ბრძანებით (23.12.2016).

საანგარიშო პერიოდში კომისიის სახელზე შემოვიდა 150-ზე მეტი სტუდენტური პროექტი განსახილველად, კომისია კი პროექტების თუ სტუდენტური პროექტების კონკურსებთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხის განხილვის მიზნით შეიკრიბა 10-ჯერ.

2019-2020 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო საგრანტო პროექტების განხილვისა და მათი მიზნობრიობის შესაფასებლად შექმნილი კომისიის შეკრება, რომელშიც ასევე იღებენ მონაწილეობას სამსახურის წარმომადგენლები, გაიმართა 6-ჯერ. ერთიანობაში განხილული იქნა 25 სააპლიკაციო

[12] უნივერსიტეტის პროფილი·ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://www.timeshighereducation.com/search?e=404&search=world%20university%20rankings%20ivane%20javakhishvili%20tbilisi%20state%20university;

[13] ჩანართი უნივერსიტეტის შესახებ 2021 წლის ბუკლეტში·ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://flipbooks.timeshighereducation.com/19712/39365/index.html?49547

განაცხადი, აქედან 2-ჟან მონეს საპროექტო განაცხადი, 23 - ერაზმუს + ის (KA2 – Capacity Building in Higher Education).

განხილული 25 პროექტიდან 11 პროექტს თანხმობა მიეცა რეკომენდაციების შესრულების პირობით; 1 პროექტის მომზადება შეჩერდა (პროექტის განმცხადებლის გადაწყვეტილებით); 12 პროექტს კი რეკომენდაციების გარეშე მიეცა თანხმობა.

აღნიშნული პროექტებიდან ოთხმა მოიპოვა დაფინანსება ERASMUS+ 2020 წლის კონკურსში, მათგან ერთ-ერთი კი უნივერსიტეტის ხარისის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინირებით მომზადებული პროექტია.

2020 წელს ასევე განხორციელდა ცვლილება სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელით ERASMUS+ (Key Action 2; Key Action 3; Jean Monnet) ფარგლებში საერთაშორისო საგრანტო განაცხადის წარდგენის წესში და საერთაშორისო საგრანტო პროექტების განხილვის კომისიის ფუნქციებს დაემატა უნივერსიტეტის ჩართულობით მიმდინარე პროექტების კოორდინატორებთან პერიოდული შეხვედრების გამართვა, რომლის მიზანია საერთაშორისო საგრანტო პროექტის მონაწილე პირების მხარდაჭერა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროექტით განსაზღვრული აქტივობების შესრულებისა და პროექტის მიზნების მიღწევის უზრუნველყოფა.

3.3.5 INTEGRITY: აკადემიური კეთილსინდისიერება საქართველოს უმაღლეს საგანმანათ-ლებლო დაწესებულებებში ხარისხიანი სწავლებისა და სწავლისთვის - პროექტის ფარგლებში განხორციელებული აქტივობები

საანგარიშო პერიოდში გაგრძელდა უნივერსიტეტის თანამშრომლობა ერასმუს+ ინსტიტუციური განვითარების პროგრამის პროექტში **აკადემიური კეთილსინდისიერება საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ხარისხიანი სწავლებისა და სწავლისთვის (INTEGRITY)** დაგეგმილი ღონისძიებების ფარგლებში კონსორციუმის მონაწილე უნივერსიტეტებთან. აღნიშნული პროექტი დასრულდა 2020 წელს.

პროექტის ფარგლებში 2017-2020 წლებში განხორციელდა შემდეგი აქტივობები და ღონისძიებები:

- **თსუ-ში დაინეგრა პლაგიატის აღმოჩენისა და პრევენციის/უკუკავშირის მექანიზმი "Turnitin"-ი:**
  - ✓ Turnitin-ის პროგრამა ინტეგრირდა Moodle-ის სისტემაში 2018 წლის 6 ივლისს;
  - ✓ Moodle-ის ელექტრონულ სასწავლო პლატფორმაზე ატვირთულია და ამჟამად აქტიურია 1500-ზე მეტი სასწავლო კურსი;
  - ✓ Moodle-ის პლატფორმაზე Turnitin-ი გააქტიურებულია 918 კურსში. ამ კურსებში ატვირთული ყველა დავალება მოწმდება პლაგიატზე;
  - ✓ ბოლო 2 წლის განმავლობაში Moodle-ზე დარეგისტრირდა 21,660 სტუდენტი;
  - ✓ 2018 წლიდან დღემდე პლაგიატზე შემოწმდა 79047 დავალება/BA/MA/PhD ნაშრომი. პლაგიატზე ნაშრომების შემოწმება გრძელდება უწყვეტ რეჟიმში.
- **2018-2020 წლებში აკადემიური კეთილსინდისიერების ცნობიერების ამაღლების მიზნით დაიგეგმა და განხორციელდა სარეკლამო კამპანია ადმინისტრაციული, აკადემიური პერსონალისა და სტუდენტებისათვის. აღნიშნული სარეკლამო კამპანიის ფარგლებში:**

- ✓ შემუშავდა სამოქმედო გეგმა;
- ✓ დამზადდა ბლოკნოტები და საწერი კალმები წარწერით „არა პლაგიატს, „No plagiarism";
- ✓ შეიქმნა სარეკლამო პოსტერები, ბანერები და ფლაერები, რაც განთავსდა უნივერსიტეტის თერთმეტივე სასწავლო კორპუსში და ცენტრალური ბიბლიოთეკის შენობაში, სადაც მიმდინარეობს საგამოცდო სესიები;
- ✓ ფლაერები მიეწოდა ფაკულტეტების ადმინისტრაციასა და სტუდენტთა მომსახურების ცენტრებს, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკების სამკითხველო დარბაზებს;
- ✓ დაიგეგმა და განხორციელდა სტუდენტური პროექტი „კამპანია პლაგიატის წინააღმდეგ";
- ✓ მომზადდა ვიდეო-კლიპი „აკადემიური კეთილსინდისიერება";
- ✓ შესაბამისი სამიზნე ჯგუფებისთვის მიმდინარეობდა ინფორმაციის სისტემატური მიწოდება უნივერსიტეტის საკომუნიკაციო არხების მეშვეობით: ვებგვერდით, ელექტრონული სწავლების პორტალით, ელექტრონული ფოსტით, „Facebook" და „YouTube" სოციალური ქსელებით.

- **აკადემიური პერსონალისთვის ეფექტური სწავლა-სწავლებისა და შეფასების სფეროში სატრენინგო მოდულის შემუშავებისა და მიწოდების მიზნით:**
  - ✓ გაიმართა შეხვედრები აკადემიური წერის სასწავლო კურსის ლექტორებთან;
  - ✓ ჩატარდა ონლაინ ტრენინგები სწავლა-სწავლებისა და შეფასების ინოვაციურ მეთოდებზე უცხოელი პარტნიორების მხარდაჭერით;
  - ✓ Turnitin-ის გამოყენებაში გადამზადდა 390 აკადემიური პერსონალი;
  - ✓ Turnitin-ის გამოყენებაში გადამზადდა 68 ადმინისტრაციული პერსონალი;
  - ✓ ტრეინინგები, სამუშაო შეხვედრები და სემინარები გრძელდება სამიზნე აუდიტორიისთვის.
- **სტუდენტთა აკადემიური მხარდაჭერის სერვისების შექმნისა და განვითარების მიზნით:**
  - ✓ გაძლიერდა ტუტორინგის სისტემა ფაკულტეტებზე;
  - ✓ შეიქმნა ღია სივრცეები დოქტორანტებისთვის;
  - ✓ შეიქმნა 15 ვიდეო ლექცია აკადემიური წერისა და კეთილსინდისიერების თემებზე, რომლებიც ატვირთულია Youtube;
  - ✓ გაიმართა პირისპირ შეხვედრები და ონლაინ ტრეინინგები - გადამზადდა 1416 სტუდენტი;
  - ✓ შემუშავდა აკადემიური წერის რესურსები (სახელმძღვანელოები);
  - ✓ შეიქმნა ***პროექტის ვებგვერდი*** ქართულ და ინგლისურ ენებზე;
  - ✓ თსუ-ის ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის ბაზაზე შეიქმნა ტრენინგ-ცენტრი.
- **განახლდა აკადემიური წერის სასწავლო კურსები:**
  - ✓ სამივე საფეხურის აკადემიური წერის სასწავლო კურსების ანალიზი განხორციელდა პარტნიორი როუჰემპტონიის უნივერსიტეტის პროფესორის მაილს ბერის მიერ;
  - ✓ აკადემიური წერის სილაბუსები დამტკიცება აკადემიურ საბჭოზე (დადგენილებები 43/2019; 44/2019);
  - ✓ განხორციელდა პროგრამების უწყვეტი შიდა მონიტორინგი - 32 პროგრამა;
  - ✓ „პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის სწავლის შედეგში" ხაზგასმულია აკადემიური კეთილსინდისიერების თემები;
  - ✓ სასწავლო კურსების დაემატათ ჩანაწერი აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვასთან დაკავშირებით.
- **უნივერსიტეტის აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკის დოკუმენტისა და შიდასაუნივერსიტეტო რეგულაციების მოდიფიცირების მიზნით:**

- ✓ 2019-2020 წლებში რექტორის ბრძანებით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი;
- ✓ სამუშაო ჯგუფი დაკომპლექტდა სტრუქტურული დეპარტამენტების, ფაკულტეტების წარმომადგენლების, აკადემიური პერსონალისა და სტუდენტებისგან;
- ✓ ჯგუფმა გამართა 8 სამუშაო შეხვედრა;
- ✓ აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკის დოკუმენტი დამტკიცდა 2020 წლის 16 მაისს;
- ✓ განხორციელდა N153/2018 დადგენილების მოდიფიცირება, რომლის საფუძველზეც შეიქმნა ახალი დადგენილება N100/2019 "სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურა". აღნიშნული დადგენილების ბოლო მოდიფიცირებაც განხორციელდა 2020 წლის 24 თებერვლის N16 დადგენილებით;
- ✓ განახლდა დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტი N245/2019;
- ✓ განახლდა ეთიკის კოდექსი;
- ✓ განახლდა საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების გზამკვლევები.

გასული, 2020 წლის განმავლობაში, პროექტის ფარგლებში სხვადასხვა სამიზნე ჯგუფისთვის შემუშავდა შემდეგი საგანმანათლებლო რესურსები:

რესურსები სტუდენტებისთვის:

- ✓ Turnitin - ინსტრუქცია სტუდენტებისთვის
- ✓ მენდელეის შესავალი ლექცია
- ✓ მენდელეი - ბიბლიოთეკის ორგანიზება
- ✓ მენდელეი - ბიბლიოთეკაში დოკუმენტების დამატება
- ✓ მენდელეი - MS Word და OpenOffice პლაგინების გამოყენებით
- ✓ მენდელეის დესკტოპ და ვებ ვერსიებში ძიება
- ✓ მენდელეი - პროფილის შექმნა
- ✓ მენდელეი - ჯგუფების შექმნა და გამოყენება
- ✓ ვიდეო ლექცია - კვლევით პროექტი მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის
- ✓ ვიდეო ლექცია - აკადემიური წერა
- ✓ ვიდეო ლექცია - როგორ შევქმნათ მაღალი ხარისხის სამეცნიერო პროდუქტი
- ✓ ვიდეო ლექცია - როგორ შევქმნათ სამეცნიერო ნაშრომი, სამეცნიერო ნაშრომის მახასიათებლები
- ✓ ვიდეო ლექცია - სამეცნიერო ნაშრომისთვის ლიტერატურის ეფექტიანი მოძიების ტექნოლოგიები
- ✓ ვიდეო ლექცია - აკადემიური წერა იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისთვის
- ✓ ვიდეო ლექცია - კვლევის ანგარიში სოციალურ მეცნიერებებში

რესურსები აკადემიური პერსონალისთვის:

- ✓ დავალების შექმნა (Turnitin Assignment 2)

- ✓ დავალების შეფასება
- ✓ შეფასებისას რუბრიკებისა და უკუკავშირის მექნიზმების გამოყენება
- ✓ ონლაინ რეცენზირება
- ✓ დავალების შექმნა (Moodle Assignment პლატფორმაზე e-learning.tsu.ge), გზამკვლევი.

სხვა რესურსები:

- ✓ ელექტრონული სწავლების სახელმძღვანელო მასწავლებლებისთვის
- ✓ Moodle-ის ინსტრუქცია ლექტორებისთვის
- ✓ Moodle-ის ინსტრუქცია სტუდენტებისთვის
- ✓ Moodle - ტესტის შექმნა

2020 წელს აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისთვის განხორციელდა ტრეინინგები ტესტების შექმნის, Moodle პლატფორმისა და Tunritin-ის გამოყენებაზე (იხ. *ცხრილი* 7). საანგარიშო პერიოდში სხვადასხვა მიმართულებით ტრენინგები განხორციელდა ქართველი და უცხოელი ექსპერტების მიერ (იხ. *ცხრილი* 9 და 10).

პროექტის ერთ-ერთი მიზნიდან გამომდინარე, რომელიც გულისხობდა სტუდენტთა აკადემიური მხარდაჭერის სერვისების შექმნას, 2020 წელს უნივერსიტეტის ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის ბაზაზე მომხმარებელთა მომსახურების დეპარტამენტის ფარგლებში შეიქმნა ტრეინინგ-ცენტრი სტუდენტებისთვის შემდეგი ფუნქციებით:

- ✓ ბიბლიოთეკის თანამშრომელთა ტრენინგები;
- ✓ აკადემიური წერის ტრენინგები მომხმარებლებისათვის, რომლებიც მოიცავს: საინფორმაციო წიგნიერებას, მონაცემთა ბაზებში ძიებას, აკადემიური ნაშრომების მომზადებას, ანტიპლაგიატს და აკადემიურ კეთილსინდისიერებას, აკადემიური ციტირების სტილებს და სხვა;
- ✓ ტრენინგები თანამედროვე საბიბლიოთეკო საქმესა და ტექნოლოგიებში;
- ✓ სხვადასხვა დარგობრივი ტრენინგები მომხმარებლებისათვის.

აღსანიშნავია, რომ გასული წლის მონაპოვარს წარმოადგენს პროექტის მდგრადობის შენარჩუნების მიზნით სამწლიანი ვადით შეძენილი„Turnitin“-ის 27000 ლიცენზია 300000 ფაილის ატვირთვის შესაძლებლობით.

პროექტი INTEGRITY-ის ფარგლებში არაერთი წინააღმდეგობის გადალახვა მოუწია პროექტში ჩართულ თითოეულ ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას (მათ შორის უნივერსიტეტსაც), რომელთაგან აღსანიშნავია უნივერსიტეტების აკადემიური თუ ადმინისტრაციული პერსონალის რეზისტენტულობა ცვლილებებისა და სიახლეებისადმი.

პროექტის ფარგლებში წამოჭრილი შიდაინსტიტუციური პრობლემებისა და წინააღმდეგობის მიუხედავად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა შეძლო პროექტის მიზნებისა და შედეგების სრული იმპლემენტაცია შიდასაუნივერისტეტო სივრცეში, სწავლების ყველა დონესა და სტრუქტურულ თუ საგანმანათლებლო ერთეულში. მაგ., პროექტის ფარგლებში შეძენილი ტექსტის მსგავსების ამომცნობი პროგრამული უზრუნველყოფა „TURNITIN“-ი, რომელიც სიახლეს წარმოადგენდა უნივერსიტეტისთვის, სრულად იქნა დანერგილი და დღემდე

აქტიურად გამოიყენება სწავლა-სწავლების პროცესში. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების მიერ დღემდე 100000-მდე დოკუმენტი შემოწმდა.

ამ ეტაპზე ძირითად გამოწვევას წარმოადგენს პროექტის შედეგების შენარჩუნება, რაც გულისხმობს ტრეინინგების, სამუშაო და საინფორმაციო შეხვედრების რეგულარულად გამართვას და ამასთან, მუდმივ ფინანსურ მხარდაჭერას Turnitin-ის ლიცენზიების უწყვეტ რეჟიმში შეძენის მიზნით.

3.3.6 SQUARE: უნივერსიტეტის როლის გაძლიერება საზოგადოების განვითარებაში

ნებისმიერი უნივერსიტეტი დღეს უკვე ცვალებადი სოციალური, ეკონომიკური და საზოგადოებრივი გამოწვევების წინაშე დგას. ამდენად, მათი უწინარესი ფუნქციაა, საკუთარი გამოცდილებით სწავლებასა და კვლევაში წვლილი შეიტანოს საზოგადოების განვითარებაში. წინამდებარე თემა და პრობლემატიკა დღეს ევროპის უნივერსიტეტების დღის წესრიგშიც აქტიურად დგას.

2020 წლის Erasmus+ ინსტიტუციური თანამშრომლობის საგრანტო პროექტების (CBHE) კონკურსის ფარგლებში გაიმარჯვა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინირებით მომზადებულმა პროექტმა „მესამე მისიის ხარისხის და შესაბამისობის გაძლიერება საქართველოს უნივერსიტეტებში“. პროექტის ფარგლებში ქართული უნივერსიტეტები საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობით შექმნიან მეთოდოლოგიას და გზამკვლევებს მესამე მისიის დაგეგმვის, დანერგვის, განხორციელებისა და შეფასების შესახებ და შეიმუშევებენ მესამე მისიის სტრატეგიას. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი კი განაახლებენ ხარისხის უზრუნვეყოფის სისტემას და მეტად მოახდენენ მესამე მისიის აქტივობების შეფასების ინტეგრირებას ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებში.

უნივერსიტეტების მესამე მისიის გაძლიერების შესახებ პროექტი ხელს შეუწყობს ცნობიერების ამაღლებას უნივერსიტეტების მესამე მისიის შესახებ, გაზრდის საუნივერსიტეტო საზოგადოების შესაძლებლობას სწორად დაგეგმოს მესამე მისიის აქტივობები და მოახდინოს მათი შედეგების შეფასება. ასევე მნიშვნელოვანია, რომ პროექტის კონსორციუმის თითოეულ წევრ-უნივერსიტეტში მოხდება მესამე მისიის სტრატეგიული გეგმის შემუშავება და მესამე მისიის თითო პროექტის პილოტირება. აღნიშნული უზრუნველყოფს მესამე მისიის ინსიტუტუციურ დონეზე დანერგვას და განვითარებას.

კონსორციუმის პირველი შეხვედრა შედგა 2020 წლის 17-18 თებერვალს, რომელსაც ესწრებოდნენ რვა ქართული, სამი ევროპული უნივერსიტეტის, აგრეთვე, საერთაშორისო სააკრედიტაციო საბჭოს EFMD (ბელგია) წარმომადგენლები. შეხვედრის მონაწილეთა შორის იყვნენ: რექტორი გიორგი შარვაშიძე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი მიხეილ ჩხენკელი, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ნათია თურნავა, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი თამარ მახარაშვილი, საქართველოში Erasmus + ოფისის ხელმძღვანელი ლიკა ღლონტი.

პროექტის ფარგლებში ასევე იგეგმება ტრეინინგები და კვლევები. ცალკეული აქტივობებისა და კვლევების შედეგები პერმანენტულად წარმოდგენილი იქნება უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ვებგვერდზე[14].

3.3.7 უნივერსიტეტის თანამშრომლობის შესახებ ევროპული უნივერსიტეტების ასოციაციის (EUA) თემატურ ჯგუფებთან

ევროპული უნივერსიტეტების ასოციაცია (EUA) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ინტერესების დამცველი ინსტიტუციაა, რომელიც აჯერებს უმაღლესი განათლების სისტემაში მიმდინარე დინამიურ ცვლილებებს, აზიარებს საუკეთესო პრაქტიკას, შეიმუშავებს უმაღლესი განათლების პოლიტიკის ამოსავალ თეზისებსა და აზიარებს ასოციაციის აქტორთა შორის.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ევროპის უნივერსიტეტების ასოციაციის (EUA) თემატური ჯგუფის - „უნარებისა და დასაქმებადობის მოთხოვნების დაკმაყოფილება“ (Meeting the skills and employability demands) წევრი გახდა. 2020 წლის 23 მარტს გაიმართა ჯგუფის პირველი, ხოლო 3 და 4 ნოემბერს - შემაჯამებელი შეხვედრა. თემატურ ჯგუფში შვიდი ევროპული უნივერსიტეტი იყო გაერთაინებული და იგი ერთი წლის მანძილზე მუშაობდა ვირტუალური შეხვედრების ფორმატით, ახდენდა საჭიროებების ანალიზს, ინსტიტუციური მაგალითების განხილვას, საუკეთესო პრაქტიკის იდენტიფიცირებასა და რეკომენდაციების შემუშავებას. თემატური ჯგუფის წევრებმა მოამზადეს ერთობლივი ანგარიში, რომელსაც ისინი წარადგენენ 2021 წელს გამართულ ევროპული უნივერსიტეტების ასოციაციის სწავლებისა და სწავლის ფორუმზე. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლებს ფორუმზე ფასილიტატორების როლი ექნებათ. აღსანიშნავია, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომლობითი მიდგომა საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების მიმართ ერთ-ერთ კარგ პრაქტიკად იქნა აღიარებული.

2020 წელს ასევე გამოქვეყნდა ევროპის უნივერსიტეტების ასოციაციის (EUA) თემატური ჯგუფის - „სტუდენტების შეფასება“ (Student Assessment), რომელიც მომზადდა ჯგუფში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლის ჩართულობით. თემატური ჯგუფი სტუდენტთა შეფასების თანამედროვე და ინკლუზიურ მიდგომებს განიხილავდა. თემატური ჯგუფის მუშაობის შედეგები, შემუშავებული რეკომენდაციები წარმოდგენილი პუბლიკაციის სახით განთავსდა სამსახური ვებგვერდზე[15].

2020 წლის 18 ივნისს ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა (წარმომადენელი სამსახურის ხელმძღვანელი) მონაწილეობა მიიღო ევროპის უნივერსიტეტების ასოციაციის ფოკუს-ჯგუფის მუშაობაში, რომელიც მრგვალი მაგიდის ფორმატით გაიმართა და უკავშირდებოდა სტუდენტთა მეწარმეობის უნარების განვითარებას (“STUDENT ENTREPRENEURSHIP: LEARNING FOR IMPACT”). ფოკუს-ჯგუფის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს ევროპული უნივერსიტეტების ლიდერებმა. როგორც

[14] პროექტის დეტალები ხელმისაწვდომია: https://tsu.ge/ka/quality-assurance/page/მესამე-მისიის-ხარისხის-და-შესაბამისობის-გაძლიერება-საქართველოს-უნივერსიტეტებში--SQUARE-

[15] დეტალური ინფორმაცია ხელმისაწვდომია: https://www.tsu.ge/ka/quality-assurance/page/ევროპული-უნივერსიტეტების-ასოციაციის--EUA--თემატური-ჯგუფი--Meeting-the-Skills-and-Employability-Demands- 333

აღნიშნულ ღონისძიებაში, ისევე ევროპის უნივერსიტეტების თემატური ჯგუფების მონაწილეთა შერჩევა მათი განაცხადების საფუძველზე ხდება.

2020 წელს მომზადდა და გაიგზავნა განაცხადი უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის ონლაინ ფოკუს-ჯგუფში მონაწილეობაზე, რომელიც დაკმაყოფილდა. უნდა აღინიშნოს, რომ სამუშაო ჯგუფებში გაზიარებული საუნივერსიტეტო გამოცდილებათა შორის განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია უნივერსიტეტის მიდგომებმა კოვიდ-პანდემიის კრიზისის დროს სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფის მიმართ.

3.3.8 თანამშრომლობა უცხოურ ფონდებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან

2019 წლიდან უნივერსიტეტის ხარიხის უზრუნველყოფის სამსახური ინტენსიურად თანამშრომლობს ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ფრანკოფონიის საუნივერსიტეტო სააგენტოსთან (AUF), რომლის მხარდაჭერით 2020 წლის შემოდგომის სემესტრში ეტაპობრივად დაიგეგმა არაერთი თემატური სამუშაო შეხვედრა, სემინარი თუ ტრეინინგი. შეხვედრებს ძირითად ხაზად გასდევდა ხარისხის უზრუნველყოფის თანამედროვე თემები. მრავალფეროვანი იყო ექსპერტთა კორპუსი, რომელთა დიდი ნაწილი ნაცნობია ქართული საგანმანათლებლო სივრცისთვის. შეხვედრების ინცირება მოხდა უნივერსიტეტის ხარისხის უზუნველყოფის სამსახურის მხრიდან, რომლის მიერ გათვალისწინებული იყო ყველა ის სიახლე და გამოწვევა, რომლის წინაშეც აღმოჩნდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი გლობალური პანდემიის პროცესში. სააგენტოს მიერ პროექტის ***ხარისხის უზრუნველყოფა და საუნივერსიტეტო მმართველობა*** ფარგლებში დაფინანსდა უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ წარმოდგენილი ორი პროექტი: „*ხარისხის შიდა უზრუნველყოფა*“ და „*საგანმანათლებლო პროგრამების კოლეგიალური შეფასება*“ და ჩატარდა შემდეგი აქტივობები:

- ✓ 2020 წლის 28-30 სექტემბერი - ტრეინინგი თემაზე: ***ხარისხის შიდა უზრუნველყოფა*** (ექსპერტი: რუმინეთის, ბაბეშ ბოლეს უნივერსიტეტის პროფესორი, გაერთიანებული სამეფოს უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოს (QAA) დირექტორის მოადგილე 2012-2019 წლებში, გაერთიანებული სამეფოს წარმომადგენელი ბოლონიის სამეთვალყურეო ჯგუფის (BFUG) მეორე სამეთვალყურეო შეხვედრაზე, უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი **ანკა გრისი**). ტრეინიგში მონაწილეობდა 62 პირი, მათ შორის თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლები, აკადემიური პერსონალი, და სტუდენტები.
  ამავე პროექტის (***საგანმანათლებლო პროგრამების კოლეგიალური შეფასება***) ფარგლებში დაიგეგმა და განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამების: ეკონომიკა, ფსიქოლოგია და ეკოლოგია შეფასება უცხოელი ექსპერტების მიერ;
- ✓ 2020 წლის 2-4 ნოემბერი - სემინარი თემაზე: ***სადოქტორო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფა*** (ექსპერტი: **ანკა გრისი**). სემინარზე გაშუქდა საკითხები: *სადოქტორო პროგრამების დიზაინი, სწავლა-სწავლება სადოქტორო სწავლების საფეხურზე, სადოქტორო სწავლება და აკადემიური და ადმინისტრაციული რესურსები* და ა.შ. სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდა თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, სამეცნიერო და სასწავლო დეპარტამენტების თანამშრომლები, პროფესორ-

მასწავლებლები, დოქტორანტები, სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელები, სამეცნიერო ხელმძღვანელები და სხვა დაინტერესებული პირები;

- ✓ 2020 წლის 15-16 დეკემბერი - სემინარი თემაზე: ***კვლევის პროდუქტულობის ხარისხის უზრუნველყოფა*** (ექსპერტი: **ანკა გრისი**). სემინარზე განხილულ იქნა საკითხები: *სამეცნიერო კვლევის შეფასება, ხარისხის უზრუნველყოფის როლი კვლევის შეფასებაში და კვლევასთან დაკავშირებულ სხვა საკითხები.* სემინარის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდა თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, სამეცნიერო და სასწავლო დეპარტამენტების თანამშრომლები, სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელები, სამეცნიერო ხელმძღვანელები და სხვა დაინტერესებული პირები.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მანდატის ფარგლებში ინიცირებული პროექტებით გრძელდება დოქტორანტურის საგანმანათლებლო საფეხურზე საერთაშორისო მოთხოვნებით რეკომენდებული სიახლეების მხარდაჭერა, რაც ეტაპობრივად აისახა რეაკრედიტაციის მიზნით წარდგენილი დოქტორნატურის საგანმანათლებლო პროგრამებში. ევროპული გამოცდილების გაზიარების პირველი ეტაპის შედეგად შეიძლება ჩაითვალოს 2020 წელს 4 ქართული უნივერსიტეტის მიერ ერთობლივი დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ***განათლების მეცნიერებები*** ამუშავება, რაც შესაძლოა ჩაითვალოს ერთგვარად სადოქტორო სკოლის შექმნის წინა ფაზად. წინამდებარე საგანამანათლებლო პროგრამის საუკეთესო პრაქტიკად შეიძლება ასევე ჩაითვალოს მისი მაღალი ინტერნეციონალიზაციის თამასა. გარდა ზოგადი თემატური სემინარებისა, ზემოხსენებული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა და აკადემიური პერსონალისთვის დაიგეგმა და განხორციელდა არაერთი სამუშაო შეხვედრა. მათ შორის:

- ✓ 2020 წლის 7 მაისი - სამუშაო შეხვედრის თემა: ***ელექტრონული სწავლება: ელექტრონული პორტალის ZOOM-ის გამოყენების სპეციფიკა*** (ექსპერტი: მაიკლ სანდერსი). შეხვედრა მხარდაჭერილი იყო სანდიეგოს უნივერსიტეტის მიერ, მასში მონაწილეობა მიიღო 90-ზე მეტმა პირმა. ტრეინინგზე განხილულ იქნა ელექტრონული პორტალის ტექნიკური დეტალები და მისი გამოყენების შესაძლებლობები სასწავლო პროცესში;
- ✓ 2020 წლის 22-26 მაისი - სამუშაო შეხვედრის თემა: ***ონლაინ სწავლების პედაგოგიკის, შეფასების მეთოდებისა და სტრატეგიების შესახებ*** (ექსპერტი: მიდლექსის უნივერსიტეტის (ლონდონი, დიდი ბრიტანეთი) პროფესორი, ჯორჯ დაფულასი). შეხვედრაზე განხილულ იქნა ონლაინ სწავლების ინტერაქტიურად ჩატარების სტრატეგიები, პრაქტიკული მაგალითები, ონლაინ სწავლის დროს ეფექტური უკუკავშირის მიწოდების სტრატეგიები, შეფასების კომპონენტების შერჩევა, სტუდენტების მიერ აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის გათვალისწინება შეფასებისას, ონლაინ სწავლების ეტიკეტის დაცვის საკითხები. ტრენინგის მონაწილეები გაეცნენ სხვადასხვა ელექტრონულ პლატფორმებს და დამხმარე საშუალებებს, რომლებიც გაამარტივებს სწავლებისა და შეფასების პროცესს, ხელს შეუწყობს სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას. შეხვედრების კურსი მხარდაჭერილი იყო ფოლკსვაგენის ფონდის მიერ (გერმანია). კურსს ესწრებოდა აკადემიური და მოწვეული პერსონალი - სულ 20 პირი;
- ✓ 2020 წლის 3-7 ოქტომბერი - ტრეინინგი თემაზე: ***სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნების საკითხები განათლებაში*** (ექსპერტი: მასარიკის უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებების პროფესორი, ხელოვნების ფაკულტეტის დეკანი და სამეცნიერო

ჟურნალის „Studia Pedagogika" მთავარი რედაქტორი, პროფესორი მილან პოლი). შეხვედრაზე მიმოხილულ იქნა საკითხები: *საერთაშორისო ჟურნალში ნაშრომის გამოქვეყნებისთვის არსებული შესაძლებლობები და მოთხოვნები; ნაშრომის მომზადება (მ.შ. სტრუქტურა, კვლევის შედეგების განხილვა და სხვ.) შესაბამის ჟურნალში გამოქვეყნებისთვის; განათლების მიმართულებით არსებული სანდო და მაღალი რეპუტაციის მქონე საერთაშორისო ჟურნალები; რა ეტაპებს გადის ნაშრომი მის გამოქვეყნებამდე - როგორია რედაქტირების პროცედურები და სხვ.* შეხვედრაში მონაწილეობდნენ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და იაკობ გოგებაშვილის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებების მიმართულების სტუდენტები და პერსონალი - სულ 25 პირი;

- ✓ 2020 წლის 10 ოქტომბერი, 10-11 ნოემბერი - სამუშაო შეხვედრები თემაზე: ***კვლევის ეთიკის საკითხები განათლების მეცნიერებებში და „მონაცემთა ანალიზი განათლების კვლევაში*** (ექსპერტი: არკანზასის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორმა, ჯონ პიჟანოვსკიმ). შეხვედრები დაიგეგმა მეცნიერებების მიმართულების მაგისტრანტების, დოქტორანტებისა და პერსონალისთვის. მას ასევე ესწრებოდნენ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის, იაკობ გოგებაშვილის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლები. ვორკშოპის ფარგლებში, რომელშიც მონაწილეობდა 20 პირი, განხილულ იქნა კვლევის პროცესების არაერთი მნიშვნელოვანი საკითხი, როგორიცაა: *ინტერესთა კონფლიქტი, ერთობლივი კვლევა, მონაცემთა მოპოვებასა და გაზიარებასთან დაკავშირებული ეთიკური საკითხები, მკვლევარის პასუხისმგებლობა, მონაცემთა ანალიზის დროს მიკერძოებულობის თავიდან აცილება, მონაცემთა დამუშავებისას ხშირად დაშვებული შეცდომები და სხვ.*

უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი ტრეინინგების, სამუშაო შეხვედრებისა და სემინარებისადმი ინტერესს ავლენს უკანასკნელ ხანებში როგორც აკადემიური, ისე ადმინისტრაციული პერსონალი და მათი მხრიდან ხშირად ხდება სასეინარო თემატიკის დაკვეთა.

2020 წელს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ფარგლებში დასრულდა კიდევ ერთი საერთაშორისო პროექტი, რომელიც ასევე მიძღვნილი იყო სწავლისა და სწავლების პროცესისადმი, კერძოდ, საქმე ეხება ბრიტანეთის საბჭოს მიერ დაგეგმილ პროექტს ***უმაღლესი განათლება დასაქმებისთვის***. საერთაშორისო პროექტში მონაწილეობამ გაზარდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ინტერნაციონალიზაციის ხარისხი, ვინაიდან აღნიშნული პროექტი მიზნად ისახავდა მაღალი ხარისხის უმაღლესი განათლებისა და პროფესიული განვითარების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას. პროექტის ფარგლებში დაიგეგმება ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების მომზადების მხარდაჭერა, რაც ხელს შეუწყობს არამარტო ქართველი, არამედ უცხოელი სტუდენტების მოზიდვას. 2020 წელს უნივერსიტეტში (რე)აკრედიტაციის მიზნით მომზადდა 6 ინგლისურენოვანი საგანმანათლებ-ლო პრგორამა, მათ შორის 1 ახალი ინტეგრირებული პროგრამა. ამ პროგრამათაგან 3 წარდგენილია საერთაშორისო აკრედიტაციაზე უცხოურ სააგენტოებში. საანგარიშო პერიოდში ასევე ბრიტანეთის საბჭოს მხარდაჭერით დაიგეგმა ახალი აქტივობები, სახელდობრ, ახალი პროექტის დაწყებამდე პროექტის მენეჯმენტი გეგმავს შეხვედრას უცხოენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღანელებთან.

3.4 პერსონალის განვითარება

აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების მხარდაჭერის მიზანია უმაღლესი სასწავლო დაწესებულების განვითარება და ამ თვალსაზრისით უნივერსიტეტი განიხილება როგორც ერთი მთლიანი ორგანიზმი, რაც ნიშნავს:

- მაღალპროფესიულ აკადემიურ პერსონალს, რომლის პირდაპირპროპორციულია მეცნიერულად კვალიფიციური კურსდამთავრებული;
- სტრატეგიულად, საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი და არსებითად მოთხოვნადი ქმედების სფეროების დაფარვას.

აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ყოველწლიურად მიმართავს გამოკითხვებს, რომლის საფუძველზე წინასწარ განისაზღვრება მხარდაჭერის საჭიროების არეალი. ფოკუს-ჯგუფის ჩართულობით დგინდება ასევე საჭიროების ველი, რაც გულისხმობს, რომ აკადმეიური პერსონალი თავად ანიჭებს პრიორიტეტს, თუ რა მიმართულებით აირჩევდა კომპეტენციის გაღრმავებას: *მენეჯმენტის, სოციალურის თუ თვითგანვითარების.* ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ორგანიზებას უწევს პროფესიული გადამზადების მიზნობრივი ჯგუფების მხარდაჭერას სამი ძირითადი მიმართულებით: სტუდენტთა, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი. თუმცა ხშირ შემთხვევაში არის საკითხები, რაც განიხილება და მუშავდება შერეულ ჯგუფებში, რათა შეჯერდეს აკადემიური პროცესების მონაწილე ყველა მხარის მოსაზრება ცალკეულ მნიშვნელოვან პრობლემებზე. საუნივერსიტეტო პერსონალის მხარდაჭერა ხორციელდება სხვადასხვა ინსტრუმენტებით:

- მზადდება სარეკომენდაციო გზამკვლევები, ითარგმნება უახლესი სახელმძღვანელოები და კვლევები სწავლისა და სწავლების მეთოდიკაში, დგება სარეკომენდაციო ლიტერტურის ბიბლიოგრაფია, რომლის შესყიდვას ახორციელებს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა და მზადდება პრეზენტაციები და ვიდეორგოლები ცალკეული ტექნოლოგიური სიახლეების გაცნობისა და ათვისების მიზნით;
- იგეგმება თემატურის სემინარები, ტრეინიგები და სამუშაო შეხვედრები, როგორც თემატურ, ისე შერეული ჯგუფებისათვის;
- უნივერსიტეტის პერსონალსა და სტუდენტებს რეგულარულად მიეწოდებათ ინფორმაცია როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო საგრანტო პროექტებში მათი ჩართვის მიზნით.

2020 წელს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მანდატის ფარგლებში მომზადდა ***გზამკვლევები და სახელმძღვანელოები***, რომელიც ასევე გაზიარებულია აკადემიურ პერსონალთან:

- როგორ დავწეროთ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასება;
- ელექტრონული სწავლება - გზამკვლევი;
- საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბება და შეფასება;
- დავალებების შექმნა MOODLE-ში (სახელმძღვანელო);
- ტესტების შექმნა MOODLE-ში (სახელმძღვანელო);
- სამუშაო ჯგუფები ZOOM-ის ელექტრონულ პლატფორმაზე;

- გამოკითხვები ZOOM-ის ელექტრონულ პლატფორმაზე;
- კვლევის მეთოდები ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებებისათვის (ნაწილი პირველი);
- კვლევის მეთოდები ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებებისათვის (ნაწილი მეორე);
- დოქტორანტის ხელმძღვანელობა;
- პროგრამა Turnitin-ის გამოყენება საკვალიფიკაციო ნაშრომების შესამოწმებლად (გზამკვლევები დოქტორანტისა და შემოწმებაზე პასუხისმგებელი პირისათვის);
- ანონიმური ხმის მიცემის პროცედურა პროგრამა ElectionBuddy-ის გამოყენებით (სადისერტაციო კომისიების წევრთათვის).

უნივერსიტეტის **აკადემიური პერსონალისთვის** 2020 წელს ჩატარდა **33 ტრენინგი** 4 უცხოელი და 4 ქართველი ტრენერის მიერ **715 მონაწილისათვის,** ასევე **სტუდენტებისთვის - 13 ტრენინგი** 11 ქართველი ტრენერის მიერ **573 მონაწილისათვის**[16]. ტრენინგების კალენდარი[17] ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის.

ხარისხის უზრუნველყოფის მიერ მომზადდა ტრეინინგების ციკლი:

- **თვითშეფასების ანგარიშის მომზადება.** კურსის მიზანი იყო მსმენელისათვის გაეცნო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის მომზადების ეტაპები, ჯგუფის შექმნის, მონაცემთა მოგროვებისა და ანალიზის, პროგრამის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოკვეთის და აკრედიტაციის სტანდატებთან პროგრამის შესაბამისობის წარმოჩენის შესაძლებლობები. კურსი იყო პრაქტიკული ხასიათის და მისი დასრულების შემდეგ მსმენელები შეძლებდნენ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის პროექტის მომზადებას (ტრენერი ირმა გრძელიძე);
- **ტესტის შექმნის მეთოდოლოგია.** დღესდღეობით ტესტური შეფასების მეთოდი მრავალ სფეროში გამოიყენება და ნებისმიერ იმ შემთხვევაში, როდესაც ტესტირება მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების საფუძველი ხდება, უკიდურესად მნიშვნელოვანია სანდო და ხარისხიანი ტესტების შემუშავება. ამ მიზნის მისაღწევად ჩატარდა ტრენინგ-კურსი, რომელმაც წარმოაჩინა ტესტის შექმნის ის მნიშვნელოვანი ასპექტები, რომლებიც უზრუნველყოფს ტესტირების პროცედურის მაღალ ხარისხს. ტრენინგის ფარგლებში მონაწილეები გაეცნენ ტესტის შექმნის თეორიას, სხვადასხვა ტიპის ტესტური დავალებების შექმნის მეთოდოლოგიას და ტესტების ხარისხის მონიტორინგის შესაძლებლობებს (ტრენერი ივა მინდაძე);
- **საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბება და შეფასება.** კურსის მიზანი იყო მსმენელებისთვის გაეცნო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისა და შეფასების მექანიზმები და მათთვის განევითარებინა პროგრამის წარმართვისა და მუდმივი გაუმჯობესებისთვის საჭირო უნარები (ტრენერი მაია გელაშვილი);
- **შეფასების რუბრიკების შექმნა.** შეფასების რუბრიკა არის სტუდენტის შეფასების ძალიან მოსახერხებელი საშუალება. ის აჩქარებს და ამარტივებს შეფასების პროცესს და ამასთანავე, ამცირებს სტუდენტის მიერ მიღებული ქულის გასაჩივრების ალბათობას. რუბრიკის კიდევ ერთი დადებითი მხარე არის შეფასების კრიტერიუმების

[16] დანართი: *ცხრილი 10, 11*

[17] ტრენინგების კალენდარი·ხელმისაწვდომია: https://www.tsu.ge/ka/quality-assurance/page/ტრენინგების-კალენდარი;

გამჭვირვალობა, რასაც სტუდენტი სწავლის უკეთესს შედეგზე გაყავს. აღნიშნული კურსის მიზანი იყო მსმენელისთვის გაეცნო შეფასების რუბრიკების ტიპები (ჰოლისტური, ანალიტიკური) და მათი შექმნის გზები (ტრენერი მაია გელაშვილი);

- **შეფასების მეთოდები.** სტუდენტების შეფასება საგანმანათლებლო პროცესის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილია, რადგან ის დიდ გავლენას ახდენს სტუდენტების ქცევაზე. ბევრი კვლევა ცხადყოფს, რომ სწორი შეფასების შერჩევით შესაძლებელია სტუდენტების სწავლის გაუმჯობესება. სტუდენტზე ორიენტურებული სწავლების პროცესში და ასევე ელექტრონული რესურსების ერაში, შეფასების მეთოდებიც იცვლება. აღნიშნული კურსის მიზანი იყო მსმენელისთვის გაეცნო სტუდენტების შეფასების სხავდასხვა მეთოდები და სწავლის შედეგების შესაბამისი შეფასების მეთოდების შერჩევისა და შექმნის გზები;
- **დავალების შექმნა MOODLE-ის პლატფორმაზე.** კურსის მიზანი იყო მსმენელისთვის გაეცნო დავალების ტიპები MOODLE-ში, მათი შექმნის გზები, შეფასების მეთოდები და შედეგების ნახვისა და ჩამოტვირთვის შესაძლებლობები. განხილული იყო ორი ტიპის დავალება: Assignment და Turnitin Assignment 2 (ტრენერი თინათინ დავითაშვილი);
- **ტესტების შექმნა MOODLE--ის პლატფორმაზე.** კურსის მიზანი იყო მსმენელისთვის გაეცნო ტესტების ტიპები MOODLE-ში, აეხსნა ზოგიერთი ტიპის ტესტის შექმნა, შეფასების პარამეტრების შერჩევა, შედეგების ნახვა და ჩამოტვირთვა სასურველ ფორმატში. განხილული იყო რამოდენიმე ტიპის ტესტი: მრავალარჩევანიანი კითხვა, ჭეშმარიტი/მცდარი, მოკლე შეკითხვა, რიცხვითი შეკითხვა, ესსე, შესაბამისობა. ჩატარდა ასევე სხვა ტიპის ტესტების მიმოხილვა (ტრენერი თინათინ დავითაშვილი).

3.5 სიახლეები პროფესიული განათლების ცენტრში

სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2020 წლიდან დამოუკიდებლად ფუნქციონირებს პროფესიული განათლების ცენტრი (შედგომში ცენტრი) ორ ლოკაციაზე (თბილისსა და ქუთაისში). ზემოხსენებული ცენტრი დამოუკიდებელია მართვის თვალსაზრისით, თუმცა მუდმივ კოორდინაციაში უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, იღებს ცალკეული მიმართულებით რეკომენდაციებს და აქტიურად იზიარებს სამსახურის ფარგლებში მიმდინარე სიახლეებს.

მოცემულ ეტაპზე ცენტრი ადმინისტრირებას უწევს 21 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ორ ლოკაციაზე თბლისსა და ქუთაისში (იხ. *ცხრილი 11*), მათ შორის უნდა აღინიშნოს, რომ 2020 წელს ცენტრის პორტფოლიოს დაემატა 10 ახალი ავტორიზებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა:

- **თბილისის ლოკაცია:** *ბუღალტრული აღრიცხვა, საფინანსო სერვისები, ღონისძიების ორგანიზება, სკოლამდელი აღზრდა, საოფისე საქმე;*
- **ქუთასის ლოკაცია:** ბუღალტრული აღრიცხვა, საფინანსო სერვისები, ღონისძიების ორგანიზება, სკოლამდელი აღზრდა, საბიბლიოთეკო საქმე.

ცენტრის განახლების, ახალი და აქტუალური პროფესიული პროგრამების დამატების შედეგად გაიზარდა საგანამანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობა. უკანასკნელი სტატისტიკის მიხედვით 2020 წ. ჩაირიცხა 225 (თბილისი - 98, ქუთაისი - 127) პროფესიული სტუდენტი. 2020 წ. კვალიფიკაცია მიენიჭა 52 პროფესიულ სტუდენტს. დღევანდელი

მონაცემებით: პროგრამებზე სწავლობს 193 სტუდენტი (თბილისის ლოკაცია), 257 (ქუთაისის ლოკაცია), სულ 450 პირი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების 333მინისტრის 2020 წლის 11 სექტემბრის N820672 ბრძანების შესაბამისად, 2020 წლის 14 სექტემბრიდან სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესი დისტანციური სწავლების ელემენტებით მიმდინარეობს.

აღნიშნული ფორმით სწავლების წარმართვის ეფექტური ორგანიზებისა და კოორდინაციისთვის, უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრი იზიარებს რა უნივერსიტეტის აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების 2020 წლის გაზაფხულის სემესტრის გამოცდილებას, საქმიანობას რამდენიმე მიმართულებით წარმართავს:

- სასწავლო პროგრამების ადაპტაცია ელექტრონული სწავლების ელემენტების გამოყენებით;
- თანამედროვე ტექნოლოგიების სინქრონული/ასინქრონული (ZOOM, Moodle, LMS და სხვ.) ფორმით აქტიური გამოყენება;
- ელექტრონული სწავლების მარეგულირებელი შესაბამისი დოკუმენტაციის შემუშავება და დანერგვა;
- პროფესიული სტუდენტებისთვის სერვისების ელექტრონულად მიწოდება;
- სასწავლო პროცესის ინტერნაციონალიზაცია - საერთაშორისო კოლეგების გამოცდილების გაზიარება დისტანციური სწავლების სპეციფიკასთან დაკავშირებით;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის გადამზადება თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებასთან დაკავშირებით.

- **სასწავლო პროგრამების ადაპტაცია ელექტრონული სწავლების ელემენტების გამოყენებით**

2020 წლის 11 სექტემბერს თსუ პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელის N08/127-01 (11.09.2020) ბრძანების საფუძველზე, შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომლის წევრებსაც დაევალათ სასწავლო პროცესში ელექტრონული სწავლების ელემენტების გამოყენებასა და მათ ადმინისტრირებაში მხარდაჭერა. სამუშაო ჯგუფის წევრებს შორის პასუხისმგებლობები გადანაწილდა შემდეგ სფეროებზე: სასწავლო პროცესში ჩართული პროფესიული სტუდენტებისა და მასწავლებლების ტექნიკური მხარდაჭერა და ჩატარებული მეცადინეობების მონიტორინგი; რეკომენდაციების შემუშავება განმსაზღვრელი შეფასების ჩატარების თაობაზე თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით და პროგრამის განხორციელების ადგილის მიხედვით; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესში ელექტრონული სწავლების ელემენტების გამოყენებისა და ადმინისტრირების შესახებ წესის შემუშავება და სხვ.

14 სექტემბრიდან ყველა მიმდინარე მოდულის კალენდარულ გეგმაში შევიდა ცვლილება, რომელშიც განისაზღვრა ელექტრონული სწავლების ელემენტები, მოდულის განმახორციელებელ მასწავლებლებთან მიმდინარეობს პერმანენტული ტრენინგები ელექტრონული სწავლების ეფექტიანად განხორცილებისთვის, შეფასებები ტარდება

სპეციალური გრაფიკის მეშვეობით A და B გარემოში, სადაც დაცულია კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით შემუშავებული რეკომენდაციები.

- **თანამედროვე ტექნოლოგიების სინქრონული/ასინქრონული (ZOOM, Moodle, LMS და სხვ.) ფორმით აქტიური გამოყენება**

უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრში ძირითადი სალექციო პროცესი სინქრონულად, პროგრამა ZOOM-ის გამოყენებით მიმდინარეობს. უნივერსიტეტსა და საქართველოს ბანკის თანამშრომლობის შედეგად, შეძენილ იქნა ZOOM-ის პროგრამის ლიცენზიები, რომელიც გამოიყენება როგორც სალექციო პროცესში, ასევე პროფესიულ სტუდენტებთან და მასწავლებლებთან შეხვედრებისა და ტრენინგების განსახორციელებლად.

ასინქრონული სწავლების წესით განხორციელების მიზნით, დანერგვის რეჟიმშია ელექტრონული სწავლების პორტალის, Moodle-ის, გამოყენება. თითოეული პროფესიული სტუდენტისთვის შექმნილია სტუდენტური ელფოსტა დომეინზე - cve.tsu.ge. უნივერსიტეტის ელფოსტებით სარგებლობენ პროფესიული პროგრამების განმახორციელებელი პერსონალიც. აღნიშნული ფოსტების საშუალებით, პროფესიულ სტუდენტებსა და განმახორციელებელ პერსონალს შეუძლია დარეგისტრირდეს მოცემულ პლატფორმაზე, რაც აუცილებელი წინაპირობაა, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მოდულებით გათვალისწინებულ იმ სასწავლო მასალებზე წვდომისათვის, რომელიც ამ სივრცეშია განთავსებული.

- **ელექტრონული სწავლების მარეგულირებელი შესაბამისი დოკუმენტაციის შემუშავება და დანერგვა**

როგორც უკვე აღინიშნა, 2020 წლის 11 სექტემბერს, თსუ პროფესიული განათლების ცენტრი ხელმძღვანელმა გამოსცა ბრძანება უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესში ელექტრონული სწავლების ელემენტების გამოყენებისა და მათი ადმინისტრირების შესახებ. ამ ბრძანების საფუძველზე შექმნილია სასწავლო მეცადინეობებზე დაკვირვების განრიგი, რომლის მიხედვითაც აქტიური მონიტორინგი მიმდინარეობს ცენტრის წარმომადგენლების მიერ სალექციო პროცესის უწყვეტობასა და შეუფერხებლობაზე.

2020 წლის 19 ნოემბერს რექტორის N230/01-01 ბრძანებით კი დამტკიცდა „სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლების ელექტრონული ფორმით განხორციელების წესი“, რომლის მიზანია, განსაზღვროს უნივერსიტეტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ელექტრონული კომპონენტების გამოყენებით სწავლების პროცედურები.

- **პროფესიული სტუდენტებისთვის სერვისების ელექტრონულად მიწოდება**

უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრი ეფექტურად იყენებს თანამედროვე ტექნოლოგიურ საშუალებებს პროფესიულ სტუდენტებთან კომუნიკაციისა და მათთვის სხვადასხვა სერვისის მიწოდების მიზნით: ცენტრთან დაკავშირება სტუდენტებს შეუძლიათ როგორც ცხელი ხაზის, ასევე, სპეციალური საკონტაქტო ინფორმაციის (ტელეფონი, მეილი) და სოციალური ქსელის ოფიციალური გვერდის საშუალებით. პროფესიული სტუდენტებისთვის სასწავლო პროცესში ინტეგრაციასთან დაკავშირებული კონსულტაციების გაწევა მიმდინარეობს დისტანციურ რეჟიმში, ხოლო ცნობებისა და სხვა მსგავსი დოკუმენტების მიწოდება ხდება მეილების საშუალებით.

როგორც უკვე აღინიშნა, პროფესიული სტუდენტებისთვის ინდივიდუალურადაა შექმნილი სპეციალური მეილები, დომეინით @cve.tsu.ge, რომლის საშუალებითაც მათ შეუძლიათ დარეგისტრირდნენ როგორც სინქრონული, ისე ასინქრონული სწავლებისთვის საჭირო ელექტრონულ პლატფორმებზე. ასევე, პროფესიული სტუდენტები მითითებულ მეილებზე იღებენ სასწავლო პროცესში გამოყენებულ ლიტერატურასა თუ სხვა მასალებს.

გარდა ამისა, პროფესიული სტუდენტებისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით შექმნილია ჯგუფები სოციალურ ქსელში, სადაც მათ შეუძლიათ როგორც სხვა პროფესიულ სტუდენტებთან, ისე მასწავლებლებთან და ადმინისტრაციასთან ინტერაქცია.

- **სასწავლო პროცესის ინტერნაციონალიზაცია - საერთაშორისო კოლეგების გამოცდილების გაზიარება დისტანციური სწავლების სპეციფიკასთან დაკავშირებით**

უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრის საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია საერთაშორისო გამოცდილების გაცნობა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება სწავლა-სწავლების პროცესის ხარისხის უზრუნველყოფისთვის. პანდემიის პირობებშიც კი, ცენტრი აქტიურად მუშაობდა მოცემული მიმართულებით: 2020 წლის 22 ივნისს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრის ინიციატივით, Ida-Virumaakutsehariduskeskus პროფესიული განათლების ცენტრთან (ესტონეთი) ერთად, გაიმართა ვებინარი თემაზე: „დისტანციური სწავლების შესაძლებლობები და გამოწვევები პროფესიულ განათლებაში“, სადაც ჩვენმა პარტნიორმა ესტონელმა კოლეგებმა გაგვიზიარეს საკუთარი გამოცდილება. ვებინარის მიზანი იყო საქართველოში პროფესიული განათლების სფეროში დისტანციური სწავლების დანერგვის პროცესის ხელშეწყობა.

ვებინარს ესწრებოდნენ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისა და ქვეყნის მასშტაბით არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულების წარმომადგენლები.

- **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის გადამზადება თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებასთან დაკავშირებით**

უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრი ზრუნავს, რომ ორივე ლოკაციაზე (როგორც თბილისში, ისე ქუთაისში) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალი აღჭურვილი იყოს სწავლების ელექტრონული ფორმით წარმართვისთვის საჭირო ყველა უნარ-ჩვევით. ცენტრის მიერ შემუშავდა პროგრამა ZOOM-ის გამოყენების ინსტრუქცია როგორც მასწავლებლებისთვის, ისე სტუდენტებისთვის. პერსონალის ნაწილს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩაუტარდა ტრენინგი Moodle-ის გამოყენების შესახებ. ცენტრი აქტიურად იყენებს ელექტრონულ სწავლებასთან დაკავშირებით უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შექმნილ გზამკვლევებსა და სახელმძღვანელოებს. ცენტრი პერმანენტულად ატარებს მასწავლებლების გადამზადებას „სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლების ელექტრონული ფორმით განხორციელების წესი“-ით განსაზღვრული პროცედურების შესახებ.

3.6 თანამშრომლობა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებთან

უნივერსიტეტების ხარისხის უზურნველყოფის სისტემის ერთ-ერთ არსებით ქვაკუთხედს წარმოადგენს ფაკულტეტი, როცა ვმსჯელობთ სწავლა-სწავლებისა და კვლევების საუნივერსიტეტო მართვის ჰარმონიულ ფორმაზე, ვინაიდან დღევანდელ საგანმანათლებლო სისტემაში ნაკლებად მოიძებნება აბსოლუტურად ჰომოგენური საფაკულტეტო მოწყობა. შესაბამისად, საკუთრივ ფაკულტეტები მართვას ახროციელებენ პოლისისტემურად, ცალკეულ მიმართულებათა სპეციფიკისა და ნიშნების გათვალისწინებითა და საერთო საფაკულტეტო სივრცეში მათი ჰარმონიზაციის პრინციპზე დაყრდნობით. ამრიგად, უნივერსიტეტში 7 პლურიცენტრული ფაკულტეტი განაგრძობს თანაცხოვრებას ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში მიმდინარე მუდმივად ცვალებადი რეფორმების ფარგლებში.

ამდენად, კიდევ უფრო რთული ამოცანა დგას უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წინაშე, რომლის მოქმედების არეალი უნდა ფარავდეს არამარტო პერმანეტულ აკრედიტაციის საკითხებს, საგანამანათლებლო პროგრამების შეფასებასა და განვითარებას, არამედ არაერთ უმნიშვნელოვანეს და ხშირად სასწრაფოდ გადასაჭრელ, ინსტიტუციური განვითარებისთვის სასიცოცხლოდ არსებით პროცესებს. ამითაა გამართლებული უნივერსიტეტის გადაწყვეტილება, ხარისხის უზრუნველყოფის საკითხები დეცენტრალი-ზებულად გადაიჭრას, რაც ერთგვარად აკადემიური თავისუფლების კიდევ ერთი გამოკვეთილი ფორმაა საუნივერსიტეტო სივრცეში. ამრიგად, საფაკულტეტო ხარისხის უზურნველყოფის სამსახურებს შესაძლებლობა ეძლევათ, ჩამოაყალიბონ საკუთარი საფაკულტეტო სპეციფიკა და მასზე დაყდრობით კიდევ უფრო ხილვადი გახადონ ფაკულტეტის ძირითადი პროფილი, რითაც ისინი ამდიდრებენ საუნივერსიტეტო აკადემიურ სურათს, ვინაიდან აკადემიურ მრავალფეროვნებაში ძევს უმაღლესი სასწავლებლის სიძლიერე.

ქვეყანაში არსებული გლობალური პანდემიის მიუხედავად უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მუდმივად კომუნიკაციასა და დიალოგის რეჟიმში იყო საფაკულტეტო ერთეულებთან. მწვავე და სასწრაფო, არსებული ვითარებიდან გამომდინარე საკითხები ერთობლივად განიხილებოდა რეგულარულ, სამუშაო ფორმატში, ZOOM-ის ელექტრონულ პლატფორმაზე. ჩანაწერის საფუძველზე ხორციელდებოდა სამუშაო თემებისა და გადაწყვეტილებების პროტოკოლიზება, რაც მიზნობრივად ზიარდებოდა საფაკულტეტო და ცენტრალური ადმინისტრაციის შესაბამის სამსახურებში.

საანგარიშო პერიოდის პრიორიტეტულ თემებად დასახელდა სწავლისა და სწავლების, კვლევის, ისევე როგორც ადმინისტრირებისა და სერვისების ტრანსფორმირება ელექტონულ სივრცეში. დისტანციურად სასწავლო პროცესის დაწყებამდე უნივერსიტეტისა და ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის, სამსახურებმა ყველა სხვა საუნივერსიტეტო ადმინისტრაციულ ერთეულებთან თანამშრომლობით, მოამზადეს რეგულაციები სასწავლო და კვლევითი პროცესის დისტანციურად წარმართვის მიზნით. კერძოდ,

- ✓ ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების საუნივერსიტეტო წესი (2020 წლის 25 მარტის რექტორის ბრძ. N67/01-01). წინამდებარე წესზე დაყრდნობით კი - ელექტრონული სწავლების საფაკულტეტო კონცეფციები (უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილება N31/2020, 06.04.2020);
- ✓ ფაკულტეტების შუალედური მონიტორინგის საფუძველზე ეტაპობრივად მოწესრიგდა სწავლების სინქრონული და ასინქრონული რეჟიმი;

- ✓ ფაკულტეტებისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებისა და უნივერსიტეტის საინფორმაციო-ტექნოლოგიების დეპარტამენტის ჩართულობით, რეგულაციების შესაბამისად, მოწესრიგდა და ვითარების შესაბამისად დარეგულირდა შეფასების სისტემა სასწავლო კურსებში;
- ✓ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის აქტიური ჩართულობითა და რეკომენდაციებით, ჩვენი ევროპელი პარტნიორი უნივერსიტეტების გამოცდილების გაზიარებით, შემუშავდა ცალკეული სახელმძღვანელოები, ტუტორიალები და დოკუმენტაცია ელექტრონული სწავლების კონკრეტული ეტაპების მართეუბულად იმპლემენტაციისათვის საგანმანათლებლო პროცესში;
- ✓ ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებისა და სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტების ჩართულობით მოწესრიგდა საწავლო პროცესის მართვის (lms) სისტემა და ელექტრონული სასწავლო პლატფორმა (Moodle);
- ✓ უნივერსიტეტში მიმდინარე ტრანსფორმაციის პროცესების მართებული წარმართვის მიზნით, ფაკულტეტების აქტიური ჩართულობით, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და დარგის სპეციალისტების მონაწილეობით, განახლდა და აქტუალური თემებით დაიტვირთა კითხვარები, რომლის შედეგების ანალიზი გაზიარებულ იქნა საფაკულტეტო ადმინისტრაციებთან ახალი ეტაპის დაგეგმვისა და ელექტრონულ სწავლებაში გამოვლენილი სუსტი მხარეების გაუმჯობესების მიზნით.

მნიშვნელოვანი იყო ხარისხის უზრუნველყოფის საფაკულტეტო სამსახურებთან თანამშრომლობა საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, (რე)აკრედიტაციისა და შიდა კოლეგიალური შეფასების რეჟიმში. წინამდებარე პროცესებიც დაექვემდებარა ერთგვარ კორექტირებას არსებული ვითარებიდან გამომდიარე. მოცემულ პირობებში კიდევ უფრო მაღალი ხარისხის ჩართულობა დაფიქსირდა საფაკულტეტო ადმინისტრაციული ერთეულების მხრიდან. შესაბამისად, ტრანსფორმირება განიცადა აკრედიტაციის მოსამზადებელმა პროცესებმა. გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენი სამსახურისთვის მნიშვნელოვანი იყო კოლეგიური შეფასებები საგანმანათელბლო პროგრამების საკრედიტაციოდ წარსადგენად, შიდა კოლეგიალური შეფასებების მიზნით ჯგუფის შეხვედრები ასევე გადატანილ იქნა ელექტრონულ ფორმატში. შეიცვალა ასევე (რე)აკრედიტაციის პროცესში ინფრასტრუქტურის დათვალიერების რეჟიმი, რაშიც აქტიურად ერთვება ფაკულტეტის ადმინისტრაციული პერსონალი ფაკულტეტის ხარისხის უზრუნვეყოფის სამსახურის კოორდინირებით.

სამსახურის მანდატის ფარგლებში 2020 წელს აქტიურად განიხილებოდა:

- ✓ ელექტრონული სწავლების საუნივერსიტეტო წესების რეგულირების საკითხი, როგორც სასწავლო, ისე კვლევისა და სერვისების მიმართულები;
- ✓ საგანმანათლებლო პროგრამების კორექტირების საკითხი (რე)აკრედიტების ფარგლებში;
- ✓ საგანმანათლებლო პროგრამების შიდა მოხმარების ბაზისა და კატალოგის შევსების საკითხი ახალი აკრედიტებული და განახლებულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან თავსებადობის მიხედვით რეაკრიდებული საგანმანათლებლო პროგრამებით;
- ✓ კვლევების კითხვარების მოდიფიცირების საკითხი;
- ✓ ერთობლივ საგანმანათლებლო პროგრამებზე მუშაობა;
- ✓ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ვებ-გვერდის ქართულ და ინგლისურენოვანი ინფორმაციით დატვირთვის საკითხი;
- ✓ მიზნობრივი ტრეინინგებისთვის თემატიკის განსაზღვრის საკითხები;

- ✓ აკადემიური კეთილსინდისიერების პროექტის ფარგლებში: ტრეინინგებისა და საკვალიფიკაციო ნაშრომების აკადემიური კეთილსინდისიერების პროგრამულ უზრუნველყოფაში დეტექციის საკითხები;
- ✓ უნივერსიტეტის ეფექტიანობის შემუშავებული ინდიკატორების მიხედვით მონაცემების შეგროვება და დამუშავება;
- ✓ კლასტერული აკრედიტაციის მოსამზადებული ნორმატიული დოკუმენტების შესწავლის საკითხი;
- ✓ საერთაშორისო პროექტების დაგეგმვა და განხორცელება, მათ შორის მნიშვნელოვანი იყო უნივერსიტეტის მესამე მისიის გაძლიერებასთან დაკავშირებული პროექტი;
- ✓ საერთაშორისო რანჟირების მონაცემთა განახლება და კომუნიკაცია თაიმსის ჯგუფთან;
- ✓ სტუდენტთა ჩართულობის გაზრდა ხარისხის უზრუნველყოფის საკითხების მხარდაჭერის პროცესში.

წინამდებარე თემებზე უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს გუნდური პრინციპით უწევდა მუშაობა არა მარტო ფაკუტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებთან, არამედ ხშირი იყო აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა ჩართულობა ზემოხსენებული თემების განხილვასა და სიახლეების შემუშავებაში.

3.7 უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ვებგვერდის განახლების შესახებ

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უნივერსიტეტის მართვის ერთ-ერთი ძირითადი ორგანოა. მისი მიზანია ხარისხის კულტურის დამკვიდრება საუნივერსიტეტო სივრცეში. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური საუნივერსიტეტეტო და საფაკულტეტო დონეზე ახორციელებს სწავლა-სწავლების, კვლევის, უნივერსიტეტის მესამე მისიის (საზოგადოების განვითარებაში წვლილის შეტანა) და ინსტიტუციური ეფექტიანობის ხარისხის უზრუნველყოფას. მისი საქმიანობის ეს მიმართულებები სრულად არის ასახული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალ ინტერნეტგვერდზე, სახელდობრ სამსახურის შესაბამის ვებგვერდებზე[18].

სამსახურის მანდატის ფარგლებში მიმდინარე სიახლეები და აქტივობები არ გულისხმობს მხოლოდ სამსახურის მიერ ჩატარებული სამუშაოების სტატისტიკის წარმოდგენასა და ასახვას. წინამდებარე ვებგვერდის ფუნქციურ დატვირთულობაში შედის უწინარეს ყოვლისა კონტაქტი და კომუნიკაცია საუნივერსიტეტო საზოგადოებასთან, მათი მხარდაჭერა არამხოლოდ აკადემიური და ადმინისტრაციული პროცესების გამართულ მსვლელობაში, არამედ სრულიად საუნივერსიტეტო საზოგადოების ინფორმირება თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცეში მიმდინარე სიახლეების შესახებ, კონტაქტი განათლების სფეროს საერთაშორისო და ადგილობრივ ექსპერტებთან და აკადემიური პერსონალის პროფესიული მხარდაჭერა; საუნივერსიტეტო კვლევების განხორციელება, კვლევის შედეგების შესწავლა, ანალიზი, გაზიარება სამიზნე ჯგუფებთან; საერთაშორისო და ადგილობრივი სემინარების, ვებინარებისა და სამუშაო შეხვედრების, ფორუმების ორგანიზება; სამსახურის ფრგლებში შემუშავებული

[18] უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის ვებმისამართი·ხელმისაწვდომია: https://tsu.ge/ka/quality-assurance;

სახელმძღვანელოების, სარეკომედაციო დოკუმენტების ფართო საზოგადოებისათვის მიწოდება შესაბამისი განმარტებებით.

2020 წელს ფაქტობრივად დასრულდა ვებგვერდის ქართული და ინგლისური ვერსიების შევსება.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობის ამსახველი ინფორმაცია გაყოფილია 10 ძირითად ნაწილად და ვებგვერდზე განთავსებულია მენიუს შესაბამის რუბრიკებში[19]:

- ✓ **ჩვენ შესახებ[20]**:
  - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება
  - სტრუქტურა და პერსონალი
  - სამსახურის სამოქმედო გეგმა და ანგარიშები
  - სტაჟირება, დასაქმება, ვაკანსიები
  - არქივი
- ✓ **ხარისხის შიდა უზრუნველყოფა[21]**:
  - საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება
  - საგანმანათლებლო პროგრამების კოლეგიალური შეფასებები
  - რანჟირებები და რეიტინგები
    - რანჟირების სისტემების მეთოდოლოგია
    - რანჟირების ყოველწლიური ანგარიშები
  - კვლევები და გამოკითხვები
    - კითხვარები
    - ანალიზი
  - ელექტრონული სწავლება
    - მასალები და გზამკვლევები
- ✓ **ხარისხის გარე უზრუნველყოფა[22]**:
  - ავტორიზაცია
  - აკრედიტაცია
- ✓ **პროფესიული განვითარება[23]**:
  - გზამკვლევები და სახელმძღვანელოები
  - ტრენინგების კალენდარი
- ✓ **მიმდინარე და დასრულებული პროექტები[24]**:
  - მიმდინარე პროექტები
    - ინსტიტუციური ეფექტიანობის შეფასება
    - თანამშრომლობა Times Higher Education (THE)-სთან
    - საერთაშორისო საგრანტო კონკურსებში უნივერსიტეტის მონაწილეობის მხარდაჭერა
    - Sparqs: სტუდენტების ჩართულობა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებში

---

[19] საიტის რუკა·ხელმისაწვდომია: https://www.tsu.ge/ka/quality-assurance/page/საიტის-რუკა;

[20] ჩვენს შესახებ·ხელმისაწვდომია: https://tsu.ge/ka/quality-assurance/page/ჩვენს-შესახებ-ხარისხი;

[21] ხარისხის შიდა უზრუნველყოფა·ხელმისაწვდომია: https://tsu.ge/ka/quality-assurance/page/ხარისხის-შიდა-უზრუნველყოფა;

[22] ხარისხისგარეუზრუნველყოფა·ხელმისაწვდომია: https://tsu.ge/ka/quality-assurance/page/ხარისხის-გარე-უზრუნველყოფა

[23] პროფესიულიგანვითარება·ხელმისაწვდომია: https://tsu.ge/ka/quality-assurance/page/პროფესიული-განვითარება

[24] მიმდინარედადასრულებულიპროექტები·ხელმისაწვდომია: https://tsu.ge/ka/quality-assurance/page/მიმდინარე-და-დასრულებული-პროექტები

        - ხარისხის კულტურის გაძლიერება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (AUF-ის დაფინანსებით)
        - ევროპული უნივერსიტეტების ასოციაციის (EUA) თემატური ჯგუფი "Meeting the Skills and Employability Demands"
    - დასრულებული პროექტები
        - აკადემიური კეთილსინდისიერება საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ხარისხიანი სწავლებისა და სწავლისთვის (INTEGRITY)
            - ტრენინგები და შეხვედრები
            - ცნობიერების ამაღლება
            - რესურსები
            - მარეგულირებელი დოკუმენტები
            - ტრენინგების კალენდარი სტუდენტებისთვის
    - დარგობრივი პროექტები

✓ **მესამე მისიის ხარისხის და შესაბამისობის გაძლიერება საქართველოს უნივერსიტეტებში (SQUARE)**[25]:
- პროექტის შეხვედრები
- ტრენინგები SQUARE
- რესურსები

✓ **ხარისხის უზრუნველყოფის თემატური ჯგუფი**[26]:
- თემატური ჯგუფის სტრუქტურა
- თემატური ჯგუფის შეხვედრები
- თემატური ჯგუფის მასალები

✓ **საერთაშორისოთანამშრომლობა**[27]:
- მიმდინარე ღონისძიებები
- დასრულებული ღონისძიებები

✓ **რაოდენობრივიმაჩვენებლები**[28]:
- საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი
- სტატისტიკური მონაცემები

პროფესიული განათლების ცენტრი[29]**:** მენიუს ამ რუბრიკას გადავყავართ უნივერსიტეტის პროფესიული განვითარების ცენტრის ვებგვერდზე.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ვებგვერდი მუდმივად განახლებადია, რომლის რედაქტირება და მართვა ხორციელდება სამსახურის ინსტიტუციური განვითარებისა და ავტორიზაციის განყოფილების მიერ აკრედიტაციის შეფასებისა და ანალიზის განყოფილებასა და საფაკულტეტო ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებთან თანამშრომლობით. ვებგვერდის საინფორმაციო ნაწილის მუდმივი განახლებით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ხელს

[25] იფორმაცია პროექტის შესახებ·ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://tsu.ge/ka/quality-assurance/page/მესამე-მისიის-ხარისხის-და-შესაბამისობის-გაძლიერება-საქართველოს-უნივერსიტეტებში--SQUARE-

[26] ხარისხის უზრუნველყოფის თემატური ჯგუფი·ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://tsu.ge/ka/quality-assurance/page/ხარისხის-უზრუნველყოფის-თემატური-ჯგუფი

[27] საერთაშორისო თანამშრომლობა·ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://tsu.ge/ka/quality-assurance/page/საერთაშორისო-თანამშრომლობა

[28] რაოდენობრივი მაჩვენებლები·ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://tsu.ge/ka/quality-assurance/page/რაოდენობრივი-მაჩვენებლები

[29] პროფესიული განათლების ცენტრი·ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://tsu.ge/ka/quality-assurance/page/პროფესიული-განათლების-ცენტრი

უწყობს უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესების გამჭვირვალობას. მასზედ განთავსებული ინფორმაცია ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის.

4. კომუნიკაცია ხარისხის უზრუნველყოფის გარე აქტორებთან და ინსტიტუციებთან

ხარისხის უზრუნველყოფა უმაღლეს სასწავლებელში, შესაბამისად, მისი წარმატებული მართვა, უშუალოდ დაკავშირებულია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების თითოეულ წევრთან და, ბუნებრივია, საფაკულტეტო ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებთან. რაც შეეხება ხარისხის უზრუნველყოფის გარე აქტორებს, ამ სეგმენტში შესაძლებელია განხილულ იქნას როგორც გარე შემფასებლები, ისე განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი. ხარისხის სამსახური საკუთარი მანდატის ფარგლებში კომუნიკაციაშია როგორც შიდა, ისე გარე აქტორებთან. ის ერთგვარად მედიატორის ფუნქციას ასრულებს აქტორთა შორის. გარე აქტორებში ასევე იგულისხმება, ფართო გაგებით, საერთაშორისო ინსტიტუციებიც.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი უკანასკნელ პერიოდში მნიშვნელოვანი აქტორის როლშია ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, ინსტიტუციებთან, უწყებებთან, როგორც ცალკეულ ინიცირებათა ავტორი.

2020 წლის საანგარიშო პერიოდში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კომუნიკაცია შედგა სამსახურის გარე აქტორებთან:

- ✓ სამუშაო შეხვედრები ხარისხის თემატური ჯგუფის ფარგლებში;
- ✓ კომუნიკაცია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან და სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან;
- ✓ კომუნიკაცია ევროპის უნივერსიტეტების ასოციაციასთან (EUA).

4.1 სამუშაო შეხვედრები ხარისხის თემატური ჯგუფის ფარგლებში

2019 წელს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყფოფის სამსახურის ინიციატივით რექტორთა საბჭოს ეგიდით შექმნილი ხარისხის თემატურმა ჯგუფმა გლობალური პანდემიის ფარგლებშიც არ შეწყვიტა თავისი აქტიური საქმიანობა. 2020 წელს ელექტრონულ პლატფორმაზე რეგულარულად ინიშნებოდა თემატური ჯგუფის სამუშაო შეხვედრები, ვინაიდან გლობალური პანდემიის მიერ წარმოქმნილმა გამოწვევებმა წარმოშვა საჭიროება არაერთი გამოწვევის წინაშე მდგარ საგანმანათლებლო სისტემას სწრაფად და მოქნილად მიეღო სასიცოცხლოდ აუცილებელი გადაწყვეტილებები.

ხარისხის უზრუნველყოფის თემატური ჯგუფი დაფუძნდა 2019 წლის 6 დეკემბერს, რექტორთა მუდმივმოქმედი კონფერენციის მეორე სხდომაზე. ხარისხის უზრუნველყოფის თემატურ ჯგუფს ყავს 85 წევრი 44 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან. ხარისხის უზრუნველყოფის თემატური ჯგუფი არის ხარისხის უზრუნველყოფის თემების განსახილველი პლატფორმა და აღრმავებს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის თანამშრომლობას; ასევე აღნიშნული ჯგუფი თანამშრომლობს გარე დაინტერესებულ მხარეებთან ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე. დაფუძნებიდან მოკლე ვადაში ეტაპობრივად საანგარიშო პერიოდში განისაზღვრა წინამდებარე ორგანოს სამოქმედო ფუნქციები, მიზნები და თემები. კერძოდ,

- **თემატური ჯგუფის მისია**

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხარისხის უზრუნველყოფის თემატური ჯგუფის მისიაა ხელი შეუწყოს უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში ხარისხის კულტურის განვითარებას დაგროვილი გამოცდილებისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების, გამოწვევების განხილვისა და პროფესიული განვითარების შესაძლებლობების შექმნის გზით.

- **თემატური ჯგუფის მიზნები**

- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებს შორის თანამშრომლობის გაღრმავება;
- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების შესაძლებლობების განვითარება ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით;
- პლატფორმის შექმნა ხარისხის უზრუნველყოფის თემების განსახილველად;
- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებში უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებისა და სახელმძღვანელო პრინციპების (ESG 2015) პირველი ნაწილის - სტანდარტების და სახელმძღვანელო პრინციპები ხარისხში და უზრუნველყოფისთვის დანერგვის ხელშეწყობა;
- უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში მიმდინარე სიახლეების განხილვა და გამოცდილებისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება;
- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან თანამშრომლობა;
- უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპულ ასოციაციასთან (ENQA), უმაღლესი განათლების ევროპულ რეესტრთან (EQAR), ევროპის უნივერსიტეტთა ასოციასთან (EUA) და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებსა და უნივერსიტეტებთან თანამშრომლობა;
- საგანმანათლებლო პროგრამების კოლეგიალური შეფასება;
- საერთაშორისო ექსპერტებთან თანამშრომლობა საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებისა და პროფესიული განვითარების ღონისძიებების დაგეგმვის მიზნით;
- ერთობლივი კვლევების დაგეგმვა და განხორციელება;
- კვარტალური ანგარიშის მომზადება რექტორთა საბჭოზე წარსადგენად;
- კვარტალური ჟურნალის გამოშვება;
- ყოველწლიური კონფერენციის ჩატარება ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებთან დაკავშირებით.

- **თემატური ჯგუფის სტრუქტურა**

ხარისხის უზრუნველყოფის თემატური ჯგუფის წევრ(ებ)ი შეიძლება იყოს როგორც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელ(ებ)ი, ასევე ნებისმიერი სხვა პირ(ებ)ი, რომელიც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მუშაობს და დაინტერესებულია ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებით, და სტუდენტები.

რექტორთა მუდმივმოქმედი კონფერენციის მიერ დაარსებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხარისხის უზრუნველყოფის თემატური ჯგუფის შექმნიდან დღემდე 8 სამუშაო შეხვედრა გაიმართა[30]. მათ შორის:

- 2019 წლის 19 დეკემბერი - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების თემატური ჯგუფის **პირველი სამუშაო შეხვედრა (თსუ);**
  თემა: *ჯგუფის მუშაობის ფორმატის, პრინციპებისა და განსახილველი საკითხების შესახებ*;
- 2020 წლის 7 თებერვალი - უმაღლესი საგანმანათლებლო და წესებულებების თემატური ჯგუფის **მეორე სამუშაო შეხვედრა (სეუ);**
  თემა: სადოქტორო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფა საქართველოში; საკითხები ავტორიზაციის თვითშეფასების ანგარიშის დანართის, საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების თვითშეფასების ანგარიშებისა და სტუდენტთა კმაყოფილების კითხვარების შესახებ;
  შედეგი: შემუშავდა რეკომენდაციების პაკეტი და მიეწოდა ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს. რეკომენდაციების დიდი წილი გათვალისწინებულია ავტორიზაციის თვითშეფასების ანგარიშის დანართების წარდგენის პროცესში.
- 2020 წლის მარტი - ხარისხის უზრუნველყოფის თემატური ჯგუფის **მესამე სამუშაო შეხვედრა** დაიგეგმა ვანო სარაჯიშვილის თბილისის სახლმწიფო კონსერვატორიაში, გლობალური პანდემიით გამოწვეული ვითარებიდან გამომდინარე შეხვედრა გადაიდო. შეხვედრა ჩანაცვლდა ელექტრონული მიმოწერის ფარგლებში გამართული **კონსულტაციების** მეშვეობით.
  თემა: ონლაინ სწავლების საჭიროებები, სირთულეები და გადაჭრის შესაძლო გზები; საკანონმდებლო ცვლილებების საჭიროების შესახებ სწავლების პროცესის დისტანციურად წარმართვისას;
  შედეგი: შემუშავებული რეკომენდაციების პაკეტი მიეწოდა ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს.
- 2020 წლის 15 აპრილ - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხარისხის უზრუნველყოფის თემატური ჯგუფის **მესამე სამუშაო შეხვედრა** (ელექრონული პორტალი ZOOM-ის მეშვეობით). შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო 40 სახელმწიფო და კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა.
  თემა: ელექტრონული სწავლების გამოწვევებისა და პერსპექტივების შესახებ გამოცდილების გაზიარება და სირთულეების გადაჭრის ერთობლივი გზების განიხილვა. ცალკეული დარგების გარშემო უფრო მცირერიცხოვანი ჯგუფების ჩამოყალიბება (მედიცინა) თემის სიღრმისეულად განხილვის მიზნით; შეფასების სისტემის და მისი შესაბამისი მარეგულირებელი დოკუმენტების მოდიფიცირების აუცილებლობის შესახებ; პრაქტიკისა დაკ ვლევის განხორციელების სირთულეები, მედიცინის, სახელოვნებო და საზღვაოსნო მიმართულებების პროგრამების ელექტრონულ რეჟიმში

[30] თემატური ჯგუფის შეხვედრები·ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://www.tsu.ge/ka/quality-assurance/page/თემატური-ჯგუფის-შეხვედრები ;
თემატურიჯგუფისმასალები·ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://www.tsu.ge/ka/quality-assurance/page/თემატური-ჯგუფის-მასალები

განხორციელების სპეციფიური სირთულეების შესახებ; ელექტრონული სწავლებისას პერსონალურ მონაცემთა დაცვის თემების განხილვა; საერთაშორისო ექსპერტებთან თანამშრომლობის შესაძლებლობის შესახებ აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით და ელექტრონული სწავლების ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმის შექმნა; კითხვარი ელექტრონული სწავლების შესახებ, რაც შექმნიდა უნივერსიტეტებში ელექტრონული სწავლების შესახებ კონკრეტულ სურათს;

შედეგი: გაზიარებულ იქნა სხვადასხვა უნივერსიტეტში ელექტრონული სწავლების შესახებ შექმნილი დოკუმენტაცია მონაწილეთა შორის; დაიგეგმა სამომავლო კვლევები.

- 2020 წლის 19 მაისი - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხარისხის უზრუნველყოფის თემატური ჯგუფის **მეოთხე სამუშაო შეხვედრა** (ელექრონული პორტალი ZOOM-ით). შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო თემატური ჯგუფის 65 წევრმა როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა ლაშა მარგიშვილმა, ესტონეთის პროფესიული და უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოს წარმომადგენელმა მალია ლაურიმ და უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ბაბეშ-ბოიოის უნივერსიტეტის პროფესორმა ანკა გრისმა.

  თემა: კლასტერული აკრედიტაცია;

  შედეგი: კლასტერული აკრედიტაციის პროცესის შეფასება თემატური ჯგუფის მიერ; კლასტერული აკრედიტაციის საერთაშორისო გამოცდილების გაცნობა და მიღებული შედეგების საფუძველზე, ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისთვის კლასტერული აკრედიტაციის შემუშავებისა და დანერგვის შესახებ რეკომენდაციების მომზადება.
- 2020 წლის 22 სექტემბერი - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხარისხის უზრუნველყოფის თემატური ჯგუფის **მეხუთე სამუშაო შეხვედრა** (ელექრონული პორტალით ZOOM). შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო თემატური ჯგუფის 50 წევრმა როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან.

  თემა: განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ მოწოდებული აკრედიტაციის პირობების შემოწმების მიზნით წარსადგენი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის სამუშაო ვერსიის განხილვა.

  შედეგი: განხილულ ანგარიშთან მიმართებით ფორმულირებული ძირითადი შეკითხვებისა და შენიშვნების წარდგენა განათლები სხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წინაშე.
- 2020 წლის 16 ოქტომბერი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხარისხის უზრუნველყოფის თემატური ჯგუფის **მეექვსე სამუშაო შეხვედრა** (ელექრონული პორტალით ZOOM). შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო თემატური ჯგუფის 34 წევრმა როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან. შეხვედრაში ასევე მონაწილეობდა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე, ბატონი ლაშა მარგიშვილი, უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, ბაბეშ-ბოიოის უნივერსიტეტის პროფესორი, ანკა გრისი და დამოუკიდებელი კონსულტანტი ფიონა ქროზიერი (საერთაშორისო განყოფილების ყოფილი ხელმძღვანელი, გაერთიანებული სამეფოს ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტო).

თემა: შეხვედრის პანდემიით გამოწვეული ვითარებიდან გამომდინარე უნივერსიტეტების მიერ ონლაინ სწავლების განხორციელების სირთულეები, აკრედიტაციის ვადებისა და განათლების მინისტრის მესამე ბრძანებაში საჭირო ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებული საკითხები.
შედეგი: განხილულ ანგარიშთან მიმართებით ფორმულირებული ძირითადი შეკითხვებისა და შენიშვნების წარდგენა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისადმი.

- 2020 წლის 16 დეკემბერი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხარისხის უზრუნველყოფის თემატური ჯგუფის **მეშვიდე სამუშაო შეხვედრა** (ელექრონული პორტალით ZOOM). შეხვედრაში მონაწილეობდა თემატური ჯგუფის 46 წევრი როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან.
  თემა: განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ უნივერსიტეტებისთვის განსახილველად გადმოგზავნილი აკრედიტაციის დებულებაში შესატანი ცვლილებების განხილვა.
  შედეგი: შეხვედრაზე განხილვის შემდგომ მომზადებული რეკომენდაციები წარდგენილ იქნა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

4.2 კომუნიკაცია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან და სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან

2020 წელს კიდევ უფრო მჭიდრო შეიქმნა თანამშრომლობა პირველ რიგში სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან, ამასთან საკანონმდებლო სიახლეების მომრავლების შემდგომ საკუთრივ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. კომუნიკაციის გაფართოება გამოიწვია ზემოხსენებულ უწყებებში მიმდინარე პროცესების საჯაროობამ და გამჭვირვალობამ. აღმასრულებელი უწყებები უკანასკნელ ხანებში მუშაობენ ღია კარის პრინციპით, რაც საფუძველი ხდება ყოველგვარი პრობლემების დროული და სრულყოფილი გადაჭრის.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მედიაციით 2020 წლის საანაგარიშო პერიოდში დაიგეგმა და განხორციელდა:

- პროექტი ბრიტანეთის საბჭოს მხარდაჭერით ***უმაღლესი განათლება დასაქმებისთვის***, რომლის ახალი ფაზა იგეგმება 2021 წლისათვის;
- პროგრამული დაფინანსების ახალი მოდელის შემუშავება;
- ინფორმაციის მიწოდება ახალი გაცვლითი პროგრამების შესახებ (ჩეხეთის რესპუბლიკის სტიპენდიები);
- ნებართვის გაცემა საგანმანათლებლო პროგრამების უცხოურ ენაზე (ინგლისური) განხორციელების შესახებ (2 ეთსაფეხურიანი ინტეგრირებული საგანმანათლებლო პროგრამა: ***მედიცინა, სტომატოლოგია***);
- სასწავლო პროცესის ელექტრონული ტექნოლოგიის მეშვეობით დისტაციურად ჩატარების შესახებ ანალიზი;
- საკანონმდებლო ცვლილებები, რომლის გაზიარება თემატურად ხდება უმაღლეს საგანმანათლებლო დეწესებულებებისათვის:

- „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე (6284-IIს);
- „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე (6287-IIს);
- საკანონმდებლო ცვლილებები დისტანციური სწავლების შესახებ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში, პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში;
- „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონში;

– სახალხო დამცველის აპარატთან ერთად კვლევები საზოგადოებრივად მნიშვნელოვან სოციალურ თემებზე (მაგ.,ეროვნული ანგარიში ევროპის საბჭოს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებზე), რომელშიც ასევე ჩართული იყო უნივერსიტეტი. ანალზის შედეგები გაზიარებულ იქნა უნივერსიტეტისთვის.

რაც შეეხება თანამშრომლობას სსიპ-განათლების ხარისხის განვითარებს ეროვნულ ცენტრთან, ის კიდევ უფრო მჭიდრო და ინტენსიურია, გამომდინარე სამსახურებრივი დაქვემდებარებიდან და თემების მრავალფეროვნებიდან. 2020 წელს, სამსახურის მანდატის ფარგლებში, ცენტრთან მიმართებაში შემუშავდა არაერთი ანალიზური სამსახურებრივი კორესპონდენცია, განხორციელდა სხვადასხვა ტიპის დოკუმენტაციის ანალიზი და 50-მდე საგანმანათლებლო პროგრამის სხვადასხვა რეჟიმში ცენტრის შესაბამის სამსახურებში წარდგენა, მათ შორის:

- საგანმანათლებლო პროგრამების (რე)აკრედიტაციის პროცესისათვის მომზადება;
- ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტი;
- აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით ანგარიშის წარდგენა;
- მონიტორინგის ფარგლებში საგანმანათლებლო პროგრამების წარდგენა;
- აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნაზე არგუმენტაციული პასუხის მომზადება;
- განახლებული დოკუმენტების (მაგ., უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საავტორიზაციო პროცესში წარმოსადგენი დოკუმენტაციის რაოდენობის შემცირება; თვითშეფასების განახლებული და სამწლიანი შულედური შეფასების დოკუმენტები;) განხილვა და უკუგების წარდგენა ხარისხის უზრუნველყოფის განვითარების ცენტრში;
- სამუშაო შეხვედრების, სემინარებისა და ტრეინინგების მოწყობა და აქტუალური საკითხების განხილვა (27.02.2020 სამუშაო შეხვედრა თვითშეფასების განახლებულ ფორმებთან დაკავშირებით უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შემუშავებული უკუკავშირის განხილვა);
- საკრედიტაციო ვადების კორექცია (ჰუმანიტარულ, ზუსტი და საბუნებისმეტყველო მცენრიებათა ფაკულტეტებზე მოქმედ საგანმანათლებლო პროგრამებისთვის);
- დარგობრივ მახასიათებელთა შემმუშავებელი საბჭოს შემადგენლობაში უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის წარდგენის შესახებ (მედიცინა, სოციალური მუშაობა, განათლების მეცნიერებები, ფილოლოგია, არქეოლოგია, ისტორია, ენების შესწავლა, ფილოსოფია - 35 ექსპერტი);
- უამაღლეს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის, ავტორიზაციის, სააპელაციო საბჭოების და მედიცინის ექსპერტთა ჯგუფის კანდიდატების რეკომენდება და წარდგენა;

- კლასტერული აკრედიტაციის მზადების პროცესში შემუშავებული დოკუმენტების ანალიზი, რეკომენდაციებისა და მოსაზრებების გაცვლა;
- უცხოური სააკრედიტაციო სააგენტოების მიერ აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამების წარდგენა აღიარების მიზნით;
- აკრედიტაციის დარგობრივ და სტუდენტ ექსპერტთა წარდგენის შესახებ;
- სააკრედიტაციო პროცესისა და წინამდებარე პროცესებში განათლების ხარისხის განვთარების ეროვნული ცენტრის ჩართულობის ხარისხის შეფასების შესახებ.

ზემოხსენებული პროცესები და აქტივობები აქტორებს შორის მიმდინარეობს გეგმის მიხედვით, თანმიმდევრულად, შედეგზე ორიენტირებულად და შეუფერხებლივ, აქტორთა მაღალი პასუხიმგებლობისა და პროფესიონალიზმის საფუძველზე.

4.3 კომუნიკაცია ევროპის უნივერსიტეტების ასოციაციასთან (EUA)

იმ ამოცანებიდან გამომდინარე, რაც ქართული საგანმანათლებლო სივრცის წინაშე დგას, ქართული საუნივერსიტეტო განათლებისათვის და, მით უფრო განათლების ხარისხის განვითარების ცენტრისათვის, ყველაზე დიდი ევროპული საგანმანათლებლო პოლიტიკის შემქმნელი ორგანოა ევროპის უნივერსიტეტების ასოციაცია (EUA). წინამდებარე ინსტიტუტუცია აქტიური მონაწილეა ბოლონიის პროცესისა და ქმნის წამყვან რეკომენდაციებს ევროპის საუნივერსიტეტო ქსელისთვის. შესაბამისად, ის არის ყველაზე დიდი ხარისხის გარე აქტორი ნებისმიერი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის.

2020 წლის 22 იანვარს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შედგა მრგვალი მაგიდა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ევროპის უნივერსიტეტების ასოციაციის (EUA) წარმომადგენლებმა და 20 ქართული უნივერსიტეტის რექტორებმა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელებმა. შეხვედრა ეძღვნებოდა ევროპულ უნივერსიტეტებში სადოქტორო განათლების კვლევების შედეგებსა და სამომავლო გეგმებს. ევროპის უნივერსიტეტების ასოციაციის მხრიდან დიალოგს უძღვებოდა ვიცე-პრეზიდენტი, ასოციაციის სადოქტორო სწავლების საბჭოს თავმჯდომარე მარტინ რაიე, რომელმაც დეტალურად გააცნო ქართული უნივერსიტეტების წარმომადგენლებს ევროპული უნივერსიტეტების პოლიტიკა სადოქტორო სწავლებასთან დაკავშირებით.

დამსწრე საზოგადოებას უნივერსიტეტის პოზიცია სადოქტორო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფასა და პერსპექტივებზე წარუდგინა უნივერსიტეტის ხარისხის უზუნრველყოფის სამსახურის უფროსმა, ასოცირებულმა პროფესორმა ირმა გრძელიძემ.

წინამდებარე შეხვედრა, რომელიც გაიმართა EUA-CDE-ს ეგიდით, დოქტორანტურის საფეხურზე სწავლების საკითებზე ჩატარებულ ყველაზე მასშტაბურ წლიურ შეხვედრად ჩაითვალა ევროპული მასშტაბით, სადაც გამოიკვეთა დოქტორანტურაში მიმდინარე ტენდენციები და მოსალოდნელ პროცესებთან დაკავშირებულ პრაქტიკული თანამშრომლობის პერსპექტივები.

შეხვედრის ოფიციალურ ნაწილის შემდგომ გაიმართა სადოქტორო სწავლების მნიშვნელოვან თემებთან დაკავშირებული სამუშაო შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობდა ევროპული უნივერსიტეტების 120-ზე მეტი წარომადგენელი. ევროპული უნივერსიტეტების ასოციაციის

(EUA) ისტორიაში პირველად ასოციაციის წარმომადგენლების შეხვედრა ევროკავშირის არაწევრ ქვეყანაში გაიმართა. სამუშაო პროცესი მიმდინარეობდა სამი დღის განმავლობაში[31].

5. სამსახურის სხვა საქმიანობა

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური თავის საქმიანობას წარმართავს ინსტიტუციური თანამშრომლობის საფუძველზე. მისი საქმიანობა სხვადასხვა მიმართულებით ფარავს სხვადასხვა საუნივერსიტეტო ადმინისტრაციული რგოლის მოქმედების არეალს, რომელიც ემყარება მკაცრად გაწერილ შიდასაუნივერსიტეტო პროცედურებს. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შიდააქტორებად ითვლება ნებისმიერი საუნივერსიტეტო ადმინისტრაციული ერთეული, რომელთანაც მჭრიდრო თანამშრომლობით 2020 წლის საანგარიშო პერიოდში მუშაობა წარიმართა შემდეგი მიმართულებით:

- გარე და შიდა კორესპონდენციის მიმოქცევის შესწავლა და მომზადება;
- სამსახურის დოკუმენტური მასალების არქივირება;
- აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოებისთვის დადგენილებების ინიცირება და მომზადება.

5.1 გარე და შიდა კორესპონდენციის მიმოქცევის შესწავლა და მომზადება

საანგარიშო პერიოდში უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში ოფიციალურად შემოვიდა 1054-მდე კორესპონდენცია და 1457 პასუხი დაუბრუნდა ადრესატს. კორესპონდენციათა ძირითად თემატიკას წარმოადგენდა:

- საგანმანათლებლო პროგრამების სააკრედიტაციო პროცესებთან დაკავშირებული თემები;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი თემები საფაკულტეტო და ცენტრალური ადმინისტრაციებიდან;
- სტუდენტთა მობილობა და კრედიტების აღიარება;
- უნივერსიტეტთაშორისი თანამშრომლობის ამსახველი თემები;
- საგრანტო და საპროექტო თემებთან დაკავშირებული საკითხები;
- კორესპონდენცია უცხოელ კოლეგა-ექსპერტებთან და ინსტიტუციებთან.

საანგარიშო პერიოდში შემოსული და გასული კორესპონდენციის (როგორც შიდა, ისე გარე მიმოქცევის) დიდი წილი მოდიოდა საგანმანათლებლო პროგრამების სააკრედიტაციო პროცესებთან დაკავშრებულ თემებზე - დაახლოებით 853 ერთეული, სააკრედიტაციო პროცესების შეფასების კითხვარი - 17 ერთეული. მნიშვნელოვნად შემცირდა კრედიტების აღიარებასთან დაკავშირებული მიმოწერის რაოდენობა, რაც განპირობებული იყო გლობალურ პანდემიასთან დაკავშირებული გარემობილობის პროცესის შეზღუდვით. თუმცა ამ მიმართულებით სამსახურმა მოამზადა 140-მდე კრედიტების აღიარების დოკუმენტი.

[31] შეხვედრის სრული ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://tsu.ge/ka/quality-assurance/page/Completed-Events?fbclid=IwAR0jr1wN2KfP7LwdIALie4wV7GzL41g3btf-kAPWB_o0xgt3rKXgFa2RwUs

ქვეყანაში არსებული ვითარებიდან გამომდინარე საგრძნობლად გაიზარდა სასწავლო პროცესის მარეგულირებელ თემებთან დაავშირებული მიმოწერის რიცხოვნობა როგორც ცენტრალურ, ისე საფაკულტეტო ადმინისტრაციასთან, რაც გამოისახება ციფრით - 4337.

გამომდინარე იქიდან, რომ გასულ საანგარიშო პერიოდში სამსახურის ფარგლებში არაერთი პროექტი იყო როგორც საწყის, ისე მიმდინარე და დასრულების ფაზაში, ასევე მაღალი იყო გასული და შემოსული კორესპონდენციის რაოდენობა. გასულ კორესპონდენციათა რაოდენობა ჯამურად ითვლიდა დაახლოებით 1772, ხოლო შემოსული დაახლოებით - 3563 ერთეულს.

გასულ საანაგრიშო პერიოდში აპოსტილის მიღების მიზნით მომზადდა 18 დოკუმენტი.

როგორც ჩამოთვლილმა მონაცემებმა აჩვენა საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა წერილობითი კომუნიკაციის მაღალი რიცხოვნობა, რაც გამოწვეული იყო ძირითადად გლობალური პანდემიით მსოფლიოში.

5.2 სამსახურებრივი დოკუმენტური მასალების არქივირების პროცესი

სამსახურის მანდატის ფარგლებში არქივისათვის მომზადდა 2018 წლის საავტორიზაციო დოკუმენტაცია როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული სახით, თუმცა საგანგებო ვითარებიდან გამომდინარე, მასალების გადაცემა უნივერსიტეტის არქივისათვის დაიგეგმა 2021 წლისთვის, მას შემდეგ, რაც ქვეყანაში გაუმჯობესდება ეპიდემიოლოგიური ვითარება.

5.3 საუნივერსიტეტო მარეგულირებელი დოკუმენტების ინიცირება და მომზადება

ხარისხის სამსახურის მანდატის ფარგლებში საანგარიშო პერიოდში ინიცირებული კონკრეტული საკითხების საფუძველზე გამოცემულია:

- რექტორის 3 ბრძანება (მათ შორის: რეფორმამდელი საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ხანგრძლივობის განსაზღვრის შესახებ; საუნივერსიტეტო სივრცეში ელექტრონული სწავლების პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ; უნივერსიტეტში აკადემიური კეთილსინდისიერების კულტურის ამაღლებასთან დაკავშირებული მარეგულირებელი დოკუმენტების მოდიფიცირების მიზნით სამუშაო ჯგუფის დამტკიცების შესახებ);
- ადმინისტრაციის უფროსის 1 ბრძანება (უნივერსიტეტის ადმინისტრაციული სტრუქტურული ერთეულების სამოქმედო გეგმის ფორმისა და მათი ანგარიშის ფორმის დამტკიცებისა და შედგენის წესის დამტკიცების შესახებ);
- აკადემიური საბჭოს 20 დადგენილება (თემები: სააკრედიტაციოდ შემუშავებული პროგ-რამების წარდგენა, საუნივერსიტეტო მარეგულირებელი წესების, ცალკეული დოკუმენტების შემუშავება, მათში ცვლილებების შეტანა. ცვლილებები აკადემიურ პროგრამებში და სხვ.)

წინამდებარე საკითხები შემუშავებულია როგორც საკუთრივ სამსახურის მიერ და მისივე ინიციატივით, ასევე სხვა საუნივერსიტეტო სტრუქტურულ ერთეულებთან თანამშრომლობითა და მათ მხარდასაჭერად (სულ: 24 ერთეული) (იხ. *ცხრილი 12*).

6. სამსახურის თვითშეფასება და შემდგომი განვითარების პერსპექტივები

საუნივერსიტეტო სივრცეში შედეგზე ორიენტირებული ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის დამკვიდრებამ ხელი შეუწყო უმაღლესი სასწავლებლის განვითარების გეგმაში განსაზღვრული მიზნებისა და ხარისხის უზრუნველყოფის მიზნების თანაკვეთასა და მათი განხორციელების პროცესში უპირობო მხარდაჭერას. მნიშვნელოვანი როლი ენიჭება წინამდებარე პროცესებში სამი ყველაზე მნიშვნელოვანი დონის რეგულირების პრინციპს:

1. საზოგადოებრივი დონე (თუ როგორ წარმოჩნდება შედეგები სოციუმის წინაშე, როგორ გავლენას ახდენს მასზე და რამდენად მისაღებია მისთვის);
2. ინსტიტუციური დონე (ერთიანი მიზნების, მათი თანაკვეთისა და ურთიერთმიმართების ზოგადი პრინციპების ჩამოყალიბება და კომუნიკაცია ინსტიტუციის ფარგლებში);
3. სამსახურის დონე (კომუნიკაცია თანამშრომლებთა შორის და აქტივობათა შეჯერება მათი კომპეტენციის ფარგლებში);

სამსახურის მანდატის ფარგლებში სამუშაო პროცესს მუდმივად თან სდევს გარკვეული ეტაპების დასრულების შემდგომ თვითშეფასების ფაზა, ვინაიდან სამსახური პასუხისმგებლობას იღებს, ერთი მხრივ, ინსტიტუციაში მიმდინარე პროცესების ხარისხზე, ხოლო მეორე მხრივ მის გაზიარებასა და შედეგების წარდგენაზე ინსტიტუციის ფარგლებს მიღმა. შესაბამისად, შეფასების არეალი ფარავს შემდეგ ძირითად სფეროებს, როგორიცაა *კომპეტენციები და კვალიფიკაცია, სამსახურის განვითარება და მისი ქმედების არეალში შესრულებული სამუშაო.* თვითშეფასების პროცესი ეყრდნობა თავის მხრივ:

- ქმედების არეალის გაცნობიერებასა და მის სისტემურ ანალიზს;
- საჭიროებაზე დაფუძნებულ და მიმდინარე ქმედებათა შედეგების ანალიზს;
- შედეგებზე ორინეტირებული ახალი სამოქმედო არეალის დაგეგმვის პროცესს;
- სამოქმედო მიმართულებების ძლიერი და სუსტი მხარეების განსაზღვრას;
- გეგმით დასახული აქტივობების მუდმივ გადამოწმებას, რისკების გათვლას, შედეგების ანალიზს;
- შედეგებში დაფიქსირებული ხარვეზების ანალიზსა და საუკეთესო პრაქტიკების გაზიარებას;
- სამსახურის მიზნების განხორციელებაში მონაწილე პირთა ჩართულობის ხარისხისა და ეფექტიანობის ანალიზს, მხარდაჭერასა და წახალისებას.

თვითშეფასების შედეგად მიღებული საბოლოო შედეგების ანალიზის საფუძველზე განისაზღვრება სამსახურის სამოქმედო მიზნებისა და ახალი ამოცანების დაგეგმვის ეტაპი.

6.1 უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნვლყოფის სამსახურის თვითშეფასება

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობის დაგეგმა უშუალოდ შედეგია ყოველწლიური საქმიანობის შეფასების, რომელიც თავის მხრივ უშუალო მდგენელია უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმის. სამოქმედო გეგმის შემუშავება და ყოველწლიური ანგარიშის წარდგენა სამსახურის მხრივ, ისევე როგორც უნივერსიტეტის სხვა სტრუქტურული ერთეულების ანგარიშგება, საუკეთესო პრაქტიკაა ახალი სამოქმედო გეგმის ჩამოყალიბებისათვის და ერთიანობაში საფუძველია მიზანმიმართული ინსტიტუციური

განვითარებისთვის. აღნიშნული პროცესი უკანასკნელი წელია აქტიურად მიმდინარეობს საუნივერსიტეტო სივრცეში, სამსახურის მიერ ანალიზდება სისტემატიურად წარდგენილი ანგარიშები შესრულებული ადმინისტრაციულ ერთეულებში, შედეგები გაზიარებულია და შესაბამისად იგეგმება შედეგებზე დაფუძნებული და პერსპექტივაზე გათვლილი ახალი სამოქმედო გეგმა. სამსახურის ამოცანების სამიზნე თემების ჩამოყალიბება ხდება ჰოლისტურ მიდგომაზე დაყრდნობით, ხოლო ის ხორციელდება სირთულეთა იერარქიის გათვალისწინებით, პერსონალის კომპეტენციის ფარგლებში.

2020 წლის საანგარიშო პერიოდში შესრულებული სამუშაოების შედეგების ანალიზის საფუძველზე ცხადად წარმოჩნდა:

- პანდემიის პირობებში კრიზისის მართვის, სწრაფად ცვალებად გარემოსთან ადაპტაციაში ინსტიტუციის მხარდაჭერის შესაძლებლობა;
- საუნივერსიტეტო აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის კომპეტენციის ამაღლება სამსახურის მხრიდან უწინარესად მათი კომპეტენციებისა და პროფესიული განვითარების მუდმივი მხარდაჭერით;
- სამსახურის გამოცდილების გაფართოება კრიზისის მართვის პროცესში, რაც ასევე აღინიშნა როგორც საუკეთესო პრაქტიკა გარე შეფასების პროცესებში;
- მუდმივად მზარდი მოთხოვნა და მზაობა როგორც სამსახურის პერსონალის, ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების, ისე ზოგადად საუნივერსიტეტო ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის მხრიდან უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის საუკეთესო გამოცდილების გასაზიარებლად და გასათვალისწინებლად;
- სამსახურის საქმიანობაში სიახლეებისა და თანამედროვე გამოწვევების მნიშვნლოვანი თემებისა და აქტივობების დანერგვის მცდელობა;
- კონკრეტული საუნივერსიტეტო პრობლემატიკისადმი ერთიანი ჰოლისტური მიდგომის დანერგვის მცდელობა ინსტიტუციური თანამშრომლობის პერსპექტივით;
- ხარისხის კულტურის გაზრდის თვალსაზრისით ახალი მიდგომებისა და აქტუალური ამოცანების დანერგვის მცდელობა არამარტო ინსტიტუციური, არამედ გარე აქტორებს შორის თანამშრომლობის ფარგლებში;
- სწავლისა და სწავლების, კვლევების პროცესების მონაწილე აქტორთა დისკუსიის ფართო მხარდაჭერის დანერგვის მცდელობა;
- სწავლა-სწავლების, კვლევის და ადმინისტრირების პროცესების ინტერნაციონალიზაციის წახალისება და მხარდაჭერა;
- ხარისხის უზრუნველყოფის ინსტრუმენტების მაქსიმალური გამოყენება და მათი მისადაგება კრიზისის მართვის პროცესისადმი ხარისხის კულტურის ინსტიტუციურად გაღრმავების მიზნით.

შესაბამისად, 2020 წელს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მაქსიმალურად მოდიფიცირდა და შესრულდა სამსახურის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ძირითადი მიზნები და ამოცანები.

6.2 უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის განვითარების პერსპექტივები

2020 წელს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მანდატის ფარგლებში განხორციელებული ცალკეული აქტივობები, რომელიც განსაზღვრული იყო სამსახურის სამოქმედო გეგმით, გარკვეულწილად მოდიფიცირდა და ამასთან შეივსო სპეციფიკური აქტივობებით, რაც განპირობებული იყო პანდემიური კრიზისით გამოწვეული განსხვავებული პროცესების მართვის აუცილებლობით. სამსახურის მიერ უჩვეულო ფორმატში დაიგეგმა და ტრანსფორმირდა სამსახურის ძირითადი საქმიანობა, გადამზადდა საუნივერსიტეტო ადმინისტრაციული და აკადემიური, ისევე როგორც სამსახურის პერსონალი, შემუშავდა და მოდიფიცირდა როგორც ცალკეული ნორმატიული დოკუმენტაცია, ისე კონკრეტული რეგულაციები. ამრიგად, სამსახურს სამუშაო პროცესში ფეხდაფეხ უხდებოდა შემუშავებული ცვლილებების ინპლემენტაცია უკვე დაგეგმილ საქმიანობაში.

საანგარიშო პერიოდში კრიზისის მართვის პროცესში მნიშვნელოვანი ფუქნქცია შეიძინა ხარისხის თემატური ჯგუფის საქმიანობამ, რომელიც ცდილობდა ახალი გამოწვევებით დატვირთული სამუშაო პროცესები მოექცია დისკუსიის ფორმატში და შეემუშავებინა საერთო პოზიცია ცალკეული პრობლემის გადაჭრის მიზნით.

საანგარიშო პერიოდში სამსახურის ფარგლებში ფოკუსირდა კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი თემა, რაც ერთ-ერთი აქტუალური საკითხია არამხოლოდ ქართული, არამედ უცხოური უნივერსიტეტების სამოქმედო მიზანთა შორის, კერძოდ, უნივერსიტეტის ე.წ. 'მესამე მისია', მისი არსის კვლევა და ფუნქცია საზოგადოების განვითარებაში.

2020 წელს დაგეგმილი და შესრულებული საქმიანობის ანალიზის, გარე შეფასების რეკომენდაციებისა და შიდასაუნივერსიტეტო განხილვებისა და კონსულტაციების საფუძველზე, 2021 წლისთვის გამოიკვეთა შემდეგი პრიორიტეტული მიმართულებები:

- ✓ უნივერსიტეტში ხარისხის კულტურის გაძლიერება საუნივერსიტეტო შიდა აქტორების, განსაკუთრებით კი სტუდენტების მეტი ჩართულობითა და ცნობიერების ამაღლების გზით მათი ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებში; სტუდენტების აქტიური ჩართულობა როგორც ცალკეული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების პროცესში, ასევე სხვადასხვა საუნივერსიტეტო სერვისებისა და საქმიანობის შეფასებაშიც. საუნივერსიტეტო სივრცეში ***საგანმანათლებლო პროგრამის წარამომადგენელ*** სტუდენტთა კორპუსის ჩამოყალიბება;
- ✓ საგანმანათლებლო პროგრამებისა და სასწავლო პროცესის მუდმივი განვითარება/გაუმჯობესება, შესაბამისი პროცედურების გამოცდა და საუნივერსიტეტო სტანდარტის შემუშავების მიზნით პროგრამის განვითარების კომიტეტების მუშაობის პროტოკოლის გაწერა;
- ✓ პროგრამების გარე შეფასებისთვის მომზადება, ეროვნული და საერთაშორისო აკრედიტაციის მიღების მიზნით. კლასტერული აკრედიტაციის ფორმატის ეტაპობრივი მხარდაჭერა;
- ✓ უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების გაუმჯობესების, საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებისა და საგანმანათლებლო სივრცეში სიახლეების დანერგვის მიზნით საერთაშორისო თანამშრომლობის გააქტიურება;
- ✓ სწავლა-სწავლების პროცესის ინსტრუმენტების (კოლეგიური შეფასება, ხელმძღვანელის მიერ ახალმოსული კოლეგის შეფასება, ლექციებზე დასწრება და ა.შ.) დახვეწა და მათი აქტიური ჩართულობა საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების პროცესში;

- ✓ საუნივერსიტეტო სივრცეში ხარისხის კულტურის ეფექტურობის საზღვრების გაფართოების მიზნით სტუდენტების, აკადემიური, ადმინისტრაციული პერსონალის კმაყოფილების შეფასების რეგულარული ანალიზი და საუნივერსიტეტო სერვისების პერსპექტივების განსაზღვრა;
- ✓ კვლევის შეფასების მექანიზმების დანერგვა; ამ კუთხით ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ერაზმუს+KA2 პროგრამის ფარგლებში განხორციელებული პროექტ HERD-ის ,,საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სამეცნიერო კვლევების განვითარების ხელშეწყობა", შესაბამისად, სამეცნიერო კვლევების შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების მხარდაჭერა;
- ✓ უნივერსიტეტში აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის შემდგომი ხელშეწყობა;
- ✓ დოქტორანტურის საფეხურზე სწავლებისა და კვლევის პროცესების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით შესაძლებლობების განვითარება სხვადასხვა საერთაშორისო პროექტის ფარგლებში;
- ✓ თანამშრომლობა ხარისხის მექანიზმების დანერგვისა და ბოლონიის პროცესის მხარდაჭერის მიზნით და თემატური კვლევების დაგეგმვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან და ფონდებთან (გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის (DAAD), ფოკლსვაგენი (Volkswagen-Stiftung), თბილისის ბიუროს და ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ფრანკოფონიის საუნივერსიტეტო სააგენტოს თბილისის ოფისთან (AUF), ბრიტანეთის საბჭოსთან (BC)) თანამშრომლობით;
- ✓ კრიზისის მართვის სტრატეგიის დოკუმენტის შემუშავება და საუნივერსიტეტო რეგულაციების ფორმირება კონკრეტული პირობების გათვალისწინებით;
- ✓ ინსტიტუციური ეფექტიანობის შეფასების სისტემის დანერგვა, უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების სამოქმედო გეგმებისა და ანგარიშების შეფასება სტრატეგიულ გეგმასთან მიმართებაში და კვლევის შედეგების პროგრამული უზრუნველყოფის ფორმატის შექმნა კვლევების შედეგების შედარებითი ანალიზის საწარმოებლად;

7. დანართები

გამოკითხვების ანალიზი და კვლევის შედეგები სქემებში

მიზანი	*საქმისწარმოების ხარისხი; უნივერსიტეტის მიერ გაწეული მხარდაჭერა; დამატებითი საჭიროების იდენტიფიცირება*
ვადები დაფარვა საკომუნიკაციო არხი კვლევის მიდგომა მონაწილეთა რიცხოვნობა ინიციატორი/განმახორციელებელი მონაცემთა დამუშავება	*03.04-09.04.2020* *ცენტრალური და საფაკულტეტო ადმინისტრაციები* *ელექტრონული ფოსტა* *პოპულაციაზედაფუძნებულიმიდგომა(Population-based/Census-based[32])* *260* *უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური* *SPSS21* ***რაოდენობრივი მონაცემების*** *დასამუშავებლად: სიხშირული და კროსტაბულაციური,* ***თვისებრივი მონაცემების*** *დასამუშავებლად: - თემატური ანალიზის მეთოდი.*
რაოდენობრივი ანალიზი	
დისტაციურიმუშაობისთვის ხშირად გამოყენებული პლატფორმები	*ელექტრონული ფოსტა (209)* *სოციალური ქსელები (174)* *Zoom (151)* *eDocument (133)*
დისტანციურად სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელების შესაძლებლობა	*პოზიტიური შეფასება 98%* / *ნეგატიური შეფასება 2%*
ტექნიკური გამართულობა სამუშაო პროცესში	*პოზიტიური შეფასება 89%* / *ნეგატიური შეფასება 1%*
თვისებრივი ანალიზი	
დადებითი შეფასებები	✓ *დისტანციური მუშაობაეფექტურად მიმდინარებს;* ✓ *უნივერსიტეტის მხრიდან მაქსიმალური მხარდაჭერა;*
გასაუმჯობესებელი სფეროები	✓ *კომუნიკაციის გაზრდა;* ✓ *თანამშრომელთა მოვირება და კონტროლი;* ✓ *ფუნქციების გამჭვირვალე განაწილება;* ✓ *კომპიუტერული უნარ-ჩვევების გაუმჯობესება;* ✓ *პროცესების ტექნიკური გამართულობა;* ✓ *სწავლის ელექტრონული სისტემის (LMS) გამართული ფუნქციონირება;* ✓ *გამოკითხვების რეგულარული ჩატარება პროცესების სრულყოფის მიზნით;*

ცხრილი 1: კვლევის აღწერილობა: ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის გამოკითხვა დისტანციური საქმისწარმოების შესახებ

[32]კვლევისმეთოდებისლიტერატურაშიგვხვდებაშემდეგისახელწოდებითაც: *Saturation Sampling-Sue*- V. M., & Ritter, L. A. (2012):*Conducting online surveys*- Sage;

მიზანი	*სწავლა-სწავლების ხარისხი;* *უნივერსიტეტის მიერ გაწეული მხარდაჭერა;* *დამატებითი საჭიროების იდენტიფიცირება*
ვადები დაფარვა საკომუნიკაციო არხი კვლევის მიდგომა	*04.04-10.04.2020* *თსუ შვიდივე ფაკულტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალი* *ელექტრონული ფოსტა* *პოპულაციაზედაფუძნებულიმიდგომა(Population-based/Census-based)*
მონაწილეთა რიცხოვნობა//გამოპასუხების დონე ***265//15%***	
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი	**56//20%**
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი	**70//15%**
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი	**17//8%**
ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი	**10//5%**
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი	**42//19%**
მედიცინის ფაკულტეტი	**39//17%**
იურიდიული ფაკულტეტი	**31//14%**
ინიციატორი/განმახორციელებელი მონაცემთა დამუშავება	*უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური* *SPSS21* ***რაოდენობრივი მონაცემების*** *დასამუშავებლად: სიხშირული და კროსტაბულაციური,* ***თვისებრივი მონაცემების*** *დასამუშავებლად: - თემატური ანალიზის მეთოდი.*
რაოდენობრივი ანალიზი	
დისტაციურიმუშაობისთვის ხშირად გამოყენებული პლატფორმები	*Zoom (215)* *ელექტრონული ფოსტა (131)* *LMS(117)* *სოციალური ქსელები (97)* *e-learning (95)*
თვისებრივი ანალიზი	
დადებითი შეფასებები	✓ *დისტანციური სასწავლო პროცესის მხარდაჭერა ადმინისტრაციის მხრიდან;* ✓ *კონსულტაციების ონლაინჩატარებისეფექტურობა;*
გასაუმჯობესებელი სფეროები	✓ *Zoom-ის შემთხვევაში ფასიანი ანგარიშების შეძენის საჭიროება;* ✓ *E-learning (Moodle)-ს, პლატფორმის შემთხვევაში: ასატვირთი მასალის მოცულობის შეზღუდვის პრობლემა;* ✓ *სასწავლო პროცესის მართვის სისტემის (LMS) შემთხვევაში: პლატფორმის მოუქნელობა, ხშირი ტექნიკური ხარვეზი, შეტყობინებების გაგზავნასა და მობილურზე ავტორიზაციის კოდის მოსვლაში შეფერხებები და ასატვირთი მასალის მოცულობის შეზღუდვა;* ✓ *სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის ინტერნეტითა და ელექტრონული მოწყობილობებით უზრუნველყოფის აუცილებლობა;* ✓ *ელეტრონული მოწყობილობების ტექნიკური გაუმართაობა;* ✓ *ტექნიკური და ტექნოლოგიური პრობლემის შემთხვევაში ინდივიდუალური მიდგომის დაგეგმვის აუცილებლობა;* ✓ *წიგნადი ფონდის გაციფრულების აუცილებლობა;* ✓ *აკადემიური პერსონალის დამატებითი მხარდაჭერა ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიების ათვისების მიზნით;*

ცხრილი 2: კვლევის აღწერილობა: აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვა დისტანციურ სწავლებასთან დაკავშირებით

მიზანი	*სწავლა-სწავლების ხარისხი;* *უნივერსიტეტის მიერ გაწეული მხარდაჭერა;* *დამატებითი საჭიროების იდენტიფიცირება*
ვადები დაფარვა საკომუნიკაციო არხი კვლევის მიდგომა	*04.04-10.04.2020* *თსუ შვიდივე ფაკულტეტის სამივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტები* *ელექტრონულიმართვისსისტემაზე(LMS)* *პოპულაციაზედაფუძნებულიმიდგომა(მაგ.,National Survey of Student Engagement (NSSE); Student Experience in the Research Universities (SERU); the National Student Survey in the UK(NSS) and the Dutch National Student Survey in the Netherlands (NSE)[33])*
მონაწილეთა რიცხოვნობა//გამოპასუხების დონე *2488//14%*	
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი	**557//20%**
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი	**421//14%**
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი	**206//9%**
ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი	**164//12%**
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი	**514//13%**
მედიცინის ფაკულტეტი	**32//3%**
იურიდიული ფაკულტეტი	**594//18%**
ინიციატორი/განმახორციელებელი მონაცემთა დამუშავება	*უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური* *SPSS21* ***რაოდენობრივი მონაცემების*** *დასამუშავებლად: სიხშირული და კროსტაბულაციური,* ***თვისებრივი მონაცემების*** *დასამუშავებლად: - თემატური ანალიზის მეთოდი.*
რაოდენობრივი ანალიზი	
დისტანციურიმუშაობისთვის ხშირად გამოყენებული პლატფორმები	*Zoom (2380)* *LMS(903)* *e-learning (632)* *სოციალური ქსელები (611)* *ელექტრონული ფოსტა (499)*
თვისებრივი ანალიზი	
დადებითი შეფასებები	✓ *დისტანციური სასწავლო პროცესის მხარდაჭერა ადმინისტრაციის მხრიდან;* ✓ *კონსულტაციების ონლაინჩატარებისეფექტურობა;*
გასაუმჯობესებელი სფეროები	✓ *შუალედური გამოცდის შეფასების ალტერნატიული ფორმებით (დავალება, პრეზენტაცია, ესე, კაზუსი და ა.შ) ჩანაცვლება;* ✓ *დასკვნით გამოცდაზე დაშვების ზღვრის/ზარიერის შემცირება;* ✓ *დასწრების ქულის გაუქმება;* ✓ *მრავალრიცხოვან ჯგუფებში გამოკითხვის არაეფექტურობა;* ✓ *ზეპირი გამოკითხვის ჩანაცვლება სამინაო ნამრომით/საშინაო დავლებით/ონლაინ ქვიზებით;* ✓ *სამიანო დავალების შემთხვევაში ჩაბარების თარიღების არაეფექტურად დაგეგმვა, დაგვიანებული უკუკავშირი;* ✓ *სპეციფიურ სასწავლო კურსების დისტანციურად სწავლების გაუმართავი მეთოდოლოგია და ამასთან დაკავშირებული სირთულეები;*

ცხრილი 3: კვლევის აღწერილობა: სტუდენტთა გამოკითხვა დისტანციური სწავლების შესახებ

[33]Curaj, A., Matei, L., Pricopie, R., Salmi, J., & Scott, P. (Eds.). (2015): *The European higher education area: Between critical reflections and future policies*. Springer;

სტუდენტთა გამოკითხვები 2020 წლის ივნისი



დიაგრამა 1: როგორ შეაფასებდითსასწავლოკურსისფარგლებშიგამოყენებულშეფასებისმეთოდებსდისტანციურისწავლებისრეჟიმში?
(1 აღნიშნავს "ნეგატიურად", ხოლო 3 -„დადებითად“)



დიაგრამა 2:
დისტანციურისწავლებითსასწავლოკურსშიმიღებულიგანათლებისხარისხისააუდიტორიოსწავლებასთანშედარებითიყო:
(1 აღნიშნავს "ძალიანუხარისხო" ხოლო 5 -"უფრომეტადხარისხიანი")



დიაგრამა 3: რამდენად კმაყოფილი ხართ სასწავლო კურსის დისტანციური სწავლების ფორმატით?
(1 აღნიშნავს "ძალიან უკმაყოფილო" ხოლო 5 -"ძალიან კმაყოფილი")

მიზანი	*სწავლა-სწავლების ხარისხი;* *დისტანციური სწავლების პროცესის შეფასება;* *უნივერსიტეტის მიერ გაწეული მხარდაჭერა;* *დამატებითი საჭიროების იდენტიფიცირება*
ვადები დაფარვა საკომუნიკაციო არხი კვლევის მიდგომა	*19.11-01.12.2020* *თსუ შვიდივე ფაკულტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალი* *ელექტრონული ფოსტა* *პოპულაციაზედაფუძნებულიმიდგომა(Population-based/Census-based)*
მონაწილეთა რიცხოვნობა//გამოპასუხების დონე *216//11%*	
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი	33//11%
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი	28//6%
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი	27//13%
ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი	22//12%
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი	35//16%
მედიცინის ფაკულტეტი	24//10%
იურიდიული ფაკულტეტი	45//20%
ინიციატორი/განმახორციელებელი მონაცემთა დამუშავება	*უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური* *SPSS21* ***რაოდენობრივი მონაცემების*** *დასამუშავებლად: სიხშირული და კროსტაბულაციური,* ***თვისებრივი მონაცემების*** *დასამუშავებლად: - თემატური ანალიზის მეთოდი.*
რაოდენობრივი ანალიზი	
დისტაციურიმუშაობისთვის ხშირად გამოყენებული პლატფორმები	✓ *Zoom (215)* ✓ *ელექტრონული ფოსტა (131)* ✓ *LMS(117)* ✓ *სოციალური ქსელები (97)* ✓ *e-learning (95)*
სასწავლო პროცესის თანმდევი თემები	➢ *ელექტრონულსწავლებამისრულიადჩართულიაგამოკითხულთა 99.1%;* ➢ *დადებითად შეფასდა სასწავლო პროცესი (64%);* ➢ *სასწავლო პროცესის ტექნიკური გამართულობა (≈62%);* ➢ *ელექტრონული პორტალების გაუმჯობესებული მუშაობა;* ➢ *სასწავლო მასალაზე წვდომის მაღალი ხარისხი;*

	➢ *სასწავლო პროცესის მეტი გამართულობა (ცხრილები, საგამოცდო პროცესი);* ➢ *სწვლების მეთოდების გაუმჯობესება და მისადაგებულობა დისტანციურ სწავლებაზე (40,3%);* ➢ *სტუდენტთა დასწრება - კარგი (24,5%);* ➢ *ტექნოლოგიების გამართულობა (≈50%);* ➢ *პროფსურის კომპიუტერული უნარების ამაღლება (35%);*
თვისებრივი ანალიზი	
დადებითი შეფასებები	✓ *სასწავლო პროცესის ორგანიზება;* ✓ *სასწავლო მასალის განთავსება ელექტრონულ პორტალებზე;* ✓ *ელექტრონული პორტალის მუშაობა;* ✓ *სწავლების პროცესის მეთოდოლოგიის დახვეწა;*
გასაუმჯობესებელი სფეროები	✓ *E-learning (Moodle)-ს, პლატფორმის შემთხვევაში: ასატვირთი მასალის მოცულობის შეზღუდვის პრობლემა;* ✓ *სასწავლო პროცესის მართვის სისტემის (LMS) შემთხვევაში: პლატფორმის მოუქნელობა, ხშირი ტექნიკური ხარვეზი, შეტყობინებების გაგზავნასა და მობილურზე ავტორიზაციის კოდის მოსვლაში შეფერხებები და ასატვირთი მასალის მოცულობის შეზღუდვა;* ✓ *ტექნიკური და ტექნოლოგიური პრობლემის შემთხვევაში ინდივიდუალური მიდგომის დაგეგმვის აუცილებლობა;* ✓ *წიგნადი ფონდის გაციფრულების აუცილებლობა;*

ცხრილი 4: კვლევის აღწერილობა: აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვა ელექტრონულ სწავლებასთან დაკავშირებით

მიზანი	*სწავლა-სწავლების ხარისხი;* *დისტანციური სწავლების პროცესის შეფასება;* *უნივერსიტეტის მიერ გაწეული მხარდაჭერა;* *დამატებითი საჭიროების იდენტიფიცირება*
ვადები დაფარვა საკომუნიკაციო არხი კვლევის მიდგომა	*17.11-01.12.2020* *თსუ შვიდივე ფაკულტეტის სამივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტები* *ელექტრონულიმართვისსისტემაზე(LMS)* *პოპულაციაზედაფუძნებულიმიდგომა(მაგ.,National Survey of Student Engagement (NSSE); Student Experience in the Research Universities (SERU); the National Student Survey in the UK(NSS) and the Dutch National Student Survey in the Netherlands (NSE)[34])*
მონაწილეთა რიცხოვნობა//გამოპასუხების დონე ***2104//14%***	
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი	**229//9%**
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი	**454//10%**
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი	**145//6%**
ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი	**139//9%**
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი	**448//9%**
მედიცინის ფაკულტეტი	**203//11%**
იურიდიული ფაკულტეტი	**486//14%**
ინიციატორი/განმახორციელებელი მონაცემთა დამუშავება	*უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური* *SPSS21* ***რაოდენობრივი მონაცემების*** *დასამუშავებლად: სიხშირული და კროსტაბულაციური,* ***თვისებრივი მონაცემების*** *დასამუშავებლად: - თემატური ანალიზის მეთოდი.*
რაოდენობრივი ანალიზი	
დისტაციურიმუშაობისთვის ხშირად გამოყენებული პლატფორმები	✓ *Zoom (2380)* ✓ *LMS(903)* ✓ *e-learning (632)* ✓ *სოციალური ქსელები (611)* ✓ *ელექტრონული ფოსტა (499)*
სასწავლო პროცესის თანმდევი თემები	➢ *სტუდენტთა დიდი ნაწილი ნეიტრალურად აფასებს ელექტრონული სწავლების პროცესს (38%);*

[34]Curaj, A., Matei, L., Pricopie, R., Salmi, J., & Scott, P. (Eds.). (2015): *The European higher education area: Between critical reflections and future policies*. Springer;

	➢ *სტუდენტთა დიდ წილი ნაწილობრივ იყო ჩართული დისტანციური სწავლების პროცესში (52%);* ➢ *სასწავლო პროცესი ელექტროპლატფორმაზე შეუფერხებელია (51%);* ➢ *LMS და E-learning.tsu.ge პორტალი ელექტრონული სწავლების საჭიროებებზე მორგებულია (49.2% და46.7%);* ➢ *სასწავლო მასალა ხელმისაწვდომია (43%);* ➢ *შეფასების სისტემა ადაპტირებულია დისტანციური სწავლების პროცესთან (≈ 50%);* ➢ *სტუდენტთა ჩართულობა მომატებული სასწავლო პროცესში (48%);*
თვისებრივი ანალიზი	
დადებითი შეფასებები	✓ *კონსულტაციების ონლაინჩატარებისეფექტურობა;*
გასაუმჯობესებელი სფეროები	✓ *შეფასების მეთოდების მორგება სასწავლო პროცესზე;* ✓ *სწავლების მეთოდების დახვწა და არსებული სასწავლო პროცესზე მორგება;* ✓ *კომუნიკაციის გაუმჯობესება ადმინისტრაციულ ერთეულებთან;* ✓ *სტუდენტთა მხარდამჭერი სერვისების გაუმჯობესება.*

ცხრილი 5: კვლევის აღწერილობა: სტუდენტთაკმაყოფილებისკვლევადისტანციურისწავლებისშესახებ2020 წლისდეკემბერი

ხარისხის გარე უზრუნველყოფა - ფაქტებსა და ციფრებში

გარე შეფასების ეტაპები												
	საგანმანათლებლო საფეხური					ფაკულტეტი						
	საბაკალავრიატი	მაგისტრატურა	ერთსაფეხურიანი	დოქტორანტურა	ჯამი	ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა	სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა	ფსიქოლოგიისა და განათლებს მეცნიერებათა	ეკონომიკისა და ბიზნესის	მედიცინა	ტურიზმი
აკრედიტაცია	-	-	1	1	2				1		1	
მათ შორის უცხოენოვანი	-	-	1	-	1						1	
რეაკრედიტაცია	11	21	3	14	48	30	-	1	3	2	6	6
მათ შორის უცხოენოვანი	1	1	1	-	3					2	1	
	მომზადდა ჯამში: 50 საგანმანათლებლო პროგრამა											
აკრედიტებული	-	-	1	1	2	-	-	-	1	-	1	-
(რე)აკრედიტებული	2	5	1	5	13	2	-	1	3	-	4	3
აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტის მოლოდინში	-	2	2	3	7	4	-	-	1	-	2	-
აკრედიტაციის მაძიებლად ცნობის მოლოდინში	9	14	-	6	29	24	-	-	-	2	-	3
საერთაშორისო აკრედიტაციასა (FIBAA) და სერთიფიცირებაზე წარდგენილი (ACS)	2	2	-	-	4	1	-	-	-	2	-	1
საერთაშორისო აკრედიტაციის აღიარების მიზნით წარდგენილი	2	-	-	-	2	2	-	-	-	-	-	-
აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით წარდგენილი ანგარიში	-	2	-	1	3	-	-	-	2	1	-	-
მონიტორინგი	1	1	-	-	2	-	-	-	-	2	-	-
	შედეგები: 62 საგანმანათლებლო პროგრამაზე											

ცხრილი 6 : 2020 წელს (რე)აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამები

2020 წელს პროექტის ფარგლებში აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისთვის განხორციელებული ტრეინინგები

N	ტრენინგის დასახელება	თარიღი	მონაწილეთა რაოდენობა
1	ტესტების შექმნა MOODLE-ში	8 მაისი	23
2	ტესტების შექმნა MOODLE-ში	13 მაისი	16
3	ტესტების შექმნა MOODLE-ში	15 მაისი	41
4	დავალების შექმნა MOODLE-ში	20 მაისი	30
5	დავალების შექმნა MOODLE-ში	22 მაისი	21
6	დავალების შექმნა MOODLE-ში	25 მაისი	19
7	ონლაინ კურსის შექმნა MOODLE-ის პლატფორმაზე	4 სექტემბერი	45
8	ონლაინ კურსის შექმნა MOODLE-ის პლატფორმაზე	11 სექტემბერი	35
9	Moodle-ის კურსზე სასწავლო მასალის და სხვა რესურსების ატვირთვა (ირინა დარჩიას ინსტიტუტი)	23 სექტემბერი	16
10	Moodle-ის ტრენინგი ადმინისტრატორებისთვის (აკადემიური პერსონალის ხელშეწყობისთვის)	30 სექტემბერი	8
11	Turnitin	22 ივლისი	4
12	სასწავლო კურსის შექმნა MOODLE-ში (თსუ პროფესიული განათლების ცენტრი)	2 დეკემბერი	10
13	ტესტების შექმნა MOODLE-ში (თსუ პროფესიული განათლების ცენტრი)	4 დეკემბერი	10
14-17	ElectionBuddy (4 ინდივიდუალური ტრენინგი - ისტორიკოსებთან, ფილოლოგებთან, ეკონომისტებთან და ფსიქოლოგიისა და განათლების ფაკ-თან)	1-12 დეკემბერი	7
18	ElectionBuddy	14 დეკემბერი	14
19	ElectionBuddy	21 დეკემბერი	9
20	ტრეინინგი„ტესტის შექმნის მეთოდოლოგია“თსუ-ის აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის	18-20 მაისი	30
		სულ	334

ცხრილი 7

ტრენინგების კალენდარი



ტაბულა 8

2020 წელს უცხოელი ექსპერტების მიერ განხორციელებული ტრენინგები

#	ტრენინგის თემა	ტრენინგის ჩატარების თარიღი, 2020	ტრენერი	სამიზნე ჯგუფი (ფაკულტეტი, ა.შ.)	დარეგისტრირებულთა რაოდენობა	სპონსორი (თუ ასეთი არის)
1	სემინარი „კვლევის პროდუქტიულობის ხარისხის უზრუნველყოფა“	15.12-16.12	ანკა გრისი (უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, ბაბეშ-ბოიოის უნივერსიტეტის პროფესორი)	თსუ აკადემიური და მოწული პერსონალი, სტუდენტები (დოქტორანტები)	15	
2	სადოქტორო პროგრამების შეფასება	2.11 – 4.11	ანკა გრისი (უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, ბაბეშ-ბოიოის უნივერსიტეტის პროფესორი)	ცენტრალური და ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების თანამშრომლები, პროგრამის ხელმძღვანელები, თსუ აკადემიური და მოწული პერსონალი, სტუდენტები (დოქტორანტები)	66	ფრანკოფონი ს საუნივერსიტ ეტო საგენტო (AUF)
3	საერთაშორისო პუბლიკაციების გამოქვეყნება განათლების მიმართულებით	27.10, 5.11	მილან პოლი (მასარიკის უნივერსიტეტის პროფესორი)	განათლების. მიმართულების აკად. პერსონალი, მაგისტრანტები, დოქტორანტები	25	
4	მონაცემთა ანალიზი განათლების კვლევაში	15.10, 16.10	ჯონ პიჟანოვსკი (არკანზასის უნივერსიტეტის პროფესორი)	განათლების. მიმართულების აკად. პერსონალი, მაგისტრანტები, დოქტორანტები	20	
5	ონლაინ სწავლების ასპექტები	9.10, 12.10, 16.10, 23.10	ჯორჯ დაფოლასი (მიდლსექსის უნივერსიტეტის პროფესორი)	აკადემიური პერსონალი	51	
6	ეთიკა განათლების კვლევაში - Ethics in Educational Research	1.10	ჯონ პიჟანოვსკი (არკანზასის უნივერსიტეტის პროფესორი)	განათლების. მიმართულების აკად. პერსონალი, მაგისტრანტები, დოქტორანტები	35	

7	ხარისხის შიდა უზრუნველყოფა	28.09 – 30.09	ანკა გრისი (უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, ბაბეშ-ბოიოის უნივერსიტეტის პროფესორი)	ცენტრალური და ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების თანამშრომლები, პროგრამის ხელმძღვანელები, თსუ აკადემიური და მოწული პერსონალი, სტუდენტები	62	ფრანკოფონიის საუნივერსიტეტო საგენტო (AUF)

ცხრილი 9

ცხრილი 2. ტრენინგები აკადემიური პერსონალისთვის (ქართველი ტრენერები)

#	ტრენინგის თემა	ტრენინგის თარიღი, 2020 ჩატარების	ტრენერი	სამიზნე ჯგუფი (ფაკულტეტი, ა.შ.)	დარეგისტრირებულთა რაოდენობა	სპონსორი (თუ ასეთი არის)
1	ტესტების შექმნა MOODLE-ში (თსუ პროფესიული განათლების ცენტრი)	4.12	თინათინ დავითაშვილი	თსუ პროფესიული განათლების ცენტრის პედაგოგები	10	
2	სასწავლო კურსის შექმნა MOODLE-ში	2.12	თინათინ დავითაშვილი	თსუ პროფესიული განათლების ცენტრის პედაგოგები	10	
3	ElectionBuddy - ონლაინ ხმის მიცემის სისტემა დისერტაციების ონლაინ დაცვისთვის	1-12.12, 14.12, 21.12	თინათინ დავითაშვილი	სხვადასხვა ფაკულტეტის სადისერტაციო კომისიების წევრთათვის	30	
4	Moodle-ის ტრენინგი ადმინისტრატორებისთვის (აკადემიური პერსონალის ხელშეწყობისთვის)	30.09	თინათინ დავითაშვილი	აკადემიური პერსონალი, რომელიც ამავე დროს Moodle-ის ადმინისტრატორები არიან	8	
5	Moodle-ის კურსზე სასწავლო მასალის და სხვა რესურსების ატვირთვა	23.09	თინათინ დავითაშვილი	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალი	16	
6	ონლაინ კურსის შექმნა MOODLE-ის პლატფორმაზე	4.09, 11.09	თინათინ დავითაშვილი	თსუ აკადემიური და მოწული პერსონალი	80	
7	საკვალიფიკაციო ნაშრომის პლაგიატზე შემოწმება Turnitin-ის გამოყენებით	22.07	თინათინ დავითაშვილი	იურიდიული ფაკულტეტის აკადემიური პერსონალითვის	5	
8	სწავლის შედეგების შესახებ	24.06	მაია გელაშვილი	ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, მატემატიკის დეპარტამენტი	7	
9	პროგრამის შემუშავების შესახებ	17.06	ირმა გრძელიძე	ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, მატემატიკის დეპარტამენტი	13	

10	ტესტის შექმნის მეთოდოლოგია	18.05 –20.05	ივა მინდაძე	თსუ აკადემიური და მოწული პერსონალი	30	
11	თვითშეფასების ანგარიშის მომზადება	20.05	ირმა გრძელიძე	ცენტრალური და ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების თანამშრომლები, პროგრამის ხელმძღვანელები, თსუ აკადემიური და მოწული პერსონალი	7	
12	ტესტების შექმნა MOODLE-ში	8.05, 13.05 15.05	თინათინ დავითაშვილი	თსუ აკადემიური და მოწული პერსონალი	80	
13	დავალების შექმნა MOODLE-ში	20.05 22.05 25.05	თინათინ დავითაშვილი	თსუ აკადემიური და მოწული პერსონალი	70	
14	საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბება	15.05	მაია გელაშვილი	ცენტრალური და ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების თანამშრომლები, პროგრამის ხელმძღვანელები, თსუ აკადემიური და მოწული პერსონალი	15	
15	საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბება	14.05	მაია გელაშვილი	ცენტრალური და ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების თანამშრომლები, პროგრამის ხელმძღვანელები, თსუ აკადემიური და მოწული პერსონალი	16	
16	თვითშეფასების ანგარიშის მომზადება	13.05	ირმა გრძელიძე	ცენტრალური და ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების თანამშრომლები, პროგრამის ხელმძღვანელები, თსუ აკადემიური და მოწული პერსონალი	25	
17	საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბება	8.05	მაია გელაშვილი	ცენტრალური და ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების თანამშრომლები, პროგრამის ხელმძღვანელები, თსუ აკადემიური და მოწული პერსონალი	14	
18	საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბება	7 მაისი	მაია გელაშვილი	ცენტრალური და ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების თანამშრომლები, პროგრამის ხელმძღვანელები, თსუ აკადემიური და მოწული პერსონალი	10	

ცხრილი 10

პროფესიული განათლების ცენტრი
(საგანმანათლებლო პროგრამების რეგისტრი)

N	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი	სტატუსი
1.	საბიბლიოთეკო საქმე	თბილისი	აქტიური
2.	საბიბლიოთეკო საქმე	ქუთაისი	აქტიური
3.	საბაჟო საქმე	თბილისი	აქტიური
4.	საბაჟო საქმე	ქუთაისი	აქტიური
5.	საოფისე საქმე	თბილისი	აქტიური
6.	საოფისე საქმე	ქუთაისი	აქტიური
7.	სატვირთო გადაზიდვებისლოგისტიკა	ქუთაისი	აქტიური
8.	ბუღალტრულიაღრიცხვა	თბილისი	აქტიური
9.	ბუღალტრულიაღრიცხვა	ქუთაისი	აქტიური
10.	საფინანსოსერვისები	თბილისი	აქტიური
11.	საფინანსოსერვისები	ქუთაისი	აქტიური
12.	ღონისძიებისორგანიზება	თბილისი	აქტიური
13.	ღონისძიებისორგანიზება	ქუთაისი	აქტიური
14.	სკოლამდელიაღზრდა	თბილისი	აქტიური
15.	სკოლამდელიაღზრდა	ქუთაისი	აქტიური
16.	ტუროპერატორი	თბილისი	მილევადი
17.	საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდი	თბილისი	მილევადი
18.	შემფასებელი	თბილისი	მილევადი
19.	შემფასებელი	ქუთაისი	მილევადი
20.	ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი	თბილისი	მილევადი
21.	ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი	ქუთაისი	მილევადი

ცხრილი 11

ავტორი	დასახელება	თარიღი, N
რექტორის ბრძანებები	სსიპ–ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში განცორციელებული აღრიცხვა, კონტროლი, აუდიტის სპეციალობის 3-წლიანი საგანმანათლებლო პროგრამის, აღრიცხვა, კონტროლი, აუდიტის სპეციალობის 5 წლიანი საგანმანათლებო პროგრამის იდენტურად ჩათვლის შესახებ	N116/2020, 24/06/2020
	სსიპ–ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების წესის დამტკიცების შესახებ	N67/2020, 25/03/2020
	სსიპ–ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიური კეთილსინდისიერების კულტურის ამაღლებასთან დაკავშირებული არეგულირებელი დოკუმენტების მოდიფიცირების მიზნით სამუშაო ჯგუფის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2019 წლის 28 თებერვლის N58/01-01 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე	N37/2020, 18/02/2020
ადმინისტრაციის უფროსის ბრძანება	,,სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სტრუქტურული ერთეულების სამოქმედო გეგმის ფორმის და ადმინისტრაციის სტრუქტურული ერთეულების ანგარიშის ფორმის დამტკიცებისა და მათი შედგენისა და წარდგენის წესის დამტკიცების თაობაზე“ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2018 წლის 14 მაისის N121/02-01 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ	№117/2020, 21/12/2020
აკადემიური საბჭოს დადგენილებები	სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე 2020 წელს აპლიკანტთა ჩარიცხვის მიზნით სპეციალური ანკეტა-კითხვარის დამტკიცების შესახებ	№94/2020, 18/09/2020
	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „საჯარო მმართველობის“ ინგლისურენოვან სამაგისტრო პროგრამაზე 2020/2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში სწავლის გადასახადის განსაზღვრის შესახებ	№93/2020, 11/09/2020
	„საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2011 წლის 29 ივნისის №57/2011 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ	№90/2020, 11/09/2020
	„სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2020-2021 სასწავლო წლის საერთო სამაგისტრო გამოცდების ანკეტა-კითხვარის დამტკიცების შესახებ” აკადემიური საბჭოს 2020 წლის 24 თებერვლის №15/2020 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ	№89/2020, 11/09/2020
	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის, შესრულებისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ	№78/2020, 30/07/2020
	„საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2011 წლის 29 ივნისის №57/2011 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ	№76/2020, 30/07/2020
	„საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2011 წლის 29 ივნისის №57/2011 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ	№71/2020, 21/07/2020
	“სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, შეფასებისა და განვითარების წესის დამტკიცების შესახებ” აკადემიური საბჭოს 2019 წლის 22 ივლისის №96/2019 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე	№70/2020, 21/07/2020
	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერეთა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის - განათლების მეცნიერებები - დამტკიცების შესახებ	№67/2020, 09/07/2020
	„საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2011 წლის 29 ივნისის №57/2011 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ	№66/2020, 09/07/2020
	„სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტურის სასწავლო	№58/2020, 22/06/2020

	კურსების სილაბუსების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2011 წლის 13 სექტემბრის №91/2011 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ	
	„საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2011 წლის 29 ივნისის №57/2011 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ	№57/2020, 22/06/2020
	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკის დოკუმენტის მიღების თაობაზე	№37/2020, 13/05/2020
	„საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2011 წლის 29 ივნისის №57/2011 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ	№36/2020, 13/05/2020
	“სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამებზე დისტანციურ რეჟიმში ელექტრონული ფორმით სწავლების განხორციელების კონცეფციისა და ადმინისტრირების წესის დამტკიცების შესახებ” აკადემიური საბჭოს 2020 წლის 6 აპრილის №31/2020 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე	№35/2020, 13/05/2020
	სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამებზე დისტანციურ რეჟიმში ელექტრონული ფორმით სწავლების განხორციელების კონცეფციისა და ადმინისტრირების წესის დამტკიცების შესახებ	№31/2020, 06/04/2020
	„საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2011 წლის 29 ივნისის №57/2011 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ	№20/2020, 24/02/2020
	“სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურის დამტკიცების შესახებ” აკადემიური საბჭოს 2019 წლის 22 ივლისის №100/2019 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ	№16/2020, 24/02/2020
	სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2020-2021 სასწავლო წლის საერთო სამაგისტრო გამოცდების ანკეტა-კითხვარის დამტკიცების შესახებ	№15/2020, 24/02/2020
	„სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - პროფესიული განათლების ცენტრის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2019 წლის 7 ივნისის №64/2019 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ	№10/2020, 24/02/2020

ცხრილი 12. ხარისხის სამსახურის მიერ ინიცირებული საკანონმდებლო აქტები